
საერთაშორისო სამეცნიერო-
პრაქტიკული ჟურნალის „ცხოვრება
და კანონი“ მიზნები და ამოცანები

International Scientific-practical
legal journal “Life and Law”
Objects and goals of the journal

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბი-
ლისი, ისნის რაიონი, წურჭუმეას ქ. №27.
ტელ: 599 55 82 59

Juridical address: 27 Tsurtsumia St., Isani District,
Tbilisi, Georgia. Tel: 599-55-82-59

მიზნები: ხელი შეუწყოს მოსახლეო-
ბის სხვადასხვა ფენის ეკონომიკური და
სამართლებრივი კულტურის ამაღლებას,
გააცნოს ქართველ საზოგადოებას ქვეყა-
ნაში და უცხოეთში ეკონომიკურ, პოლი-
ტიკურ და სამართლებრივ სფეროში მიმ-
დინარე პროცესები, დაეხმაროს ახალგაზრ-
და იურისტებს, მაგისტრანტებს და დოქ-
ტორანტებს სამეცნიერო-კვლევით საქმიან-
ობაში მათ მიერ შესრულებული ნაშრომე-
ბის გამოქვეყნების გზით, აწარმოოს ად-
ამიანის უფლებათა სფეროში ევროპული
და შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო
სისტემების პრაქტიკული გადაწყვეტილე-
ბების განხილვა-ანალიზი, მიაწოდოს იუ-
რიდიულ-პრაქტიკული შინაარსის კონსულ-
ტაციები და რჩევები დაინტერესებულ
პირებს მათ წინაშე მდგარი პრობლემე-
ბის მოგვარების მიზნით. გააცნოს ფართო
მკითხველს პოლიტიკისა და სამართლის
სფეროში გამოჩენილ მოღვაწეთა ნააზრე-
ვი.

Objects: To support the improvement of the
legal culture of people from different social strata;
to inform Georgian society about current political
and legal processes taking place in our country and
abroad; to assist young lawyers, masters and PhOs
in carrying out scientific researches by publishing their
works; to discuss and analyse practical decisions
of European and inner-Study legal systems in the
sphere of human right; to give some practical –
legal advice to interested people in order to solve
the problems learning them; as well as to provide
readers with the works of scientists distinguished
in the sphere of politics and law.

“ცხოვრება და კანონი”

“LIFE AND LAW”

რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Abstracted and Reviewed International Scientific-Practical Legal Journal

№3-4(55-56) 2021

შაკ(UDC)34

Ltd “Temida +”

ISSN 1512 – 3308

მთ. რედაქტორი ბიზო ლოპხანიძე,
პროფესორი

Editor in chief: Professor GIVI
LOBZHANIDZE

გამომცემლობის რედაქტორი
შენგელი ფიცხელაური, პროფესორი

Editor: Professor SHENGELI
PHITSKHELARI

რედაქტორის მოადგილე ავთანდილ
ბავაშვილი, პროფესორი

Deputy editor in chief: Professor
AVTANDIL GAVASHELISHVILI

სარედაქციო კოლეგია

სერგო ტეფნაძე, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი, პროფესორი
რუსუდან ქუთათელაძე, პროფესორი
ვენედი ბენიძე, პროფესორი
რომან შენგელია, პროფესორი
მამუკა შენგელია, პროფესორი
ნიკოლოზ ფიცხელაური, პროფესორი
ნინო ბოჭორიშვილი, პროფესორი
ავთანდილ ასათიანი, პროფესორი
ავთანდილ ტუკვაძე, პროფესორი
გივი აბაშიძე, პროფესორი
ზაურ ჯინჯოლავა, პროფესორი
რევაზ დიასამიძე, პროფესორი
მარიამ მამულაშვილი, სამართლის
დოქტორი
ლუიზ შელი – აშშ ჯორჯ მეისონის
უნივერსიტეტის პროფესორი
შიჭოუ ვანგი – პეკინის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის პროფესორი
იოლანდა ბონცა – პროფესორი,
ქ. ვარშავა
ირინა სოპილკო – კიევის ნაციონალური
საავიაციო უნივერსიტეტის
პროფესორი
ვიქტორია ჩერევატიუკი – კიევის
ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის
პროფესორი
შელაკიავიჩუს ალგის – ვილნიუსის
უნივერსიტეტის პროფესორი

BOARD OF EDITORIAL STAFF:

Professor **Sergo Tepnadze**
Professor **Giorgi Matiashvili**
Professor **Rusudan Kutateladze**
Professor **Venedi Benidze**
Professor **Roman Shengelia**
Professor **Mamuka Shengelia**
Professor **Nikoloz Pitskhelauri**
Professor **Nino Bochorishvili**
Professor **Avtandil Asatiani**
Professor **Avtandil Tukvadze**
Professor **Givi Abashidze**
Professor **Zaur Jinjolava**
Professor **Revaz Diasamidze**
Doctor of Law, **Mariam Mamulashvili**
Louise Shelly – USA, Director of Tracc
of George Meisons, University professor
Shizhou Wang – China, Professor in
PKU law
Iolanda Bonza – Varshava professor
Sopilko Irina – Kiev National Aviation
University professor
Viktoria Cherevatiuk – Kiev National
Aviation University professor
Dzelakiavichus Algis - Professor of
Vilnius University

❖ საქართველოს სამართალი

რიკიზო კუზუჰარა
სქესობრივი დანაშაულის რეფორმა
იაპონიაში..... 5

ნინო ბოჩორიშვილი
ეროვნული და უცხო ქვეყნის
სასამართლო გადაწყვეტილებათა
აღსრულების პრობლემები
საქართველოში..... 23

ლევან ტარიელაძე
ნატო-ს სამხედრო ინტერვენცია
კოსოვოში 1999 წელს:
სამართლებრივ-პოლიტიკური
ანალიზი..... 39

ქრისტინე უბლიავა
ევროკავშირის „უპირატესი ძალის“
პრინციპის მიმართება წევრი
სახელმწიფოების ეროვნულ
კანონმდებლობასთან..... 50

❖ სისხლის სამართალი და
სისხლის სამართლის პროცესი

ედისერ ფუტკარაძე
ადამიანის უფლებების დაცვის
ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი
ასპექტი..... 58

მარია მამულაშვილი
კომუნიკაციის ზოგადი წესების
როლი სასამართლო პროცესზე..... 84

❖ ადმინისტრაციული
სამართალი

დავით ხობელია
ადმინისტრაციული იუსტიციის
მოდელები და მათი
თავისებურებები..... 93

❖ INTERNATIONAL LAW

KUZUHARA RIKIZO
Reform of Sex Crimes in Japan..... 5

NINO BOCHORISHVILI
Enforcement of national and foreign
court decisions Problems in
Georgia..... 23

LEVAN TARIELADZE
NATO Military Intervention in
Kosovo in 1999: A Legal-Political
Analysis..... 39

KRISTINE UBLIAVA
European Union “Ultimate Power”
principle connection to the Member
States’ National Legislation..... 50

❖ CRIMINAL LAW AND CRIMINAL
LAW CODE

EDISHER PHUTKARADZE
Some Criminal Code Aspects of
Hunan Rights..... 58

MARIAM MAMULASHVILI
The Role of General Rules of Communication
in the Judiciary..... 84

❖ ADMINISTRATIVE LAW

DAVIT KHOBELIA
Models of Administrative Justice and
their Features..... 93

❖ *სამართლის თეორია და
ისტორია*

❖ *THEORY AND HISTORY
OF LAW*

გივი ლობჯანიძე

ნ. ნიკოლაძე (1843-1928) სამართლებრივი
სახელმწიფოს იდეა..... 101

GIVI LOBZHANIDZE

Niko Nikoladze (1843-1928)
The idea of the rule of law 101

დავით ლობჯანიძე

გლობალიზაციის თანამედროვე
პოლიტიკურ-სამართლებრივი
ხედვა..... 110

DAVIT LOBZHANIDZE

Globalization's Contemporary
Political-Legislative View..... 110

მარიამ ცეცხლაძე

საქართველოში მცხოვრები
ეთნიკური უმცირესობების
განათლების პრობლემა
პოლიტიკურ-სამართლებრივ
ჭრილში..... 122

MARIAM TSETSKHLADZE

The problem of education of ethnic
minorities living in Georgia..... 122

ანა ჩაბუნავა, დავით ჩაბუნავა

პოლიტიკური რელიგიების
ისტორიულ-სამართლებრივი
ასპექტები..... 130

**ANA CHAGUNAVA,
DAVIT CHAGUNAVA**

Historical-Legislative Aspects of
Political Religions..... 130

❖ *საინფორმაციო გვერდი*

❖ *INFORMATION PAGE*

გივი ლობჯანიძე

წაუკითხავი რეკომენდაცია..... 143

GIVI LOBZHANIDZE

Unread recommendation 143

საერთაშორისო სამართალი



რიკიზო კუზუჰარა
კანსაის უნივერსიტეტის პროფესორი
(ოსაკა, იაპონია)

სქესობრივი დანაშაულის რეფორმა იაპონიაში

I. შესავალი

იაპონიის სისხლის სამართალში სქესობრივმა დანაშაულმა განიცადა 2017 წელს ორი მნიშვნელოვანი ცვლილება. პირველ რიგში მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა ძალადობისა და სქესობრივი იძულების დებულებებთან მიმართებაში. მეორეს მხრივ ასევე იყო ცვლილება იაპონიის უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკაში სქესობრივი იძულების დასჯადობასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის კოდექსში 2017 წლის 23 ივნისს შესული ცვლილების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 13 ივლისს, იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში ისსკ) 177-ე პარაგრაფი § არსებითად შეიცვალა. იაპონიის უზენაესმა სასამართლომ (შემდეგში იუს) 2017 წლის 29 ნოემბერს გამოცემული განაჩენით განაალიზა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა და განმარტა, რომ ისსკ-ს 176-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სექსუალური იძულების არსებობისათვის უკვე

საჭირო აღარ არის სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილების განზრახვის არსებობა

მისასაღმებელია ეს ორივე ცვლილება, რომლებმაც გაამკაცრეს ისსკ-ის 176-ე და მომდევნო პარაგრაფებით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლების გაგება.

პირველ რიგში გადმოცემული იქნება ისსკ-ს რეფორმა თავისი საფუძვლებით. შემდეგ კი განმარტებული იქნება სხვა პრობლემები.

II. ისსკ-ს 176-ე და სხვა პარაგრაფების რეფორმა

შეიცვალა ისსკ-ს 176-ე და მომდევნო პარაგრაფები, არსებითი ცვლილება განიცადა, ასევე, 177-ე პარაგრაფმა, რომელიც გაუპატიურების დასჯადობას ითვალისწინებს. 177-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაუპატიურების რეფორმა შეეხება შემდეგ სამ პუნქტს: ქალთა მიმართ ხელყოფის ობიექტის შეზღუდვის გაუქმება, ტერმინის-„გარყვნილი ქმედება“-ჩანაცვლება ისეთი ცნებებით, როგორცაა: „სქესობრივი კავ-

შირი", „ანალური ურთიერთობა“, „ორალური ურთიერთობა“, ასევე ისკ-ს 177-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაუპატიურებისთვის მოქმედი სასჯელის გამკაცრება.

ადრინდელი კანონი გაუპატიურების ქმედების შემადგენლობას ზღუდავდა და ქმედების ობიექტად ითვალისწინებდა მხოლოდ ქალებს. ისკ-ს ახალი 177-ე პარაგრაფით ქმედების ობიექტის ცნება გაფართოვდა და გულისხმობს „პირს.“ ამის შედეგად დღემდე ისკ-ს 176-ე პარაგრაფით (სექსუალური იძულება) გათვალისწინებული მამაკაცების მიერ ჩადენილი გაუპატიურება ისკ-ს ახალი 177-ე პარაგრაფით ჩამოყალიბებული გაუპატიურების შემადგენლობით არის მოცული. ქმედების შემადგენლობის მოდელის გაფართოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის შედეგად ჰომოსექსუალების მიერ ჩადენილი ქმედებები განიხილება გაუპატიურების კონტექსტში.

ისკ 1907 წელს ძალაში შესვლიდან ერთმანეთისგან განასხვავებდა სექსუალურ იძულებასა და გაუპატიურებას იმის მიხედვით მოქმედი მსხვერპლს აიძულებდა სქესობრივ ურთიერთობას თუ სხვა სექსუალური ხასიათის ქმედების მოთმენას. პრინციპში, ეს მიდგომა გამოიყენება ჯერ კიდევ რეფორმის შემდეგაც. ისკ-ს 177-ე პარაგრაფის ტექსტი და მასში აღწერილი „სექსუალური ურთიერთობა“ გაუპატიურებისას შეიცვალა იმ მიმართულებით, რომ ამჟამად საუბარია არა მხოლოდ „გარყვნილ ქმედებაზე“, არამედ მოცემულია „სქესობრივი კავშირი“, „ანალური ურთიერთობა“ და „ორალური ურთიერთობა.“

ამას აქვს ორი შედეგი: ერთი მხრივ, მორალური გადაგვარების აცილება ქმედების შემადგენლობის ნიშნების ფორმულირებაში და, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არეალის გაფართოება.

მიუხედავად მისი ამორალური ჟღერადობისა, „გარყვნილი ქმედება“ იაპონურმა სასამართლომ და ლიტერატურამ ერთხმად განმარტა, როგორც უბრალო სექსუალური ურთიერთობა. იურისტების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ გაუპატიურება შესაძლებელი იყო მხოლოდ მამაკაცის მიერ ქალისა, მხოლოდ ქალი შეიძლება ყოფილიყო ამ დანაშაულის მსხვერპლი. რეფორმის შედეგად ეს შეხედულება შეიცვალა. ქმედების ხელყოფის ობიექტად მხოლოდ ქალის მიჩნევის შეზღუდვის გაუქმების შემდეგ, ახლა უკვე ორივე სქესის წარმომადგენლები იგულისხმება ამ დანაშაულის როგორც ამსრულებლად, ისე ხელყოფის ობიექტად (დაზარალებულად). „ანალური ურთიერთობით“ და „ორალური ურთიერთობით“ ქმედების შემადგენლობის გაფართოებით მხედველობაში მიიღება „ლესბოსელის-გეის-ბისექსუალის-ტრანსგენდერის“ (შემოკლებით ლგბტ-პირები) სქესობრივი თავისუფლება და ხელსეუბელობა. რეფორმის შედეგად დასახელებული სქესობრივი ქმედებების იძულება მიუხედავად მოქმედისა და მსხვერპლის ბიოლოგიური სქესისა, სექსუალური ურთიერთობებისა, ისჯება როგორც გაუპატიურება. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ასეთვლის. მოგვიანებით შევეხები ჩემს განსხვავებულ შეხედულებებს.

დიდი განსხვავებაა დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელის სახესა და ზომაში იმის მიხედვით, იქნება ეს გაუპატიურება თუ მხოლოდ სექსუალური ძალადობა.

სექსუალური ძალადობისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა (უფრო დაზუსტებით ციხეში მოთავსება იძულებით მუშაობასთან ერთად) 6 თვიდან 10 წლამდე ვადით. ისკ-ს ადრინდელი რედაქციის 177-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზღვარი იყო თავისუფლების აღკვეთის 3 წელი. რეფორმის შედეგად თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი გაიზარდა 5 წლამდე. თუკი ადამიანი ჩაიდენს გაუპატიურების ქმედების შემადგენლობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაისჯება 5-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ერთი შეხედვით, 2 წლით სასჯელის მინიმალური ზღვარის გაზრდა არ გამოიყურება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირობითი მსჯავრის დასანიშნად ისკ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არაუმეტეს 3 წლისა. რეფორმის შემდეგ გაუპატიურების ჩამდენი ვედარ ისარგებლებს პირობითი მსჯავრის ინსტიტუტით, რადგან სასჯელის ასეთი შემსუბუქება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. რეფორმის შედეგად გაუპატიურებისათვის სასჯელის გაზრდა გამოხატავს გაუპატიურების ქმედების უფრო მკაცრ შეფასებას. გარდა ამისა, ორალური და ანალური ურთიერთობის იძულების გაუპატიურებად კლასიფიკა-

ცია ნიშნავს დანაშაულის ჩადენის ამ ხერხების ორჯერ უარყოფით შეფასებას: ერთის მხრივ, ეს აღარ არის ისეთი დანაშაულის საკითხი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ 6 თვიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და მეორეს მხრივ, უკვე შეუძლებელია სასჯელის შემსუბუქება. განსაკუთრებით საყურადღებოა ჰომოსექსუალთა შორის ქმედების ორჯერ უფრო მკაცრად დასჯადობა ადრინდელ სამართლებრივ მდგომარეობასთან შედარებით.

რეფორმის ზემოთ დასახელებული სამი პუნქტი აქტუალურია ასევე ისკ-ს 178-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაუპატიურების ქმედების შემადგენლობისთვის. ეს მუხლი თავდაპირველად სასჯელით ემუქრებოდა (დასჯადად აცხადებდა) სქესობრივ კავშირს ქალთან (ისკ-ს ადრინდელი რედაქციის 178-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი) ან სხვა სექსუალურ აქტებს ქალების ან მამაკაცების წინააღმდეგ (ისკ-ს ადრინდელი რედაქციის 178-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი) იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე სარგებლობს შექმნილი ვითარებით და მსხვერპლი დაუცველია დამნაშავეს ქმედების მიმართ. ისკ-ს 178-ე პარაგრაფში მოცემული „გარყვნილი ქმედების“ აღწერა შეიცვალა „სქესობრივი ურთიერთობის“, „ანალური ურთიერთობის“ და „ორალური ურთიერთობის“ ცნებებით. მოიხსნა ხელყოფის ობიექტის მხოლოდ ქალით გათვალისწინების შეზღუდვა და გაიზარდა სასჯელის ზომა.

სასჯელის გაზრდის სანაცვლოდ, გაუქმდა იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე პარაგრაფის ძველი რედაქციით გათვალისწინებული ჯგუ-

ფური გაუპატიურება. გაუპატიურების ეს კვალიფიციური შემადგენლობა შემოღებული იქნა 2004 წელს, რომლის მიზანი იყო რამდენიმე ადამიანის მიერ ჩადენილი გაუპატიურების გაზრდილი შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ისკ-ს ძველი რედაქცია ითვალისწინებდა გაუპატიურებისთვის არანაკლებ 3 წლით თავისუფლების აღკვეთას. ეს კი არაადეკვატურად ასახავდა ჯგუფური გაუპატიურების შემთხვევების უმართლობის შინაარსს. ჯგუფური გაუპატიურებისათვის მინიმალური სასჯელი განისაზღვრა 4 წლით.

ისკ-ს 177-ე პარაგრაფში 2017 წლის რეფორმის შედეგად სასჯელის გამკაცრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამ კვალიფიციური შემადგენლობის გარეშე, კანონმდებლობაში ადეკვატურად ჩაწერილი იყოს ჯგუფური გაუპატიურების უმართლობის შინაარსი. ასევე გამკაცრდა სასჯელი გაუპატიურებისათვის, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვება, მაგალითად, მსხვერპლის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება. ასეთი ქმედებისთვის სასჯელის მინიმალური ზღვარი გაიზარდა 1 წლით (5-ის ნაცვლად 6 წელი). ეს იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ დამდგარი შედეგი კვალიფიციური შემადგენლობის დასადგენად და ძირითადი შემადგენლობისგან მის გასამიჯნად.

ასევე საყურადღებოა მითითება სექსუალური იძულებისა და აღმზრდელების მიერ მცირეწლოვანთა გაუპატიურების შესახებ ახალ რეგულაციაზე. ისკ-ს ახლებურად ჩამოყალიბებული 179-ე პარაგრაფის მიხედვით ისჯება ის, ვინც საკუთარი მზრუნველობის ქვეშ

მყოფი და 18 წლამდე ასაკის ადამიანზე თავის გავლენას გამოიყენებს და მასთან სქესობრივ ურთიერთობას იქონიებს ან სხვა სქესობრივ ქმედებას ჩაიდენს. სისხლის სამართლის ეს ახალი დებულება არის ბავშვების სექსუალური ძალადობა დასჯადობის გაფართოება (ისკ-ს § 176). ისჯება ძალადობის ან მუქარის გარეშე სექსუალური აქტის ჩადენა ცამეტ წლამდე ასაკის ბავშვებთან თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა მსხვერპლს უარი არ უთქვამს. ისკ-ს ახალი 179-ე § შემოღებით გაფართოვდა სქესობრივი ქმედების, მათ შორის ძალადობის, მუქარის გარეშე და მსხვერპლის თანხმობით სქესობრივი ურთიერთობის დასჯადობა, ოღონდ მხოლოდ ბავშვის მომვლელებისთვის.

III. ისკ-ს 176-ე და მომდევნო

პარაგრაფების ძველი რედაქციის პრობლემები-გადაწყდა თუ არა ისინი რეფორმის შედეგად?

ისკ-ს 176-ე და მომდევნო პარაგრაფებს დიდი ხანია აკრიტიკებენ. კრიტიკის ძირითადი პუნქტი იყო შეუსაბამობა კანონმდებლობასა და დელიქტის, როგორც სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, გაგებას შორის. იუსტიციის სამინისტროს შეფასებით, რეფორმა მიზნად ისახავს მინიმუმ ამ შეუსაბამობის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების ნაწილის გადაწყვეტას. ის, თუ რამდენად მიღწეულია ეს მიზანი, არის საწინდარი მთელი რეფორმის შეფასებისთვის. ქვემოთ მსურს საკვლევი პრობლემის დაზუსტება სქესობრივი თავისუფლების დაცვის გაფართოების საკითხით-

რეფორმის მხოლოდ რამდენიმე პუნქტი - ცოტა უფრო დეტალურად განვიხილოთ პრობლემის გადაჭრის მოცულობა და ფარგლები.

1. შეურაცხყოფიდან თავისუფლებისკენ

ისკ-ს კერძო ნაწილის სისტემაში სქესობრივი დანაშაულის კლასიფიკაცია არ შეცვლილა. 176-ე და მომდევნო პარაგრაფები, როგორც ადრე, ახლაც შედის 22-ე თავში - „შეურაცხყოფის, გარყვნილი ქმედებისა და ბიგამიის დანაშაული.“ უკვე ამ თავის სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ამ თავში შემავალი დანაშაულები ისკ-ს მიღების დროიდან, 1907 წლიდან იყვნენ დანაშაულები სექსუალური მორალის წინააღმდეგ. ისკ-ს 176-ე მუხლის წინ იმავე თავში მოცემულია „საზოგადოებრივად უხამსი ქმედებების“ და „უხამსი ნივთების გავრცელების“ დასჯადობის დებულებები. შემდეგ 23-ე თავში მოცემულია აზარტული თამაშის, გათამაშების და რელიგიური ინსტიტუტების ხელყოფის დანაშაულთა დეფინიცია. ისკ-ს კერძო ნაწილის სისტემაში ამ ქმედებათა ადგილი მიუთითებს იმაზე, რომ გაუპატიურება და სქესობრივი იძულება უნდა განვიხილოთ არა როგორც დანაშაული ადამიანის უფლებისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ, არამედ როგორც საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

შესაბამისი ქმედების შემადგენლობის აღწერისას გამოყენებული სიტყვების შერჩევა შეესაბამება ამ ქმედების მორალურ დანაშაულად კლასიფიკაციას. ისკ-ს 176-ე პარაგრაფით გათვალისწი-

ნებული სქესობრივი იძულების დებულებები ქმედებას აღწერს როგორც „უხამს ქმედებას.“ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ისკ-ს 177-ე პარაგრაფი გაუპატიურებას განმარტავდა როგორც „გარყვნილი ქმედების“ იძულებას. იაპონურ ენაზე ორიგინალური სიტყვა, რომელიც გარყვნილ ქმედებას შეესაბამება, რომელიც უხამსობას ან/და უზნეობას გულისხმობს, ვთარგმნე როგორც „გარყვნილი ქმედება.“ ის მოიცავს ასევე ამორალურობასაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია. ისკ დიდად არ შეცვლილა. გამონაკლისს წარმოადგენს იმპერატორის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გაუქმება. ახალი კონსტიტუციის თანახმად, რომელიც დღესაც ძალაშია, აღარ არის გამძლე ის ინტერპრეტაცია, რომელიც ისკ-ს 176 -ე პარაგრაფის შესაბამისად იძულებას ითვალისწინებს მორალის საწინააღმდეგო დანაშაულად. ეს გულისხმობს იმას, რომ ზოგადად სექსუალური ქმედებები განიხილება როგორც ამორალური ქმედებები.

თანდათანობით შეიცვალა სქესობრივი დანაშაულის უმართლობის შინაარსი-ქალის ღირსების ხელყოფიდან ორმოცდაათიან და სამოციან წლებში სექსუალური თავისუფლების ხელყოფით და სამოცდაათიანი წლებიდან სექსუალური თვითგამორკვევის დარღვევით. თუმცა კანონი დიდი ხანია არ შეცვლილა. საკანონმდებლო მდგომარეობამ, ასევე, იმოქმედა სასამართლო პრაქტიკაზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ეყრდნობოდა ისკ-ს 176-ე პარაგრაფის ძველ, პატრიარქალურ

ინტერპრეტაციას. 2017 წლის რეფორმის შედეგად „გარყვნილი ქმედების“ ცნება შეიცვალა და შეივსო „სქესობრივი ურთიერთობის, ორალური ურთიერთობისა და ანალური ურთიერთობის“ ცნებით. საბოლოოდ ზოგადი სექსუალური მორალის ცვლილება ასევე ნაწილობრივ მაინც არის დაფუძნებული კანონის ფორმულირებაზე. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად გაუპატიურება სახეზეა მაშინაც, როცა იძულებითი ქმედება მორალური თვალსაზრისით ნეიტრალურია, თუმცა წარმოადგენს სქესობრივი ურთიერთობის რომელიმე სახეს. ეს ცნება კარგად გვიჩვენებს, რომ აქ საუბარია არა ზნეობის, ადათ-წესების, მორალისა თუ სოციალური შეხედულებების ხელყოფაზე, არამედ ინდივიდის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფაზე. ამით რეფორმამ ამ საკითხებთან მიმართებაში სისხლის სამართლის კონსტიტუციასთან შესაბამისობა კიდევ უფრო განავითარა.

იაპონიის უზენაესი სასამართლოს ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება, სადაც სიამოვნების (სქესობრივი ჟინის) დაკმაყოფილების განზრახვა არ ჩათვალა საჭიროდ სქესობრივი იძულებისას, ასევე არის ამ სექსუალური დანაშაულის დემორალიზაციის ხაზზე.

მეორე მხრივ, ისკ-ს 176-ე პარაგრაფში რჩება „უხამსობის, გარყვნილების“ ცნება. ეს უბრალოდ შეუსაბამოა და ეწინააღმდეგება იაპონიის უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას.

იაპონიის სასამართლომ ტრადიციული „გარყვნილი ქმედებების“ ცნება ისკ-ს 176-ე პარაგრაფით გათვალისწი-

ნებული სექსუალური იძულებისას განმარტა შემდეგნაირად: გარყვნილი ქმედება არის „ქმედება, რომელიც აღიზიანებს და ასტიმულირებს სექსუალურ სურვილს, ასევე აზიანებს ჩვეულებრივი ადამიანის ნორმალური სექსუალური სირცხვილის განცდას და ეწინააღმდეგება კარგ სექსუალურ მორალს.“¹ ეს განმარტება სრულად შეესაბამება უმაღლესი სასამართლოს² გარყვნილი ქმედების/უხამსობის განმარტებას უხამსი საგნების განაწილებისას (ისკ-ს § 175). ასევე იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ქმედების შემადგენლობის მსგავს აღწერას: „მსხვერპლის სქესობრივი სირცხვილის გრძნობის ხელყოფა“³ ან „ქმედებები, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების სქესობრივ სირცხვილის გრძნობაზე.“⁴

რადგანაც ისკ-ს 176-ე და 174-ე პარაგრაფი ერთი და იგივე სიტყვა - „გარყვნილი ქმედება“-ს იყენებს, მიზანშეწონილია ამ სიტყვის ერთნაირი მნიშვნელობით განმარტება გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით. სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა მიანიშ-

¹ უზენაესი სასამართლოს (კოტოსაიბანჩო) სისხლის სამართლის საქმეების მე-2 ინსტანცია, ნაგოია, კანაზავას ფილიალი, 1961წ.-ის 2 მაისის გადაწყვეტილება, (სისხლის სამართლის საქმეებზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები, შემდეგში „კაკეიშუ“).

² 13. 3. 1957, სისხლის სამართლის საქმეებზე უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, შემდეგში „კაკეიშუ“, 11.997.

³ მაგალითად, ნაკამორი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეოთხე გამოცემა, ტოკიო, 2015, გვ.57, ნიშიდა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეექვსე გამოცემა, ტოკიო, 2012, გვ.89.

⁴ იხ. ნიშიდას დასახ. ნაშრ.

ნებს ქმედების მორალურად უარყოფით შეფასებაზე. უნდა ითქვას, რომ არსებობს ძლიერი წინააღმდეგობა ისკ-ს 176-ე პარაგრაფში „უხამსობის“ ტერმინის დატოვებასა და ისკ-ს 177-ე პარაგრაფში ტერმინი „გარყვნილების“ „სექსუალური ურთიერთობით“ შეცვლას შორის.

თუ საკითხს რეფორმის მიზნებიდან შევხედავთ, არსებობს მხოლოდ ერთი გზა, ისკ-ს 176-ე პარაგრაფში გარყვნილ ქმედებათა ცნება უნდა განვმარტოთ შეზღუდულად, სახელდობრ, „ისკ-ს 177-ე პარაგრაფში განსაზღვრულის გარდა სხვა სექსუალური აქტების“ მნიშვნელობით.

2. გაუპატიურება როგორც დანაშაული პატრიარქის უბიწოების ან ქონების წინააღმდეგ

ზოგჯერ ამბობენ, რომ გაუპატიურება შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკურ დანაშაულად, რომელიც ზიანს აყენებს პატრიარქის კუთვნილი ქალებისა და გოგონების ქონებას. მოგვიანებით ეს დელიქტი გაგებული იქნა როგორც ქალების უბიწოების დაზიანება. ეს არ არის მთლად ძველი პრობლემა.⁵

⁵იგივე კონტექსტის პრობლემას მიეკუთვნება ოჯახური გაუპატიურების საკითხი (marital rape exemption-ოჯახური გაუპატიურებისგან გათავისუფლება). რეფორმა გავლენას ახდენს ასევე შესაბამის დისკუსიაზე. იაპონური სასამართლოს თანახმად, ვინც საკუთარ ცოლს გაუპატიურებს, მას თითქმის არ აქვს დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ ისკ-ს 177-ე § არ ითვალისწინებს მეუღლეებს შორის მოქმედების პირდაპირ გამოყოფას. ამ პარაგრაფის ტექსტის ფორმულირების თანახმად, იძულების მიზანი იყო და არის ის, რომ არ შემოიფარგლოს „არარეგისტრირებული“ თანაცხოვრებით, ისე

როგორც ეს მოხდა გერმანიაში 1988 წლამდე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამონაკლისის სახით მეუღლეებს შორის გაუპატიურება მოხდა, დამნაშავემ გააუპატიურა ცოლი მესამე პირის თანამონაწილეობით. სასამართლომ ქმრის დასჯადობა იმით დაასაბუთა, რომ დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ქორწინებამ უკვე დაკარგა თავისი შინაარსი და მხოლოდ ფორმალურად იყო ქაღალდზე დაცული. ეს ნიშნავს იმას, რომ მატერიალური ან რეალური ქორწინება ჩვეულებრივ გამორიცხავს გაუპატიურების დასჯადობას. უნდა აღინიშნოს, რომ ვერ მოიძებნება სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ოჯახური გაუპატიურების საქმეების აღმოფხვრის სასარგებლოდ. ალბათ ეს ეფუძნება შესაძლებლობის პრინციპს. პროკურატურაც იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ ოჯახური გაუპატიურება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. იაპონიის იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ქორწინებაში (ოჯახში) ჩადენილი გაუპატიურება ისჯება მხოლოდ გამონაკლისის სახით ექსტრემალურ შემთხვევებში (იაპონიაში ამ საკითხზე დისკუსიის თაობაზე იხ. კუზუჰარა, ჰოგაკუ-სემინარი, ტ.35 (1990) ნაწ. 10, გვ.36 და მომდევნო). ბოლო რეფორმამ გაანეიტრალა რამდენიმე არგუმენტი ოჯახური გაუპატიურების დანაშაულის წინააღმდეგ. ერთი არგუმენტი ამბობს, რომ ქმრის მიერ სქესობრივი ურთიერთობის იძულება არ უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო სქესობრივ ნაწილში, რადგან სქესობრივი ურთიერთობა არის „ქორწინების აუცილებელი ელემენტი.“ ქმედება შეიძლება დაისაჯოს მაქსიმუმ მხოლოდ როგორც ზოგადი ძალადობა. ქმედების დასჯადობის გაფართოება ერთსქესიანთა შორის ურთიერთობით მიუთითებს, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მახასიათებელი არ არის დამოკიდებული იმაზე, არიან თუ არა ქორწინებაში მოქმედი და მსხვერპლი, განსაკუთრებით კი იაპონური სამართლის მიხედვით, სადაც ჯერჯერობით არ არის სამართლებრივად აღიარებული ერთსქესიანთა ქორწინება. ქმედების ობიექტის მდებარეობითი პირობით შეზღუდვის გაუქმება

ისსკ-ს 177-ე §-ის ძველი რედაქცია ქმედების ობიექტს ზღუდავდა მდედრობითი სქესის პირებით, რომელიც უკავშირდება ძველ პატრიარქალურ კონცეფციას. იაპონიის სასამართლო პრაქტიკა ეწინააღმდეგება გაუპატიურების უარყოფას მაშინ, როცა მსხვერპლი სპონტანურად მოხვდება დამნაშავესთან „ორი პირის სიტუაციაში“, თავის მხრივ აცდუნებს დამნაშავეს ინტიმურ სიტუაციაში ან მიჰყვება დამნაშავეს - მარტივად რომ ვთქვათ: დამნაშავესა და მსხვერპლს შორის უკვე არსებული ურთიერთობის კონტექსტში გაუპატიურების შემთხვევა. სასამართლო პრაქტიკის ეს დამოკიდებულება მკაცრად არის გაკრიტიკებული. არსებობს შემოფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ძველმოდურად მოაზროვნე იაპონელი მოსამართლეებისათვის, ასეთ სიტუაციებში უბიწოება აღარ განიხილება გაუპა-

უსარგებლოს ხდის იმ არგუმენტს, რომ ქმარს არ შეუძლია დაარღვიოს საკუთარი ცოლის უბიწოება. ქორწინებაში მყოფი მეუღლის გაუპატიურების დაუსჯელობა დასაბუთებულია ასევე იმით, რომ კანონი არ უნდა ერეოდეს ოჯახში. ეს არგუმენტი თავისთავად შეიძლება ადვილად უარყოფთ რამდენიმე საწინააღმდეგო მაგალითის ჩამოთვლით. მაშინაც კი, თუკი ვინმე გაიგებს წინადადებას „ოჯახის წევრის ნების საწინააღმდეგოდ“ განვრცობითად, ამ არგუმენტმა სრულად დაკარგა თავისი დამაჯერებელი ძალა საპროცესო კანონმდებლობაში კერძო საჩივრით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მუხლის გაუქმების შემდეგ; ეს ასევე ეხება იმ ვარიანტს, როცა ოჯახური გაუპატიურების დასჯა ცოლებს აძლევს მეუღლეზე მუქარის საშუალებას და შეუძლიათ განქორწინებისას უფრო ხელსაყრელი პირობების მიღება.

ტიურებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთედ.

ქმედების ობიექტის ქალით შეზღუდვის უარყოფით სულ ცოტა ნაწილობრივ მაინც გათავისუფლდა გაუპატიურების ქმედების შემადგენლობა ანაქრონისტული პატრიარქალური ოჯახის კონცეფციისგან. სწორედ აქ ჩანს 2017 წლის რეფორმის უდიდესი წარმატება.

3. ე.წ. ლგბტ-პირების სქესობრივი თავისუფლება?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედების ობიექტის შეზღუდვის გაუქმება ნიშნავს ლტბგ-პირების სქესობრივი თავისუფლების გათანაბრებას ჰეტეროსექსუალებთან. თუმცა ეს საკმაოდ პერსპექტიულია იმით, რომ ქმედების შემადგენლობის ნიშანი „გარყვნილი ქმედება“ შეიცვალა შემზღუდავი ჩამონათვალის „სქესობრივი, ანალური ან ორალური ურთიერთობები“, ამავე დროს ყველა მათგანი გულისხმობს მამაკაცის სასქესო ორგანოების შეღწევას; მხოლოდ მაშინ არის ის „მომრავა.“ ისსკ-ს 176-ე §-ით ადრე გათვალისწინებული სქესობრივი იძულების სხვადასხვა ქმედებათაგან, ისსკ-ს 177-ე §-ით განახლდა მხოლოდ ქალების სქესობრივი იძულება მამაკაცებთან მიმართებაში, ბიოლოგიურად მამაკაც ჰომოსექსუალებს შორის სქესობრივი იძულება და ორალური სექსის იძულება. ისსკ-ს 176-ე §-ით გათვალისწინებული სქესობრივი იძულების დასჯადობის სფეროს მიეკუთვნება მდედრობითი სქესის ადამიანებს შორის ქმედებები. რეფორმა შუა გზაზე გაჩერდა ლგბტ-ადამიანების სექსუალური თვითგამორკვევის საკითხში. „სქესობრივი კავშირი,“ „ანალური სქესობრივი კავშირი“ ანდა

„ორალური სქესობრივი კავშირი“-ს ქვეშ შეიძლება ასევე ვიგულისხმოთ მატერიალური საგნის შეღწევა სასქესო ორგანოში, ანუსში ან პირში. მაშინ დამნაშავე იქნება ქალიც და კაციც, რომელიც განსაკუთრებით მდებარეობითი სქესის პიროვნების საშოში, ანალურ ხვრელში ან პირის ღრუში რაიმე მატერიალურ საგანს შეიყვანს. ეს ქმედება მოცულია გაუპატიურების ქმედების შემადგენლობით. სიტყვა, რომელიც მე „ანალურ სქესობრივი კავშირად“ და „ორალურ სქესობრივი კავშირად“ ვთარგმნე, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთარგმნა როგორც „სქესობრივი კავშირი ანუსთან და პირის ღრუსთან.“⁶ ვინაიდან ანალური ხვრელი (ანუსი) და პირის ღრუ თავისთავად არ არის სასქესო ორგანოები, ამიტომ მათი ხელყოფა უნდა იყოს სექსუალური ხასიათის, რომ შეიძლებოდეს საუბარი სქესობრივ ურთიერთობაზე.⁷ სწორედ ამიტომ არსებობს ერთიანობა რეფორმის საკანონმდებლო კომისიების კრიტიკის თაობაზე, რომელიც მოითხოვს კანონის ფორმულირებისას მამრობითი სქესის წევრის მიერ ქალის ორგანოებში შეჭრის დადგენის აუცილებლობას. ასეთ შემთხვევაში მსგავსი ქმედების შემადგენლობის განხორციელება გათვალისწინებული იქნება ისკ-ს 177-ე §-ით.⁸ ქალის

⁶იაპონურ ტექსტში მას უწოდებენ „კომონ და კოკუ-სეიკო“-ს. კომონ და კოკუ შეესაბამება ანალურ ხვრელს და პირის ღრუს. სიტყვა „სეიკო“ შედეგება ორი ნაწილისგან, სადაც „სეი“ ნიშნავს სქესობრივი მიზნით, ხოლო „კო“ ნიშნავს მოძრაობას.

⁷მსგავსი შეხედულება იხ. ტაცუი, კეიჯიპოუს ჟურნალი, #55 (2018), გვ.7.

⁸ ასეთია გაბატონებული შეხედულება, ასე, მაგალითად, იმაი, კენშუ, #830, 40; იდა, კეო-ჰოგაკუ #31 (2015), 48; ტაცუი, (სქოლიო 7), 6;

სასქესო ორგანოების შეხება პირით, ტუჩებით ან ენით ასევე გაართულებს ორალური სქესის ცნებას იმ პირობით, რომ ასეთი ქმედებები არ მოიცავს პირის ღრუს ჩართვას.⁹

4. მამაკაცის მიერ შეღწევის

განსაკუთრებული მნიშვნელობა

გაუპატიურება და სქესობრივი იძულება რეფორმის შემდეგ განსხვავდება მამაკაცის სასქესო ორგანოების შეღწევის გათვალისწინებით. ეს განაპირობებს ორ განსხვავებულ შეფასებით კითხვას: რატომ არის საერთოდ შეღწევა ასე მნიშვნელოვანი და რატომ მხოლოდ მამაკაცის მიერ შეღწევაა ასეთი?

კანონმდებელი კანონის დასაბუთებისას არ განიხილავს იმას, თუ რის გამო უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა „სქესობრივ კავშირს“ ან მამაკაცის სასქესო ორგანოების შეღწევას. ზოგადად სხეულში შეღწევა იწვევს ადამიანის სხეულის ფიზიკური მთლიანობის დარღვევის დიდ საფრთხეს. ეს შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ქმედების ალტერნატივისას ყველა ღია ორგანო, როგორცაა საშო, ანუსი ან პირი,

ფუკამაჩი, GA 2017, 447. პენისის ასეთი განსაკუთრებული პოზიცია ასევე არ არის იშვიათი გამონაკლისი იმ კანონმდებლობაში, სადაც აღარ არსებობს მსხვერპლის შეზღუდვა სექსუალური ნიშნით. გაერთიანებულ სამეფოში ინგლისურ სამართალში მაგ., Rape in Section 1 of the Sexual Offences Act 2005 შემდეგნაირად განიმარტა: (1) A person (A) commits an offence if—(a) he intentionally penetrates the vagina, anus or mouth of another person (B) with his penis, (b) B does not consent to the penetration, and (c) A does not reasonably believe that B consents. თითქმის იგივე წესი მოქმედებს შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში.

⁹ იმაი, კენშუ, # 830,50; ჰამიზუმე, ჰირიცუ ნო ჰირობა, ტ. 70 (2017), ნაწ. 11, გვ. 5.

ჩავთვალთ, როგორც ქმედების ობიექტი. თუმცა მხოლოდ ეს არ პასუხობს მეორე კითხვას. ფიზიკური ჩარევის ინტენსივობა თითების ან სხვა ინსტრუმენტების შეღწევისას არის ისეთივე სიძლიერის, რაც მამაკაცის მიერ განხორციელებული შეღწევისას.

თუ ლორწოვანი გარსები შედიან ერთმანეთთან, ინფექციის რისკი შეიძლება იყოს ოდნავ მაღალი, ვიდრე კანთან უბრალო კონტაქტისას. იგივე ეხება ქალის სასქესო ორგანოების ერთ ან ტუჩით შეხებას.

ჰეტეროგენულ სქესობრივ კავშირს შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან მას ახლავს ორსულობის შესაძლებლობა.¹⁰ რეფორმის შემდეგ გათანაბრებულია ისეთი სქესობრივი კავშირები, როგორცაა ანალური და ორალური სქესობრივი კავშირი, რომლებიც არ ქმნიან ფეხმძიმობის საფრთხეს. მამაკაცის სასქესო ორგანოების განსაკუთრებულ მდგომარეობას ვერც ეს საფრთხე განმარტავს.

სექსუალური ზემოქმედების შედეგების მასშტაბი ანალური და ორალური სქესობრივი კავშირის დროს და უბრალო თანაცხოვრებისას არ გვამდევს იმის დასაბუთებას, რომ მამაკაცის მიერ

¹⁰ ასეა, მაგალითად, ტოკიოს პრეფექტურის სასამართლოს ტახიკავას ფილიალის პრაქტიკა, იხ. განაჩენი v. 1. 3. 2012 LEX/DB 2540580; ოსაკას პრეფექტურის სასამართლო, იხ. განაჩენი v. 21. 6. 2013 LEX/DB 25501587 და სხვები. ჩვეულებრივი სქესობრივი კავშირის ანალურ და ორალურ სქესობრივ ურთიერთობასთან გათანაბრების კრიტიკასთან დაკავშირებით იხ. კამონი, ჰანზაი თუ კაიბაცუ, № 26,25; ასადა, ჰანზაი თუ კაიბაცუ, № 26,7; ამათგან განსხვავებულად სატო, ჰოგაკუ კუომიცუ, №418 (2015), 26.

შელწევის გარეშე მოქმედებები არ უნდა მიეკუთვნებოდეს გაუპატიურების დანაშაულს. საგნების ორგანოში შეღწევას, როგორც მაგ., შეღწევას საშოში, პირში ანდა ანალურ ხვრელში აქვს თითქმის ისეთივე სექსუალური მნიშვნელობა, როგორც ბუნებრივ სექსუალურ ურთიერთობას.¹¹ ისმება კითხვა, უნდა განისაზღვროს თუ არა იძულების მიზანი, როგორც სექსუალური შეღწევა.¹² ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ აღინიშნება, რომ მაშინ აქ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ისეთი ქმედება, რომელიც თავის სუბიექტურ შემადგენლობაში, სახელდობრ, კი მოქმედის განზრახვაში სექსუალურია და ასევე მხოლოდ მსხვერპლისათვის არის სუბიექტურად სექსუალური.

თუმცა, შეიძლება ითქვას შემდეგი:

¹¹ ამ საკითხზე კრიტიკული, სატო, ჰოგაკუ კუომიცუ № 418 (2015), 26; იდა, კენშუ № 806, 12, „მამაკაცის მიერ შეღწევა განსაკუთრებით დამამცირებელია, მჭიდრო სქესობრივი ქმედებები,“ მსგავსი მოსაზრება აქვს ჰაში-ზუმეს, ჰორიცუ ნო ჰირობა, ტ. 70(2017), ნაწ. 11, S.5; ფუკამაჩი, (სქოლიო 7) ფიქრობს, რომ უნდა ვივარაუდოთ თუ არა გაუპატიურება დამოკიდებულია „სქესობრივი“ ხელყოფის ინტენსიურობაზე. ამიტომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ქმედების ობიექტურ სექსუალურ ურთიერთობაზე, რომელიც უეჭველად გულისხმობს მამაკაცის მიერ შეღწევას. „ობიექტური სექსუალური ურთიერთობა“ შეიძლება ვივარაუდოთ მაშინ, როცა მამრობითი თუ მდედრობითი სქესის განურჩევლად რომელიმე მოქმედის გენიტალის ერთი ნაწილი მაინც არის ჩართული, თუნდაც რაიმე საგნის (რომელიც განკუთვნილია სექსუალურ კონტექსტში გამოსაყენებლად) ანალურ ხვრელთან ან პირთან კომბინაციით.

¹² ასევე ტაცუო, კეიჯიჰოუს ჟურნალი, №55 (2018), გვ. 6.

მოქმედის სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სექსუალური იდენტობისა და სექსუალური განზრახვის მიუხედავად, რაიმე ნივთის ქალის სასქესო ორგანოში შეღწევას აქვს ობიექტურად სექსუალური მნიშვნელობა.

ზოგიერთი ქმედებები „ნეიტრალურია“ და მხოლოდ მოქმედის სპეციალური განზრახვის არსებობისას შეიძლება მივაკუთვნოთ სექსუალურ ქმედებებს. ეს ეხება ყველა ქმედებას განურჩევლად იმისა, იცის თუ არა მსხვერპლმა დამნაშავეს მიზანი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქმედებას თან არ ახლავს ძალადობა ან მუქარა, მაგალითად, სამედიცინო მკურნალობა, მსხვერპლი ვერ აღიქვამს მოქმედის განზრახვას (როგორც ჩანს)-მანამ, სანამ არ მოხდება ანალურ ხვრელში ან პირის ღრუში სექსუალური მოქმედება. ასე კი გამოდის, რომ არ არის გაუპატიურების წინაპირობა მოქმედ კანონში. ძალადობის გამოყენებითპირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა ნებისმიერი საგნის გამოყენებით შესაძლებელია შეესაბამებოდეს ისსკ-ს 177-ე §-ით დასჯადობას. მსხვერპლის მიერ სათანადო ცოდნის გარეშეც კი ხელყოფილია შესაბამისი სამართლებრივი სიკეთე.

მეორეს მხრივ, ქმედების იძულება რომელიც მხოლოდ მსხვერპლის წარმოდგენით არის სექსუალური ხასიათის, არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას მოქმედის განზრახვის არარსებობის გამო. თუ დამნაშავე იცნობს მსხვერპლის განსაკუთრებულ, იშვიათ სექსუალურ გრძნობებს, მაშინ უკვე არსებობს ობიექ-

ტური, ყოველ შემთხვევაში ინტერსუბიექტური უმართლობა.¹³

5. სასჯელის მუქარის არასაკმარისი სიმძიმე

იაპონიის იუსტიციის სამინისტროს მოსაზრებით რეფორმის ძირითადი საფუძველია ის, რომ სასჯელის მინიმალური ზღვარი დაბალია დანაშაულის სიმძიმესთან შედარებით და უკვე აღარ შეესაბამება მოქალაქეების მორალურ ღირებულებებს. თუ ისსკ-ს 177-ე §-ს იზოლირებულად განვიხილავთ, ვნახავთ რომ სასჯელის მინიმალური ზღვარის 2 წლით გაზრდა გაუპატიურების ჩამდენ დამნაშავეს ართმევს მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების საფუძვლის არსებობისას. საკმაოდ საეჭვოა, არის თუ არა -უფრო ტექნიკური პირობა-გათვალისწინებული „მოქალაქეების მორალურ ღირებულებები.“ ეს მორალური ღირებულებები გარკვეული ქცევების გათვალისწინებით შეიძლება შეესაბამებოდეს გაუპატიურების ქმედების შემადგენლობას და უმართლობის დონეს.

სასჯელის მინიმალური ზღვარის გაზრდით მაინც იყო შესაძლებელი საკამათო ჯგუფური გაუპატიურების გაუქმება. ეს შეიძლება იყოს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კარგი ვარიანტი.

¹³ვინც აღიქვამს კბილის ჯაგრისის შეღწევას საკუთარ პირში, როგორც სექსუალურს, მან უნდა დაარწმუნოს მოსამართლე, როგორც ფართო საზოგადოების წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში, ამ კონკრეტული თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ აქაც არის ობიექტურობის გარკვეული ხარისხი.

6. ძალადობისა და მუქარის ინტენსივობა

ძალადობისა და მუქარის ქმედების შემადგენლობის ნიშნები გაკრიტიკებულია ძირითადად იაპონურ-ფემინისტური კუთხით - არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, არამედ მათი საკანონმდებლო გამყარების გამო. ასევე შემოთავაზებულია ამ დანაშაულის წინაპირობათა უარყოფა. ქმედების შემადგენლობის მახასიათებლები მხოლოდ მოძველებული მითითებებია, რომელიც წარმოიშობა გაუპატიურების ძველი გაგებიდან, როცა ის განიხილებოდა როგორც უბიწოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

იაპონიის სასამართლო პრაქტიკა ისკ-ს 177-ე §-ის ნიშნებისთვის ძალადობისა და მუქარის განხორციელების წინაპირობად მოითხოვს მათ განსაკუთრებულ ინტენსივობას. ძალადობა ან მუქარა გაუპატიურების შემადგენლობის ნიშნებს რომ შეესაბამებოდეს, აუცილებელია დადგინდეს ამ ქმედებებით მსხვერპლის ისე დათრგუნვა, რომ მას ცოტა შესაძლებლობა დარჩეს, რათა დამნაშავეს გაეცეს ან შექმნილი ვითარება თავიდან აიცილოს.¹⁴ ისკ-ს

¹⁴უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება v. 10. 05. 1949. კაიშუ 3, 6,711;საჰეკი, ჰოსო-ჯიჰო 67.9.23, ეს მოთხოვნა არ არის სავალდებულო, არამედ მხოლოდ საკმარისი პირობაა. *ფუკამაჩიკე* ამას იზიარებს, ჰოგაკუ-კუოშიცუ, №. 427,36. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების აქ მოყვანილ განაჩენებში შეიძლება ვიპოვოთ ბევრი ისეთი, სადაც ძალადობის განსაკუთრებული ინტენსივობა გაგებულია როგორც მინიმალური მოთხოვნა. ასე, მაგ., ოსაკას პრეფექტურის სასამართლოს განაჩენი v. 27. 6. 2008 LEX/DB28145357; ჰიროსიმას

176-ე §-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არსებობისათვის წინააღმდეგობის უმნიშვნელო დაქვეითებაც კი საკმარისია.¹⁵ ეს იმსახურებს კრიტიკას იმის გამო, რომ სასამართლო პრაქტიკა გაუპატიურების დამაბრკოლებელ გარემოებას მაღალ შეფასებას აძლევს ორი სქეს შორის განსხვავებული ფიზიკური შესაძლებლობის არასწორი შეფასების გამო. ამიტომ შეუძლებელია სწორად გადაწყდეს სქესობრივი თავისუფლების საკითხი.

როცა მოქმედი პატარა ა/მანქანაში ქალს ჩაკეტავს, დააწვენს და გახდის ტანსაცმელს, ქვედა ინსტანციის სასამართლო ამ შემთხვევაში უარყოფს ძალადობის სავარაუდო ინტენსივობას. ასეთი ფიზიკური ქმედება თან ახლავს ნორმალურ სქესობრივ კავშირს და ჯერ არ მიუღწევია იმ დონეს, როცა მსხვერპლისთვის უკიდურესად რთულია წინააღმდეგობის გაწევა.¹⁶ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომელიც ასეთ ქმედებას განმარტავს როგორც უბიწოების ხელყოფას: „დაცული უნდა იყოს თუ არა სისხლისსამართლებრივად ამ პარაგრაფებით მცირე ძალადობით და

უმაღლესი სასამართლოს განაჩენი v. 20. 11. 1978, ჰანრეი-ჯიჰო, №.923,112; ოსაკას პრეფექტურის სასამართლოს განაჩენი v.12. 3. 1971, ჰანრაი-ტაიმსი, №.267, 376.

¹⁵ ტაიშინინ (იაპონიის საიმპერიო სასამართლო, შემდეგში „ისს“), განაჩენი v. 11. 9. 1933, ჰორიცუ-შინბუნ 3615,11; ნაგოიას უმაღლესი სასამართლო, განაჩენი v. 2. 6. 2003, ჰანრაი-ჯიჰო, №.1834,161.

¹⁶ ჰიროსიმას უმაღლესი სასამართლოს განაჩენი v.20. 11. 1978, ჰანრაი-ჯიჰო, №.922, 111.

მუქართ უბრალოდ შებღალული უბიწობა?¹⁷

სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში გაკეთებული მსგავსი შეფასებების გამო რეფორმის ნაკლი არის ის, რომ მან კანონში ხელუხლებელი დატოვა ძალადობის თვისება. ასე რომ, ჯერ კიდევ არსებობს დიდი საკანონმდებლო ხარვეზი.

2016 წლის ოქტომბერს ძალაში შესული გერმანიის სსკ-ს 177-ე §-ის რეფორმა უარყოფს ძალადობის გამოყენების ტრადიციულ წინაპირობებს. აშშ-ს ბევრ შტატში არსებობს სსკ, რომელიც არ ითვალისწინებს ძალადობას გაუპატიურებისათვის. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა იმის თაობაზე, რომ იაპონიის სამართალმაც ხომ არ უნდა აირჩიოს ეს გზა.

არც ემპირიულად და არც ნორმატიულად გამართლებული საფუძველი აქვს იმას, რომ გაუპატიურების დასჯადობა შეიზღუდოს ძალადობის ან მუქარის მხოლოდ განსაკუთრებით ინტენსიური გამოყენების შემთხვევებით. ძალადობის გამოყენების სახე, მაგალითად, ყაჩაღობისას უნდა იყოს საკმაოდ ინტენსიური,¹⁸ რადგან ამ დროს

საქმე ეხება მსხვერპლის მიერ მოძრავ ნივთზე რეალური კონტროლის აღმოფხვრას. მსხვერპლის მიერ ნივთის უშუალო პყრობა შეიძლება დავძლიოთ მხოლოდ დიდი ძალით. ქურდობისგან განსხვავებით, რომელიც ყაჩაღობის მსგავსად ითვალისწინებს მსხვერპლის ნების საწინააღმდეგო მფლობელობის დარღვევას, ანდა გამოძალვა, რომელიც ყაჩაღობის მსგავსად ითვალისწინებს ძალადობის გამოყენებას, ყაჩაღობის ჩასადენად აუცილებელია ფიზიკური ძალის ინტენსიური გამოყენება. გაუპატიურებისას ეს ქმედება ხდება მსხვერპლის ნების დასათრგუნავად. მსხვერპლის ნების დასათრგუნავად ყოველთვის არ არის საჭირო დიდი ძალა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი არის ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი და მსხვერპლი კი ქალი. გარდა ამისა, ამ თვალსაზრისით, გაუპატიურება და სექსუალური იძულება არ არიან ერთმანეთთან ისეთ თანაფარდობაში, როგორც ყაჩაღობა და ქურდობა, არამედ უკავიათ შუალედური მდგომარეობა. განსხვავება მდგომარეობს იძულებითი ქმედების ფორმაში. სასამართლო პრაქტიკაც ხედავს მათ შორის ალტერნატიულ დამოკიდებულებას.

ძალადობით სქესობრივი კავშირის განსახორციელებლად საჭიროა ძალადობის უფრო გაძლიერებული ფორმა, ვიდრე სექსუალური ხასიათის ქმედების იძულებისას, აი თუნდაც კოცნის იძულება. გაუპატიურებისას ასევე დასჯადია მისი მცდელობა. მოქმედი, რომელიც ფიზიკური ძალის უკმარისობის ანდა

¹⁷ ტოკორო, დანდო და სხვები, რედ., ჩუსუაკუ კაიპოუ (სსკ-ს კომენტარი) ტ. 4 (1965), გვ. 298; ოსაკას პრეფექტურის სასამართლოს განაჩენი v. 12. 3. 1971, ჰანრაი-ტაიმსი, №267, 376 მსხვერპლის უხამსი ცხოვრების წესის მიუხედავად უარყოფს წინააღმდეგობის გაწვევისას ძალის გამოყენებას.

¹⁸ აუცილებელია ძალადობის ან მუქარის გამოყენება, რომელიც საკმარისია მსხვერპლის წინააღმდეგობის ჩასახშობად, ის, განაჩენი v. 4. 4. 1914. ჰორიციუ შინბუნ 940. 22; უხენაესი სასამართლოს განაჩენი v. 8. 2. 1949, კაიშუ 3.2.75; ის-ს განაჩენი v. 24. 6.

1914, ტაიშინი კაიჯი ჰანკეცუროკუ, 20.1333 და ა.შ.

ძალადობის გამო ვერ ახერხებს სექსობრივ კავშირს, სჩადის გაუპატიურების მცდელობას.

სასჯელის მინიმალური ზღვარის შედარება გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ქმედების იძულებისას ვერ ამართლებს ამ ტექსტების განსხვავებულ მნიშვნელობას. განსხვავება ძირითადად დამოკიდებულია ქმედების ფორმების მავნებლობაზე. სექსუალური ხასიათის ქმედების იძულება მოიცავს „გარყვნილი ქმედების“ ყველა შესაძლო იძულებას. ამას შეიძლება მიეკუთვნოს ხანმოკლე შეხება სხეულის ცალკეულ ადგილებზე, ასეთია მაგალითად, მკერდი, ტუჩები ან სასქესო ორგანოები და ა.შ. ისკ-ს 176-ე §-ის სასჯელის მინიმალური ზღვარი შეესაბამება ასეთ შემთხვევებს.

ეს ყველაფერი არის განმარტების საკითხი. სულ სხვა განზომილების საკითხია, კანონმდებელმა გაუპატიურების ქმედების შემადგენლობისთვის საერთოდ უნდა გაითვალისწინოს თუ არა ძალადობის გამოყენება. თუკი გერმანული სამართლის მსგავსად გაუქმდება ძალადობის გამოყენების წინაპირობა მინიმუმ მარტივი შემადგენლობისთვის და მხოლოდ კვალიფიციური შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად დარჩება, რასაკვირველია, აღარ დაისმება ინტენსივობის მინიმალური მოთხოვნის საკითხი.

სამაგიეროდ, შეიძლება საჭირო გახდეს მტკიცებულება. გაუპატიურება ძალადობის გამოყენების გარეშე შეიძლება დავასაბუთოთ მხოლოდ ნების ხელყოფით. გარემოებების მიხედვით ზოგჯერ ძნელი დასამტკიცებელია, სექსობრივი კავშირი დამყარდა თუ არა

პარტნიორის ნების საწინააღმდეგოდ. აქ ხშირად დღის წესრიგში დგება შეცდომის საკითხი. გაუპატიურების გამო ბრალდებულები ხშირად ამტკიცებენ, რომ მათ არ იცოდნენ, თუ სავარაუდო პარტნიორს არ სურდა სექსობრივი კავშირი.¹⁹ ხშირად არც თუ ისე ადვილია ასეთი არგუმენტის უარყოფა და განზრახვის ნამდვილობის დამტკიცება.

ძალადობის ანდა მუქარის გამოყენების წინაპირობები ნიშნავს იმავდროულად მიზეზობრივი კავშირის არსებობას სექსობრივ კავშირსა და ძალადობის ან მუქარის გამოყენებას შორის. ძალადობის ანდა მუქარის გამოყენების გარეშე არ უნდა იყოს (იძულებითი) სექსობრივი კავშირი. ამ მხრივ წარმოდგენილია, რომ დაზარალებულმა მისცა თავისი ეფექტური თანხმობა სექსობრივ კავშირზე მაშინ, როცა ეს კავშირი ამჟამად იძულებითია. ამ გზით ასევე შესაძლებელია უფრო ადვილად უარყო შეცდომის არსებობა.²⁰ უმეტეს

¹⁹ გერმანიის სსკ-ს 177-ე §-ის 1-ლი და მე-6 აზნაცი მოთხოვს ასევე გაუპატიურებისას მხოლოდ იმას, რომ სექსობრივი ქმედებები, ინკლუზიური თანაცხოვრება „სხვა პირის აღქმადი ნების საწინააღმდეგოდ“ მოხდეს ამ პირზე. *ფიშერის* მიხედვით, სსკ-ს კომენტარის 66-ე გამოცემა, 177-ე §-ის მე 17 პუნქტი, დამნაშავემ უნდა იცოდეს მსხვერპლის უხასიათობა და შეძლოს მისი „აღქმა“. თუმცა ასეთი განმარტება ტექსტს „პირის აღქმადი ნების საწინააღმდეგოდ“ ხდის თითქმის უმნიშვნელოს. ასევე საკითხავია თუ რა არის „შეძლოს აღქმა“.

²⁰ ასე, მაგ., *კიტაგავა*, *ჰოგაკუ კიოშიცუ*, №445 (2017), გვ. 65; *საჰკვი*, *ჰოსო-ჯიჰო*, 67.9.28, იგივეს აყალიბებს საპირისპიროდ, როცა ამბობს, რომ ძალადობის გამოყენების უარყოფით ამავე დროს არ დადასტურდება თანხმობის არარსებობა.

შემთხვევაში სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში უარყვეს მსხვერპლის თანხმობის მტკიცება ან თანხმობის შეცდომით გაგება ძალადობის გამოყენების დადგენისას.²¹ ძალადობის ანდა მუქარის გამოყენების პირდაპირი საკანონმდებლო მოთხოვნა ემსახურება მინიმუმ სქესობრივი თავისუფლების სისხლისსამართლებრივ დაცვას.

ძალადობის გამოყენების მოთხოვნით პრინციპში, არც თუ ისე ბევრი სახის პირის ნების საწინააღმდეგოდ ჩადენილი სექსუალური ქმედება არის გამორიცხული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროდან, თუ ის განხორციელდა განსაკუთრებული ინტენსივობის გარეშე. დღესაც შესაძლებელია ისსკ-ს 176-ე §-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ჩადენა, თუ მოქმედმა ზოგადად გამოიყენა ძალადობა ან მუქარა. გაუპატიურებისას აუცილებელია ძალადობის ან მუქარის ნიშნების შესაბამისი გამოხატვა და ინტერპრეტაცია. ძალადობისა და მუქარის გარეშეც დასჯადია გაუპატიურება და სექსუალური ხასიათის ქმედება ადამიანთან, რომელსაც არ დაუსრულდა 12 წელი (ისსკ-ს §§ 176-ე, ნაწ. 2, 177-ე, ნაწ. 2).

გარდა ამისა, შესაძლებელია რომ „კვაზი“ გაუპატიურება ისსკ-ს 178-ე §-ის მე-2 ნაწილის გამარტივებულ წინაპირობებს შეესაბამოს. ისსკ-ს 178-ე §-ის

მე-2 ნაწილის მიხედვით ისჯება ის, ვინც სქესობრივ კავშირს დაამყარებს „მსხვერპლის ფსიქიკური ავადმყოფობის ან ისეთი გარემოების გამოყენებით, როცა მსხვერპლი დაუცველია დამნაშავეს გავლენისგან.“ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მსხვერპლის დაუცველი ვითარება წარმოიქმნება მოტყუებით ან ძნელად დასაძლევ სოციალურ-ფსიქიკური ზემოქმედებით.²² ამას ემატება არასრულწლოვნის მომვლელი პირების მიერ სქესობრივი იძულებისა და გაუპატიურების ისსკ-ს 179-ე §-ით ახლადშექმნილი რეგულირება, რომელიც ითვალისწინებს მოქმედის განსაკუთრებულ მდგომარეობას და მის მიერ ამის

²² მოჩვენებითი სამედიცინო მკურნალობა, კვაზი-სამედიცინო ან ესთეტიკური თერაპია, კოფუს პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v. 27.5.2014, LEX/DB 25504086, ტოკიოს პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v. 27.9.1999, კოკაისოკუ, ტოკიოს პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v15.4.1987, ჰანრაი-თაიმსი, 640,227, ნაგოიას პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v28.7.1980, ჰანრაი-ჯიჰო, 1007,140, ტოკიოს პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v16. 3. 1963, კაკაიშუ 5, 3=4, 244; იმ მდგომარეობის გამოყენება, როცა მოქმედის მიერ მსხვერპლის მიმართ ბევრჯერ ჩადენილი ძალადობისა და მუქარის გამო ეს უკანასკნელი ხდება დამნაშავეზე დამოკიდებული. ჰიროსიმას უმაღლესი სასამართლო, განაჩენი v. 4. 7. 2012, LLI/DB L06720347; მოსწავლე-მასწავლებელს შორის სოციალური ურთიერთდამოკიდებულების სტატუსის გამოყენებით სექსუალური იძულება, აკიტას პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v, 20. 2. 2013, LEX/DB 2550971; იხილეთ ასევე ზემოთ დასახელებული კოფუს პრეფექტურის სასამართლო, განაჩენი v 27.5.2014, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობაზე იხ. ტოკიოს უმაღლესი სასამართლო, განაჩენი v. 27.1.1981, კაიგაცუ 13, 1=2, 50.

²¹ მაგალითად., ტაკამაცუს უმაღლესი სასამართლო, განაჩენი v. 29. 9. 1972, ჰანრაი-თაიმსი 291,276; ტოკიოს უმაღლესი სასამართლო, განაჩენი v. 28.11.1968, ჰანრაი-თაიმსი 233, 190; ოსაკას უმაღლესი სასამართლო, განაჩენი ჰანრაი-თაიმსი 230, 308 და ა.შ.

გამოყენებას. ²³ ამან შეიძლება სხვა შემთხვევებიც დასჯადი გახადოს, მაგრამ ისინი ძალადობის ან მუქარის მოთხოვნის გამო არ შეესაბამება ისკ-ს 179-ე §-ით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებს.²⁴

ექვსი თვიდან ათ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის (ისკ-ს 176-ე §), ან ხუთი წლიდან ოც წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის (ისკ-ს 177-ე §) სასჯელის გამკაცრების გათვალისწინება უნდა იყოს შესაბამისი მინიმალური დაბრკოლება ძალის გამოყენების წინაპირობის შესანარჩუნებლად.

გერმანულ სამართალში (გსკ-ს 177-ე §-ის 1-ლი ნაწ.) სექსუალური თავდასხმის ძირითადი შემადგენლობა ითვალისწინებს არც ძალადობის და არც მუქარის გამოყენებას. სასჯელის ზომა განსაზღვრულია ექვსი თვიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ისკ-ს 177-ე §-ის შესაბამისი დებულება, რომელიც გათვალისწინებულია გსკ-ს 177-ე §-ის მე-ნაწ.-ით, სასჯელის მინიმალურ ზღვარად ითვალისწინებს ორი წლით თავისუფლების აღკვეთას. იაპონიის სისხლის სამართალთან შედარებით გერმანულ სისხლის სამართალში უფრო ფართოა დასჯად ქმედებათა წრე, მაგრამ დაბალია გათვალისწინებული

სასჯელი ზომა. თუ ჩავთვლით, რომ იაპონიისთვის აუცილებელია ძალადობისა და მუქარის გარეშე სექსუალური ქმედების დასჯადობა, მაშინ რეკომენდებულია შემოვიღოთ ქმედების ახალი შემადგენლობა სასჯელის მსუბუქი ზომით.²⁵

დასკვნა

2017 წელს ისკ-ში განხორციელებული სექსობრივი დანაშაულის რეფორმა-ცალკეული შენიშვნების მიუხედავად-მთლიანობაში უნდა შეფასდეს დადებითად. განსაკუთრებით აღსანიშნავია „გარყვნილი ქმედების“ ცნების გაუქმება, რომელიც მკაცრად ჰგავს უზნეობას ან ამორალურობას. ხელყოფის ობიექტის მხოლოდ ქალით შეზღუდვის გაუქმება არის ნაბიჯი სექსუალური დანაშაულის დემორალიზაციის მიმართულებით და სექსობრივი თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

სექსობრივი დანაშაულის რეფორმამ გამოიწვია დისკუსია, რომელიც ადრე იყო მხოლოდ ფემინისტებსა და კონსერვატორებს შორის პოლიტიკური დებატების საგანი. ცვლილებებით ყურადღება გამახვილდა საკითხის სამართლის მხარეზე, რაც ასევე არის რეფორმის ერთ-ერთი დადებითი ეფექტი.

²³ შეიძლება აქამდე იგნორირებული იყოს საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ეს ახალი რეგულაცია თავისთავად პრობლემატური. საუბარია იმაზე „მაინც“ არის თუ შესაძლებელია ძალადობის გამოყენების გარეშე გაუპატიურების ზოგადი შემადგენლობა.

²⁴ იხ. ფუკომარი, ჰორიციუ-ჯიპო, ტ.89, ნაწ.9, გვ.103

²⁵ იხ. საიტო, ჰანცაი თუ კაიბაცუ, 26, 72.

რიკიზო კუზუჰარა

კანსაის უნივერსიტეტის პროფესორი (ოსაკა, იაპონია)

სქესობრივი დანაშაულის რეფორმა იაპონიაში

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის სსკ-ში 2017 წელს განხორციელებული სქესობრივი დანაშაულის რეფორმა, ცალკეული შენიშვნების მიუხედავად, მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „გარყვნილი ქმედების“ ცნების გაუქმება. ხელყოფის ობიექტის მხოლოდ ქალით შეზღუდვის გაუქმება არის ნაბიჯი სექსუალური დანაშაულის დემორალიზაციის მიმართულებით და სქესობრივი თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

ხელყოფის ობიექტის შეზღუდვის გაუქმება ნიშნავს ლგბტ-პირებისა და ჰეტეროსექსუალების სქესობრივი თავისუფლების გათანაბრებას. ამით დაზუსტდა, რომ „გარყვნილი ქმედების“ ქმედების შემადგენლობის ნიშნები „სქესობრივი კავშირის, ანალური სქესობრივი კავშირის ანდა ორალური სქესობრივი კავშირის“ შემზღუდავი ჩამონათვალის საშუალებით შეიცვალა, რადგან ყველა მათგანი გულისხმობს მამაკაცის სასქესო ორგანოების შეღწევას; მხოლოდ მაშინ არის „სქესობრივი კავშირი.“ ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული გაუპატიურების შემადგენლობაში ქალებს შორის სქესობრივი ხასიათის ქმედება.

შესაბამისად, მამაკაცის სასქესო ორგანოს შეღწევით განსხვავდება გაუპატიურება და სქესობრივი ხასიათის ქმედების იძულება. ამ დროს ისმება ორი შეფასებითი კითხვა: რატომ აქვს შეღწევას ასე განსაკუთრებული მნიშვნელობა და რატომ მხოლოდ მამაკაცის მიერ? ვერ იპოვით ამ შეკითხვებზე დამაჯერებელ პასუხს.

არც ემპირიულად და არც ნორმატიულად გამართლებული საფუძველი აქვს იმას, რომ გაუპატიურების დასჯადობა შეიზღუდოს ძალადობის ან მუქარის მხოლოდ განსაკუთრებით ინტენსიური გამოყენების შემთხვევებით.

თუ ჩავთვლით, რომ იაპონიისთვის აუცილებელია ძალადობისა და მუქარის გარეშე სექსუალური ქმედების დასჯადობა, მაშინ რეკომენდებულია, შემოვიღოთ ქმედების ახალი შემადგენლობა სასჯელის მსუბუქი ზომით.

სქესობრივი დანაშაულის რეფორმამ გამოიწვია დისკუსია, რომელიც ადრე იყო მხოლოდ ფემინისტებსა და კონსერვატორებს შორის პოლიტიკური დებატების საგანი. ცვლილებებით ყურადღება გამახვილდა საკითხის სამართლის მხარეზე, რაც ასევე არის რეფორმის ერთ-ერთი დადებითი ეფექტი.

Kuzuhara RikizoProfessor of Kansai University
Reform of Sex Crimes in Japan**Reform of Sex Crimes in Japan**

It should be noted that despite some criticism, the 2012 reform of sex crimes in the Criminal Code of Japan can be assessed positively overall. It is especially noteworthy the abolishment of the notion of “lewd acts”. Removing the restriction of the object of infringement only to women is a step towards the demoralization of sex crimes and safeguarding protection of sexual freedom.

Removing the restriction of the object of infringement means making the sexual freedom of LGBT persons and of heterosexuals equal. This clarifies that the components of *corpus delicti* of the “lewd acts” have been substituted by a restrictive list of “sexual intercourse, anal intercourse, or oral intercourse”, because all of them involve penetrating by male genitals; Only in such a case there is “sexual intercourse.” *Corpus delicti* of rape still does not include sexual acts between women.

Hence, penetration by male genitalia distinguishes the rape from the coercion into acts of sexual nature. Two evaluative questions are asked at this time: Why does penetration have such a special meaning and why only by men? You will not find persuasive answers to these questions.

There is neither empirically nor normatively justified reason to limit the punishability of rape to only particularly intensive use of violence or threat.

If we consider that it is necessary for Japan to make punishable sexual acts committed without violence and threat, then it is recommended to introduce a new *corpus delicti* of the act punishable by a lenient sentence.

The reform of sex crimes has sparked a debate that has been previously the subject of political debate only between feminists and conservatives. The amendments focus on the legal side of the issue, which is also one of the positive effects of the reform.





ნინო ბოჭორიშვილი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ეროვნული და უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემები საქართველოში

საქმის წარმოება სასამართლოში, როგორც წესი, მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით. სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია, რომელიც იცავს დარღვეულ ან სადაო უფლებას და ყველასათვის სავალდებულო განსაზღვრულობა შეაქვს სადაო ურთიერთობაში, უზრუნველყოფს მოპასუხე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებას. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა-დარღვეული ან სადაო უფლების დაცვა.¹

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“² ევროპის 1950 წლის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველა ადამიანისათვის იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას სამოქალაქო - სამართლებრივი უფლება - მოვალეობების გან-

საზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს - აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც.³

უფლებადარღვეულ მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი თავისი სპეციფიკით ყველაზე რთულია. ერთი მხრივ, ასეთი პროცესის სირთულე განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებს მითითებულ სფეროში, არასრულყოფილია და მოითხოვს დახვეწას. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს

¹ იხ. ზურაბ ძლიერიშვილი, ლადო ჭანტურია, ვალერი მეტრეველი, რომან შენგელია და სხები, ქართული სამართლის საფუძვლები, გამომცემელი "მერიდიანი", თბ. 2000 წ. გვ. 206-209.

² იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 წელი.

³ იხ. "აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ", ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

კანონი არ მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს საშუალებას მისცემდა, გაეტარებინა კონკრეტული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები. სასამართლო აღმასრულებლები ასეთ შემთხვევებში შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას მოითხოვენ.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ხდება რომ, ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგენილია მოდავე მხარე, ხელოვნურად აღარ არსებობს. კარგი იქნებოდა, ასეთი შემთხვევების არსებობის დროს სამსახურში აღდგენილი უფლებადარღვეული მოსამსახურის ინტერესების დასაცავად "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ჩადებულიყო იძულებითი აღსრულების კონკრეტული მექანიზმები. მაგალითად დაწესდეს, უფლებადარღვეული მოსამსახურის სხვა, დაკარგულის თანაბარ, თანამდებობაზე აღდგენის დავალებულება, რაც მოსამსახურეს დაიცავდა სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებისა და თვითნებობისაგან.

საქართველოს პარლამენტის 2008 წ. 15 ივლისის №210 კანონით ცვლილებები და დამატებები შევიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კან-

ონში⁴. შეიცვალა სააღსრულებო დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და განხორციელდა სააღსრულებო ორგანოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ცვლილებების განხორციელების ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა აღსრულების სფეროში სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა და მითითებული სისტემის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება. ახლებურად დარეგულირდა აღსრულების საფასურის გადახდისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყების საკითხები. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე კრედიტორები გათავისუფლდნენ წინასწარი ხარჯის გაღების ვალდებულებისაგან. მაგალითად, საფასურის წინასწარ გადახდისაგან თავისუფლდებიან კრედიტორები, რომელთაც აქვთ მოთხოვნა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. იძულებითი აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდისაგან გათავისუფლდნენ ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები. ზემოხსენებული საკითხი ერთ-ერთი სერიოზული პრობლემათაგანი იყო და ხშირად იწვევდა კრედიტორების უფლებების დარღვევას, რადგან სასამართლო აღმასრულებლები უარს ამბობდნენ იძულებითი აღსრულების დაწყებაზე კრედიტორებისაგან აღსრულების ხარჯების წინასწარ გადა-

⁴ იხ. კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ

უხდებლობის შემთხვევაში. სააღსრულებო ხარჯთაღრიცხვა კი არ იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად (1999 წლის რედაქციით)⁵ გაანგარიშებული და არ იყო დასაბუთებული კრედიტორისაგან მისი წინასწარ გადახდის საჭიროება. აღსრულების ხარჯების წინასწარ გადაუხდებლობის შემთხვევაში აღსრულების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მეორე წინადადება (1999 წლის რედაქციით)⁶, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით: “სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს კრედიტორის მიერ კანონით გათვალისწინებული წინასწარი ხარჯის გაუღებლობის შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე.“

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად, ახალი ინსტიტუტი გაჩნდა - კერძო აღსრულება. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2009 წლის 1 ივლისიდან ამუშავდა და საქართველოს მოქალაქეებს თავისუფალი არჩევანის და ალტერნატიული სამსახურით მომსახურების უფლება მიეცათ - მათ შეუძლიათ სასამართლო გადაწყვეტილების აღსას-

⁵ იხ. საქართველოს კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ", №1908, სსმ I, №13(20), 01.05.1999 წ., მუხ. 52

⁶ იხ. იქვე მუხლი 26.

რულებლად, ან სახელმწიფო აღმასრულებელი აირჩიონ ან - კერძო. კრედიტორი სურვილის მიხედვით ამას თავად გადაწყვეტს.

კრედიტორი და კერძო აღმასრულებელი გადასახადზე ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმდებიან. ამ მხრივ მათ სრული თავისუფლება ექნებათ. თუმცა, მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდვა მაინც დაწესდა. კრედიტორსა და კერძო აღმასრულებელს შორის დადებული შეთანხმების მიუხედავად, კერძო აღმასრულებელი მოვალისგან იმაზე მეტ საზღაურს ვერ აიღებს, რაც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით არის დადგენილი. ამავე კანონით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო აღმასრულებლებიც.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება ვრცელდება არა მარტო სასამართლო განხილვასა და მის წინასწარ ეტაპებზე, არამედ თანმდევ ეტაპებზეც (როგორც არის სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება). აღნიშნული მიდგომა სასამართლომ პირველად დააფიქსირა სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით საქმეში "ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ"⁷. მსგავსი მიდგომა გამოამქვავნა ევროპულმა სასამართლომ საქ-

⁷ იხ. Hornsby v. Greece ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997წ. 19 მარტის გადაწყვეტილება. კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005 წ. გვ. 131

მეში “ზურდოვი რუსეთის წინააღმდეგ”⁸, განმცხადებელს სოციალური დაცვის სამსახურმა დაუნიშნა კომპენსაცია. კომპენსაციის დანიშნვიდან ექვსი წლის შემდეგ, განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს სოციალური სამსახურის წინააღმდეგ. შემდგომში განმცხადებელს შეატყობინეს, რომ, მიუხედავად სააღსრულებო ფურცლისა, აღსრულება ვერ მოხდებოდა, რადგან სოციალურ სამსახურს არ გააჩნდა ფულადი სახსრები. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება იქნებოდა ილუზორული, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე, საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დარჩებოდა აღსრულებელი ერთ-ერთი მხარის საზიანოდ. ასევე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია სახსრების არარსებობით გაამართლოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა. აღსრულების დაყოვნება გარკვეული დროით შეიძლება მისაღები იყო, მაგრამ დაყოვნება არ უნდა მოხდეს იმ ვადით, რომ ხელყოს თავად მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების არსი. საქმეში “კირტატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ”⁹, განმცხადებლებმა სადაოდ

გახადეს მათ ქონებაზე გავლენის მომხდენი ადგილობრივი დაგეგმარების გადაწყვეტილებები და საქმე მოიგეს. სასამართლომ გამოარკვია, რომ ადგილობრივი ორგანოები 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არიდებდნენ თავს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭირო ზომების მიღებას, რითაც მთლიანად აზრი დაუკარგეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს. იმის განსაზღვრისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ნებისმიერი დაყოვნება შესაბამისობაშია თუ არა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან, ევროპული სასამართლო არ იყენებს ისეთ კრიტერიუმს, როგორცაა “გონივრული ვადა”, რომელიც ეხება არა აღსრულების პროცედურებს, არამედ მხოლოდ სისხლის ან სამოქალაქო საქმის განხილვის პერიოდს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე. საქმეში “იასიუნენი და სხვები ლიტვის წინააღმდეგ”¹⁰ სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა 8 წელზე მეტი ხნის განმავლობაში

⁸ იხ. Burdov v. Russia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007 წ. გვ. 166

⁹ იხ. Kyrtatos v. Greece, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება. სამართლიანი

სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ. გვ. 62

¹⁰ იხ. Jasiuniene and Others v. Lithuania, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ. გვ. 62

ვერ აღასრულეს ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებდა მათ განმცხადებლისთვის კომპენსაციის გადახდას საკუთრების უფლების რესტიტუციის შესახებ სპეციალური ეროვნული კანონის თანახმად.

ანალოგიური მიდგომა გამოამყვანა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ", რომელიც ეხებოდა ჩვენი ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოების საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის აღუსრულებლობას თითქმის 3 წლის მანძილზე. აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ:

"გამოტანილი განაჩენის აღსრულება აღქმულ უნდა იქნეს, როგორც სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის მიზნებისათვის, კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტიები ილუზიური იქნებოდა, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული სისტემა მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილება გამართლებული პირის საზიანოდ განუხორციელებელი დარჩენილიყო. დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად აღებული, მოითხოვდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოსაგან პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას ყველა იმ პირთან მიმართებაში, რომლებსაც ბრალი წაყენათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და დეტალურად განსაზღ-

ვრავდეს პროცესში მონაწილე მხარის გარანტიებს (სამართალწარმოება, რომელიც არის სამართლიანი, საჯარო და სწრაფი), ამავე დროს არ იცავდეს გამამართლებელი გადაწყვეტილების განხორციელებას, რომელიც გამოტანილი იქნა ასეთი სამართალწარმოების შედეგად. სისხლის სამართალწარმოება შეადგენს ერთ მთლიან ნაწილს და მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვა არ წყვეტს მოქმედებას პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ"¹¹.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, იმსჯელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი ნორმის შესაბამისობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და ცალსახად მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ უზრუნველყო, შეესრულებინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და აღესრულებინა კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 21 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება და ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდა-

¹¹ იხ. Assanidze v. Georgia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება, ევროპის საბჭო, 2004 წლის სექტემბერი, 182-ე პუნქტი.

ციები საფუძვლად დაედო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილებების და დამატებების განხორციელებას.¹²

ცვლილებების შედეგად 26-ე მუხლის მეორე წინადადება ამოიღეს ნორმის შემადგენლობიდან¹³, რაც შეიძლება შეფასდეს, ნორმის სრულყოფისაკენ გადადგმულ ნაბიჯად. ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მე-10 მუხლი და სხვა ნორმები. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობის გამო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა ევროპის სასამართლომ შემდეგ საქმეებში: შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ¹⁴ და შპს „ამატ-ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ¹⁵.

¹² იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ.

¹³ იხ. კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2459, სსმ I, 30.12.2009 წ.

¹⁴ იხ. CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 56.

¹⁵ იხ. CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005

ორივე საწარმოს სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები 2001 წლიდან კანონიერ ძალაში იყო შესული, მაგრამ 2006 წლამდე იყო აღსრულებელი.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2002-2021 წლებში საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი აქვს 329 გადაწყვეტილება/განჩინება. აქედან:


45 განჩინებით 45 საჩივარი გამოცხადდა მიუღებლად. 123 განჩინებით / გადაწყვეტილებით განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოირიცხა 1644 საჩივარი რომელთა შორის, 6 განჩინებით ამოირიცხა ეთნიკური ოსების მიერ შეტანილი 1554 საჩივარი, 90 განჩინებით მომჩივანსა და მთავრობას შორის მორიგებით დასრულდა 90 საქმე, ხოლო 43 განჩინებით საქმეზე დამტკიცდა 43 ცალმხრივი დეკლარაცია. გადაწყვეტილებით ევროპული კონვენციის დარღვევა (გადაწყვეტილებათა აღსრულება) დაადგინა 74 საქმეზე; გადაწყვეტილებით საქმეზე არ დადგინდა ევროპული კონვენციის დარღვევა 19 საქმეზე.

როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ცნობილია,

წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 49.

რომ ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიტომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყანაში თუ ამ უკანასკნელმა სცნო იგი.¹⁶

ადამიანს უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების სტატისტიკა



უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა გულისხმობს არა სრული გადაწყვეტილების, არამედ მისი

ცალკეული ნაწილების ცნობას. გადაწყვეტილების ცნობისას არ ხდება ცალკეული შიდასაპროცესო გადაწყვეტილების ცნობა. მხარისათვის, ვის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა მნიშვნელოვანია, რომ როგორმე მიაღწიოს მეორე ქვეყნის სასამართლოსაგან აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გადაწყვეტილების მცნობმა სასამართლომ განახორციელა ისეთი პროცედურები, რომელმაც გადაწყვეტილება „ადგილზე მიღებულად“ აქცია და თავისი ქვეყნის იძულებითი აღსრულების კანონმდებლობას დაუქვემდებარა.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში, ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამოწუროს ყველა ის საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

¹⁶ იხ. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბ. 2006 წ. გვ. 429.

ისევე, როგორც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას, თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს როგორც ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა საკმაოდ მრავალფეროვანია. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა აღსრულებისას ითვალისწინებს როგორც ტრადიციულ ე.წ. „ეგზეკუტურის პროცედურას“¹⁷, ისე გადაწყვეტილებათა გამარტივებული აღსრულების პროცედურებსაც - იმისდამხედვით თუ რომელ სამართლებრივ სისტემას განეკუთვნება გადაწყვეტილების აღსრულებელი სახელმწიფო.¹⁸

როდესაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა აღსრულებაზეა საუბარი, მასში იგულისხმება ორი ტიპის გადაწყვეტილებათა აღსრულება: ა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა

¹⁷ "ეგზეკუტურის პროცედურა" ცნობილია ევროპის ძირითად სახელმწიფოთა საპროცესო კანონმდებლობაში და გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე სპეციალური ეგზეკუტურის გაცემას. ეს ტერმინი ლათინური წარმოშობისაა და აღსრულებით პროცედურას ნიშნავს. ის მიზნად ისახავს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებებისათვის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში აღსრულებითი ძალის მინიჭებას.

¹⁸ იხ. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბ. 2006 წ. გვ. 437.

აღსრულება და ბ) უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურა ერთმანეთს ემთხვევა.

მსგავსი მდგომარეობაა ქართულ კანონმდებლობაშიც. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე და 71-ე მუხლები¹⁹, მართალია არეგულირებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურას, მაგრამ ქართული სასამართლოები აღნიშნულ მუხლებს ანალოგიით იყენებენ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულებისას. ქართული კანონმდებლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საკითხში კომპეტენტურ ორგანოდ მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიიჩნევს.

უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, შიდა სახელმწიფოებრივი სპეციალური კანონმდებლობის გარდა, საერთაშორისო ხელშეკრულებებიც არეგულირებს. ამის ნათელი მაგალითია ნიუ-იორკის 1958 წლის 31 დეკემბრის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“²⁰, რომელსაც საქართველო პარლამენტის 1994

¹⁹ იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, №1361, პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 25.

²⁰ იხ. გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბ. 2009 წ. გვ. 516-617.

წლის 3 თებერვლის დადგენილებით მიუერთდა.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის გამოყენების პრაქტიკა უცხო ქვეყნის სასამართლო, თუ საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საქმეების განხილვისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარს №ა-2443-შ-83-09 მიღებულ გადაწყვეტილებაში²¹, სადაც განიხილავდა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე A# 129_/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საქმის გადასაწყვეტად იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებით, ასევე მიუთითა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაზე და შუამდგომლობა დაკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო მოგვიანებით 2019 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც ასევე იხილავდა შუამდგომლობას უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ერთმანეთისაგან გამიჯნა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის გამოყენების შემთხვევები და აღნიშნა, რომ აღნიშნული კონვენცია, გამოიყენება უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს, ხოლო უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ნიუ-იორკის კონვენცია, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, სადაც განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის #A 40-177252/17-120-1527²² გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე 2017 წლის 22 დეკემბრისა და 2018 წლის 11 იანვრის დადგენილებების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საკასაციო სასამართლო საქმის გარემოებების შეფასებისას იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და

დგომლობას უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ერთმანეთისაგან გამიჯნა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის გამოყენების შემთხვევები და აღნიშნა, რომ აღნიშნული კონვენცია, გამოიყენება უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს, ხოლო უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ნიუ-იორკის კონვენცია, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, სადაც განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის #A 40-177252/17-120-1527²² გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე 2017 წლის 22 დეკემბრისა და 2018 წლის 11 იანვრის დადგენილებების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საკასაციო სასამართლო საქმის გარემოებების შეფასებისას იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და

²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის საქმე №ა-2443-შ-83-09

²² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის საქმე №ა-3603-შ-90-2018

სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციით და განმარტა, „რომ მოცემულ შემთხვევაში არ ხელმძღვანელობს გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით, რადგან უცხო ქვეყნის სასამართლო რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების შემადგენლობაშია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო ინსტიტუტს“. ამ შემთხვევაში ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის გამოყენებაზე უარის საფუძველი გახდა ის, რომ ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლო იყო საერთო სასამართლოების შემადგენლობაში და არა დამოუკიდებელი, კერძო ინსტიტუტი. შესაბამისად საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებით და დააკმაყოფილა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მრავალ წლიანი წევრობის პერიოდში საქართველო იყო „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის წევრი. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება კი სწორედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით არის

მიღებული, რომელშიც საქართველო მუდამ პასიურ როლს თამაშობდა. მთელი რიგი პოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველო მუდამ იყო ამ წარმონაქმნიდან გამოსვლის უპირველესი კანდიდატი, ქვეყნის ხელისუფლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჯაროდ აცხადებდა, რომ არასერიოზულად ეკიდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას და მასში ჩვენი ქვეყნის წევრობა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. შესაბამისად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებული მრავალი შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე უნდა დარჩენილიყო, თუმცა ჩვენს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმეები მოწმობს, რომ არა თუ უარს ამბობს სასამართლო აღნიშნული ხელშეკრულების გამოყენებაზე, არამედ აზუსტებს მისი გამოყენების ფაგლებს და უპირისპირებს ნიუ-იორკის უნივერსალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისას, ტრაგიკულია ისიც, რომ მინსკის კონვენცია რამდენადაც არ უნდა მივიჩნიოთ „ყველაზე ნაკლებად გამოსაყენებელ“ საერთაშორისო ხელშეკრულებად, არ ცვლის ფაქტს, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებაა და საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქ-

ტის მიმართ²³, ასევე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი-ს მე-5 პუნქტით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის კოლიზიის არსებობისას ცალსახად საერთაშორისო ხელშეკრულებას ანიჭებს უპირატესობას²⁴. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვექნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც ყოველნაირად ეწინააღმდეგება ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და სამართლიანობის შესახებ ელემენტარულ წარმოდგენებს, იურიდიულად გამართული სახით მის აღსრულებაზე უარის თქმა შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია სასამართლოებმა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში უმთავრესად იხელმძღვანელონ ნიუ-იორკის კონვენციით „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და მისივე დათქმების გამოყენებით შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებით და უარი თქვას უკვე არაერთგზის გაკრიტიკებული და ჩვენი ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით უარყოფილი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაზე, რომელიც მიღებულია დამოუკიდებელ

სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით, მათ შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათ შორის განაჩენი, სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს დებულებები ხელს უწყობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულებას, მაგრამ თავისთავად განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების სწორი მუშაობისა და ოპერატიულობის გარეშე განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა ვერ იქნება მიღწეული.

განაჩენის აღსრულება არის სისხლის სამართლის პროცესის დამამთავრებელი სტადია, როდესაც განაჩენი აღსრულებულია, სამართალწარმოება საქმეზე დამთავრებულია და ასევე მთავრდება სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ სტადიაზე ხორციელდება სისხლის სამართალწარმოების უმთავრესი ამოცანა-დამნაშავის დასჯით სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. დანაშაულთან ბრძოლაში მთავარია არა მარტო კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენა, არამედ განაჩენის დროულად და სწორად აღსრულება. განაჩენის თავის დროზე კანონის შესაბამისად აღსრულებლობა ამცირებს მის ეფექტურობას და უარყოფით გავლენას ახდენს სასჯელის იმ მიზნის მიღწევაზე, რაც ახალი

²³ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

²⁴ იხ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009

დანაშაულის თავიდან აცილებაში გამოიხატება.²⁵

საქართველოს "პატიმრობის კოდექსის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით "თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საფუძველია სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა"²⁶.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან)²⁷ 279-ე მუხლის თანახმად „განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების²⁸ შესაბამისად განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ევალეზა განაჩენის გამომტან სასამართლოს. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო, განაჩენის ასლთან ერთად უზღავნის იმ ორგანოს, რომელსაც განაჩენის აღსრულება ევალეზა. ეს უკანასკნელი კი განაჩენის დამდგენ სასამართლოს დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის აღსრულების შესახებ, ხოლო იმავე კოდექსის

²⁵ იხ. იური გაბისონია, აპოლონ ფალიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბ. 2002 წ. გვ. 523.

²⁶ იხ. "პატიმრობის კოდექსი", საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი №2696, სს. I, №12, 24.03.2010 წ., მუხ. 49.

²⁷ იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

²⁸ იხ. იქვე მუხლი 280.

281-ე მუხლით²⁹ - იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების შემდეგ, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა იგი სასჯელის მოსახდელად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძალაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან) 283-ე მუხლის თანახმად მსჯავრდებული უზრუნველყოფილია მოახდინოს თავის უფლებათა სასამართლო წესით დაცვა. კერძოდ, მსჯავრდებული უზრუნველყოფილია განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე და აღსრულებისას - თხოვნით მიმართოს სასამართლოს რათა ფაქტიურ გარემოებათა (ავადმყოფობა, ორსულობა, მცირეწლოვანი / ერთ წლამდე / ბავშვი) - გამომოხდეს მის მიმართ დადგენილი განაჩენის აღსრულების გადავადება.³⁰

კანონმდებელი განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხის დაყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ეტაპზე ანიჭებს მსჯავრდებულს. ამდენად, კანონმდებლის ნებიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი იძლევა უფლებამოსილებას სასამართლომ მსჯავრდებულთა თხოვნის შემთხვევაში იმსჯელოს და განიხილოს საკითხები, როგორც უშუალოდ განაჩენის გამოტანისას, ასევე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის პერიოდში და ასევე უშუალოდ განაჩენის აღსრულების მომენტში.

²⁹ იხ. იქვე მუხლი 281.

³⁰ იხ. იქვე მუხლი 283.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის (მა-ლაშია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან)³¹ ნორმები არეგულირებს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებას და განმარტავს, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხს, განსჯადობის დაცვით და მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის მიხედვით, განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო. ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების მიღებიდან ერთი თვის ვადაში და აგრეთვე ადასტურებს მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

2007 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესის და პრობაციის შესახებ“³², ამ კანონმა დაარეგულირა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ღონისძიებების გამოყენების უფლების მქონე ორგანოთა სისტემა, სტატუსი და მათი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.³³

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული არაერთი ღონისძიებისა სა-

სამართლოს გადაწყვეტილებათა უზენაესობისა და აღსრულების განმტკიცების თაობაზე, უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც არასრულია, რადგან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამართლებრივი მექანიზმი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში დასახვეწია. აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას უთუოდ ხელს შეუწყობდა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თანამდებობის პირთა მიმართ რეალური გამოყენება.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მოქმედების სფერო და პირობები ბოლომდე ნათლად არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, რაც ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილებების დადგენის რეალურ შანსს კიდევ უფრო ზრდის.

³¹ იხ. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ., მუხ.190.

³² იხ. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, №4956, სსმ I, №24, 02.07.2007, მუხ. 219.

³³ იხ. სასჯელარსრულებითი სამართალი, ნორმატიული აქტების კრებული, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 2008 წ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება,
2. ”პატიმრობის კოდექსი“, საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი №2696, სს. I, №12, 24.03.2010 წ.,
3. Assanidze v. Georgia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება, ევროპის საბჭო, 2004 წლის სექტემბერი,
4. Burdov v. Russia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007 წ.,
5. CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ.,
6. CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ.,
7. Hornsby v. Greece ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება. კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005 წ.,
8. Jasiuniene and Others v. Lithuania, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ.,
9. Kyrtatos v. Greece, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, 2008 წ.,
10. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 წელი,
11. გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა ”ბონა კაუზა“, თბ. 2009 წ. გვ. 516-617.
12. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა ”მერიდიანი“, თბ. 2006 წ.,
13. ზურაბ ძლიერიშვილი, ლადო ჭანტურია, ვალერი მეტრეველი, რომან შენგელია და სხვები, ქართული სამართლის საფუძვლები, გამომცემელი ”მერიდიანი“, თბ. 2000 წ.,
14. იური გაბისონია, აპოლონ ფალიაშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა ”მერიდიანი“, თბ. 2002 წ.,

15. კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, N210 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, სსმ I, 28.07.2008 წ.,
16. კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2459, სსმ I, 30.12.2009 წ.,
17. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009,
18. სასჯელარსრულებითი სამართალი, ნორმატიული აქტების კრებული, გამომცემლობა "ზონა კაუზა", თბ. 2008 წ.,
19. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის კანონი №1772, სსმ I, №31, 03.11.2009 წ.,
20. საქართველოს კანონი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ", №1908, სსმ I, №13(20), 01.05.1999 წ.,
21. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, №4956, სსმ I, №24, 02.07.2007,
22. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, №1361, პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998,
23. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995,
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარის საქმე №ა-2443-შ-83-09,
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის საქმე №ა-3603-შ-90-2018.

ნინო ბოჭორიშვილი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ეროვნული და უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემები საქართველოში

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს საშუალებას მისცემდა გაეტარებინა კონკრეტული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები. სასამართლო აღმასრულებლები ასეთ შემთხვევებში შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას

მოითხოვენ. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ხდება რომ, ის თანამდებობა, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილებით აღდგენილია მოდავე მხარე, ხელოვნურად აღარ არსებობს.

კარგი იქნებოდა, ასეთი შემთხვევების არსებობის დროს სამსახურში აღდგენილი უფლებადარღვეული მოსამსახურის ინტერესების დასაცავად "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ჩადებულიყო იძულებითი აღსრულების კონკრეტული მექანიზმები. მაგალითად, დაწესდეს უფლებადარღვეული მოსამსახურის სხვა, დაკარგულის თანაბარ თანამდებობაზე აღდგენის დავალდებულება, რაც მოსამსახურეს დაიცავდა სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებისა და თვითნებობისაგან. ამასთან აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას უთუოდ ხელს შეუწყობდა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თანამდებობის პირთა მიმართ რეალური გამოყენებაც.

Nino Bochorishvili

LLC Guram Tavartkiladze

Tbilisi Teaching University Associate Professor,

Doctor

Enforcement of national and foreign court decisions Problems in Georgia

The Law of Georgia on Enforcement Proceedings does not include the mechanisms that, in case of voluntary enforcement of a court decision, would allow the bailiff to carry out specific coercive enforcement measures. Bailiffs in such cases are limited to a written request requesting the voluntary execution of the court decision and the writ of execution from the state authorities and officials. But in practice it often happens that the position for which the litigant has been restored by a court decision no longer exists artificially.

It would be good if specific enforcement mechanisms were introduced in the Law of Georgia on Enforcement Proceedings in order to protect the interests of the employee who was reinstated in the service in such cases. For example, impose an obligation to reinstate an employee who has been disqualified to another, equal position, which would protect the employee from the illegal actions and arbitrariness of a state body or official. In addition, the actual use of liability for officials under the Georgian legislation for non-enforcement of court decisions would undoubtedly facilitate the resolution of enforcement-related issues.





ლევან ტარიელაძე

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტორანტი

ნატო-ს სამხედრო ინტერვენცია კოსოვოში 1999 წელს: სამართლებრივ-პოლიტიკური ანალიზი

შესავალი

„ცივი ომის“ დასრულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. საბჭოთა კავშირი დაიშალა, გერმანია გაერთიანდა, მმართველი რეჟიმები შეიცვალა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. იდეოლოგიასთან ერთად აღნიშნულ პროცესებში ფიგურირებდა, და ზოგჯერ დომინირებდა, ნაციონალური კომპონენტი. ცხადია, ეს ყველაფერი ამერიკული პოლიტიკის გავლენების არეალის გაფართოების და რუსეთის უკან დახევის შედეგად იყო. აღნიშნული პროცესები ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა, სისხლისღვრის აცილება შეუძლებელი გახდა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, ექვსი რესპუბლიკისგან (სერბეთი, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია) შემდგარ ცენტრალურ ევროპულ სახელმწიფოში, სადაც დეზინტეგრაციული პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არნახული სისასტიკითა და ტრაგედიებით განვითარდა. ევროპის შუაგულში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე განვითარებულმა ჰუმან-

ნიტარულმა კატასტროფამ შეძრა მთელი ევროპა და მსოფლიო.

„ცივი ომის“ პერიოდში იუგოსლავია კომუნისტური სახელმწიფო იყო, მაგრამ ვარშავის პაქტის სხვა ქვეყნებთან შედარებით, იგი საბჭოთა კავშირისგან უფრო მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ექვსი რესპუბლიკის და ორი ავტონომიური პროვინციისგან (კოსოვო და ვოევოდინა - სერბეთის შემადგენლობაში) შემდგარ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად, იოსიპ ბროზ ტიტო ახერხებდა ამ სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებას. იგი ქვეყანას გარდაცვალებამდე, 1980 წლამდე ედგა სათავეში. სიტუაცია დაიძაბა სერბი სლობოდან მილოშევიჩის მოსვლის შემდგომ, რომელმაც გადაწყვიტა გაემლიერებინა სერბთა პოზიციები.

დეზინტეგრაციული პროცესები ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე თავიდანვე სისხლიანი დაპირისპირებების ფონზე წარიმართა. 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სლოვენიამ, ხორვატიამ და მაკედონიამ. 1992 წელს კი ბოსნია და ჰერცეგოვინამ. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღესვე,

სლობოდან მილოშევიჩმა გაგზავნა იუგოსლავიის სახალხო არმია სლოვენიაში, მაგრამ იმის გამო, რომ სლოვენია სერბეთს არ ესაზღვრება, სერბთა თემი სლოვენიაში შედარებით მცირერიცხოვანია და სლოვენიის არმიაც კარგად იყო მომზადებული თავდაცვისათვის, ფართო მასშტაბიანი საომარი მოქმედებები არ წარმოებულა და ომმა სულ ათ დღეს გასტანა, რის შემდგომაც მხარეები დაზავდნენ. 1992 წელს კი სლოვენიის დამოუკიდებლობა აღიარეს ევროპულმა სახელმწიფოებმა. შედარებით უფრო მასშტაბური იყო ხორვატიის ომი, სადაც ხორვატები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ სერბებს, რომელთაც ცალკე რესპუბლიკის შექმნა მოისურვეს ხორვატიის ტერიტორიაზე. ამ ბრძოლაში ხორვატებმა თავდაუზოგავი ბრძოლისა და საერთაშორისო მხარდაჭერის ხარჯზე დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მაგრამ დანაკარგი ორივე მხრიდან ათასობით გარდაცვლილს, ათიათასობით დაჭრილსა და დევნილს შეადგენდა. სლოვენიისა და ხორვატიის შემდგომ იყო ბოსნიის ომი, რომელიც ყველაზე ჩახლართული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ბოსნია და ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში 1991 წლისთვის 4,4 მლნ ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის წარმოდგენილი იყო სამი დიდი ჯგუფი - ბოსნიელი მუსლიმები (44%), სერბები (31%) და ხორვატები (17%)¹, რომლებმაც ქვეყანაში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების კვალდაკვალ გადაწყვიტეს საკუთარი დამო-

უკიდებელი რესპუბლიკები შეექმნათ. ტერიტორიული დავების გამო მათ გააჩაღეს სასტიკი ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ. ომი სამ წელიწადნახევრის განმავლობაში მასიური ეთნიკური წმენდებით მიმდინარეობდა და მხოლოდ 1995 წელს, ნატო-ს მცხიერი ჩარევის შედეგად დასრულდა დეიტონის შეთანხმებით.

სლოვენიის, ხორვატიის და ბოსნიის ომების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევის შანსი გაუჩნდათ სერბეთის ავტონომიურ მხარეში - კოსოვოში მცხოვრებ ეთნიკურ უმრავლესობას - ალბანელებს, რომლებიც თავიანთი სეპარატისტული მიზნების გამო ხშირად განიცდიდნენ რეპრესიებს სერბეთის მთავრობის მხრიდან. ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირებამ კოსოვოში პიკს მიაღწია 1998 წლის თებერვალში და ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. იუგოსლავიის ომებიდან, თავისი სისასტიკით, მასშტაბურობითა და საერთაშორისო ჩართულობით, გამორჩეულია „კოსოვოს კრიზისი“, რომელიც „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას ყველაზე რეზონანსული მოვლენაა. თავისი პრეცედენტებით და შედეგებით, ამ კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მასში უშუალოდ ჩართულ მხარეებზე, არამედ სრულიად სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რის გამოც ის იმსახურებს ჩვენს ყურადღებას და ვფიქრობთ, საჭიროებს მეტ განხილვასა და შეფასებას, ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

¹ 1991 წელს მოსახლეობის აღწერა ბოსნია და ჰერცეგოვინაში - <https://pod2.stat.gov.rs/ObjavljenePublikacije/G1991/pdf/G19914013.pdf>

ძირითადი ნაწილი

სერბეთის ავტონომიურ მხარეში, კოსოვოში, რომელიც ისტორიულად საუკუნეების განმავლობაში სერბეთის ტერიტორიას წარმოადგენდა, 1998 წლის დასაწყისიდან მკვეთრად გამწვავებულმა კონფლიქტმა სწრაფად შეიძინა ინტერნაციონალური ხასიათი. მასში პირდაპირ ან ირიბად იქნენ ჩაბმულნი ევროპის და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციები და ა.შ. თუმცა კოსოვოს კრიზისის გადაწყვეტაზე მოქმედი მთავარი გარე ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იყო, რომელიც „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ აღმოჩნდა ვითარებაში, სადაც მისი სამხედრო-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა ქვეყნებისას, რის გამოც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო მნიშვნელოვანი თავისუფლება თავის საგარეო პოლიტიკურ ქმედებებში და პოსტ-ბიპოლარული სამყაროს ლიდერ სახელმწიფოდ იქცა.

80-ანი წლების ბოლოს და 90-ანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით ხასიათდებოდა გაურკვევლობით, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო იმით, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, გასარკვევი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია. აშშ-ს უნდა მოეხდინა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გადახედვა და განესაზღვრა თავისი ახა-

ლი როლი ევროპასა და მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მოვლენები თითქოს აშშ-ის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, საჭირო იყო დიდი სიფრთხილის გამოჩენა საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. 1990-1991 წლებში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია იჭერდა ძალიან თავშეკავებულ პოზიციას იუგოსლავიის ფედერაციის შესაძლო დაშლასთან დაკავშირებით და საერთო ჯამში, ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს, რითაც ცდილობდა თავიდან აეცილებინა საზღვრების ცვლილებები ევროპაში, რაც საბოლოოდ ნეგატიურ გავლენას იქონიებდა ევროპულ უსაფრთხოებაზე. „ჩვენ ამ ომში არაფერი გვესაქმება“ - განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა 1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას², პრეზიდენტობის კანდიდატმა ბილ კლინტონმა მწვავედ გააკრიტიკა ბუშის პოლიტიკა და პირობა დადო, რომ იქნებოდა გაცილებით აქტიური და პრინციპული ბალკანეთზე მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების საკითხში. თუმცა, პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდგომ, უკან დაიხია. „ეს ნამდვილად ტრაგედიაა, მტრობა ეთნიკურ ჯგუფებს - ბოსნიელებს, სერბებსა და ხორვატებს შორის საუკუნეებია გრძელდება. ეს ნამდვილად ჯოჯობეთური პრობლემაა“ - განაცხადა სახელმწიფო მდივანმა უორენ ქრისტოფერმა 1993 წელს ბოსნიაში მიმდინარე ეთნიკური წმენდის დროს³. 1995 წლის

² Bruce W. Jentleson - American Foreign Policy, Fifth Edition. 2014, p. 506

³ იქვე

შუაში ვითარების სიმწვავის უგულვებელყოფა უკვე შეუძლებელი გახდა. გაეროსა და ევროკავშირს აღარ შეეძლოთ ეთნიკური წმენდის შეჩერება, რაც ნათლად გამოჩნდა ქალაქ სრებრენიცაში 7 ათასი ბოსნიელი მუსლიმის მასობრივი ჟლეტისას. კლინტონის ადმინისტრაციამ საბოლოოდ გააცნობიერა, რომ უკვე სხვა არჩევანი აღარ არსებობდა და საბოლოოდ ამერიკამ ლიდერობა იკისრა⁴. ნატომ დაიწყო ინტენსიური საჰაერო თავდასხმების განხორციელება ბოსნიელი სერბების წინააღმდეგ. პრეზიდენტ კლინტონისა და მისი ადმინისტრაციის წამყვანი დიპლომატის რიჩარდ ჰოლბრუკის შუამავლობამ სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი⁵. მეომარ მხარეებს შორის 1995 წლის ნოემბერში აშშ-ს ქალაქ დეიტონში, სამხედრო ბაზაზე მიღწეული იქნა დეიტონის შეთანხმება, რამაც დაასრულა ბოსნიის ხანგრძლივი ომი.

1990-ანი წლების ბოლოს მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო სერბეთის ერთ-ერთ მხარეზე, კოსოვოზე. კოსოვოს მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ ეთნიკურად ალბანელები, რომელთა უკმაყოფილება, სერბეთის ნაციონალისტური მთავრობის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, სულ უფრო იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ 1989 წლამდე, კოსოვოს მხარეს გააჩნდა ფართო ავტონომია სერბეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ, 1989 წელს, იუგოსლავიის პრეზიდენტმა სლობოდან

მილოშევიჩმა, ალბანელების მზარდი სეპარატისტული განწყობების გამო, გააუქმა კოსოვოს ავტონომიური სტატუსი და დაუქვემდებარა იგი ბელგრადის უშუალო მმართველობას, რამაც ადგილობრივი ალბანელების აღშფოთება გამოიწვია. როდესაც 1997 წელს ალბანეთის ფინანსურ კრახს ეროვნული არმიის დეზინტეგრაცია მოჰყვა, მისი იარაღის დიდი ნაწილი კოსოვოს ეთნიკურ ალბანელთა რადიკალურმა ფრთამ - „კოსოვოს გათავისუფლების არმიამ“ შეიძინა. როგორც კი „კოსოვოს გათავისუფლების არმიამ“ ღიად მოითხოვა კოსოვოს გამოყოფა სერბეთისგან, სლობოდან მილოშევიჩი კოსოვოელთა აჯანყების ჩახშობას სერბული, ნახევრად გასამხედროებული ძალების საშუალებით შეეცადა, რომელთაც, ალბანელების დაშინების გზით, მათ მიერ ქვეყნის დატოვების იძულება ევალებოდათ⁶. სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია 1998 წელს, როდესაც სერბ პოლიციელებსა და „კოსოვოს განთავისუფლების არმიის“ მებრძოლებს შორის ღია კონფლიქტის შედეგად, დაიღუპა 1500-მდე ადამიანი, ხოლო 400 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი⁷. ამ შემთხვევაში აშშ და ნატო უფრო მყისიერად ჩაებნენ ომში, ვიდრე ეს ბოსნიაში მოხდა. 1998

⁶ მეოცე საუკუნის მსოფლიო : საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან. უილიამ რ. ქილორი. 2015. გვ. 696

⁷ ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. ნ. ჩიტაძე. 2008./III თავი / ნატო-ს სამხედრო ოპერაციები კოსოვოში - <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/civil2/document/HASH0145bbf28998d7ab063f0899?p.s=TextQuery&ed=1>

⁴ Bruce W. Jentleson - American Foreign Policy, Fifth Edition. 2014, p. 507

⁵ იქვე

წლის 7 მარტს აშშ-ს სახელმწიფო მდივან-მა მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ დავდგეთ გვერდით და ვუყუროთ, როგორ აკეთებს სერბეთის ხელისუფლება იმას, რასაც დიდი ხანია ვეღარ აკეთებს ბოსნიაში“.⁸ 1998 წლის 12 აგვისტოს გავრცელდა ნატო-ს გენერალური მდივნის, ხავიერ სოლანას განცხადება, სადაც აღნიშნული იყო რომ კოსოვოში სამხედრო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეგეგმა შესაძლო სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციები კრიზისის აღმოფხვრის მიზნით.⁹ აშშ-ს გამოცდილმა დიპლომატმა რიჩარდ ჰოლბრუკმა 1998 წლის 13 ოქტომბერს მილოშევიჩთან დროებით შეთანხმებას მიაღწია, რომლის მიხედვითაც, კოსოვო სერბეთის რეგულარული არმიის ნაწილებმა დატოვეს, თუმცა კოსოვოელთა დაშინების პოლიტიკის გასაახლებლად, ეთნიკურ სერბთა შეიარაღებული დაჯგუფებები კოსოვოში დარჩნენ¹⁰. ამასთანავე, 24-25 ოქტომბერს ნატოს მაღალჩინოსნები, გენერლები უესლი კლარკი და კლაუს ნაუმანი ბელგრადში შეხვდნენ პრეზიდენტ მილოშევიჩს და ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ძალადობის შეჩერების აუცილებლობაში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს და ნატოს დიპლომა-

ტიურმა აქტიურობამ დროებითი შედეგი გამოიღო და საბრძოლო მოქმედებები შედარებით შენედა, მაგრამ სიტუაცია კვლავ უკიდურესად დამაბული იყო. 1999 წლის დასაწყისიდანვე დაპირისპირებამ ახალი ძალებით იფეთქა. იუგოსლავიის პოლიციაზე „კოსოვოს განთავისუფლების არმიის“ თავდასხმის შედეგად დაიღუპა 4 სერბი პოლიციელი, რის საპასუხოდაც 1999 წლის 15 იანვარს მორიგი ტრაგედია დატრიალდა კოსოვოს ერთ-ერთ სოფელ რაჩაკში, სადაც სერბებმა ალბანელთა მასიური მკვლელობა მოაწყვეს, რასაც 45 სამოქალაქო პირი შეეწირა. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „კოსოვოს განთავისუფლების არმია“ სერბებზე არანაკლები არაადამიანური მეთოდებით მიმართავდა საპასუხო ზომებს. მასიური მკვლელობები, მასიური გაუპატიურებები და ეთნიკური წმენდა ორივე მხრიდან ყოველდღიურობად იქცა, მაგრამ ძალთა უთანასწორობის გამო, ცხადია ყოველივე ეს ალბანელებზე ბევრად უფრო მძიმედ ისახებოდა. იუგოსლავიის ხელისუფლების არაადამიანური პოლიტიკის გატარების ფონზე ნატო-ში სულ უფრო სერიოზულად განიხილებოდა ძალის გამოყენების ალტერნატივა, რისთვისაც ალიანსის შესაბამის სამხედრო სტრუქტურებში სერიოზული სამხედრო მზადება დაიწყო, მაგრამ სამხედრო სამზადისის მიუხედავად, აქცენტი კვლავ კეთდებოდა კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებაზე. აშშ-ნატოს აქტიურობისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ბელგრადის ხელისუფლება იძულებული გახდა განეახლებინა მოლაპარაკებები

⁸ მადლენ ოლბრაიტის განცხადება 07/03/1998 <https://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/kosovo/etc/cron.html>

⁹ ნატო-ს განცხადება 12/08/1998 - <https://www.nato.int/docu/update/1998/9808e.htm>

¹⁰ მეოცე საუკუნის მსოფლიო : საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან. უილიამ რ. ქილორი. 2015. გვ. 696

კოსოვოელ ალბანელებთან¹¹. მოლაპარაკებათა პროცესი საფრანგეთის ქალაქ რამბუიეში გაიმართა 1999 წლის თებერვალში. რამბუიეში მილოშევიჩი დათანხმდა კოსოვოელი ალბანელების მოთხოვნას კოსოვოს პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარებულიყო 3 წლის შემდეგ, მაგრამ კოსოვოში ალბანელთა დიდი უმრავლესობისა და ბოლო წლებში ალბანელებსა და სერბებს შორის გამძაფრებული ეთნიკური ზიზღის გათვალისწინებით, აღნიშნული რეფერენდუმი უდავოდ კოსოვოს დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდებოდა. სერბეთის პრეზიდენტმა უარი თქვა შეთანხმების სამხედრო დებულებებზე, რომლის მიხედვითაც შეთანხმების შესრულებაზე ზედამხედველობისათვის კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ძალები უნდა განლაგებულიყო, რის გამოც მოლაპარაკებები ჩაიშალა¹². მარტის თვეში ნატომ არაერთხელ გააფრთხილა იუგოსლავიის ხელისუფლება, რომ თუკი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს კოსოვოში და არ დათანხმდებოდა რამბუიეში შეთავაზებულ წინადადებებს, ნატო იძულებული იქნებოდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია, მაგრამ მილოშევიჩმა იგნორირება გაუკეთა ამ მოწოდებებს, ნატოს მხრიდან შესაძლო თავდასხმასთან დაკავშირებით

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და დაიწყო სამხედრო რესურსების მობილიზება, რის საპასუხოდ 1999 წლის 24 მარტს ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია „გაერთიანებული ძალების“ (Operation „Allied Force“) დაწყების შესახებ და იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ საჰაერო რეიდების განხორციელება სხდომის დამთავრებიდან რამდენიმე საათში დაიწყო. სამხედრო ოპერაციის მთავარ მიზნად დასახელდა იუგოსლავიის სამხედრო პოტენციალის შესუსტება და აქედან გამომდინარე, კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების მასშტაბების შემცირება¹³. ნატოს თვითმფრინავებმა 78 დღის განმავლობაში, მთელი სერბეთის მასშტაბით, სამხედრო სამიზნეებისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ ათი ათასამდე დაბომბვითი ოპერაცია განახორციელეს. სწორედ ამ დროს სერბულმა ნახევრად სამხედრო დაჯგუფებებმა კოსოვოს ეთნიკური ალბანელების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის ულმობელი კამპანია გააქტიურეს. საჰაერო დაბომბვების კამპანია 10 ივნისს დასრულდა, როდესაც მილოშევიჩმა თანხმობა განაცხადა კოსოვოდან იუგოსლავიის სამხედრო ძალების გაყვანაზე, ამასთანავე კოსოვოში ნატოს

¹¹ ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. ნ. ჩიტაძე. 2008./III თავი/ნატო-ს სამხედრო ოპერაციები კოსოვოში - <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/civil2/document/HASH0145bbf28998d7ab063f0899?p.s=TextQuery&ed=1>

¹² მეოცე საუკუნის მსოფლიო : საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან. უილიამ რ. ქილორი. 2015. გვ. 697

¹³ ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. ნ. ჩიტაძე. 2008./III თავი / ნატო-ს სამხედრო ოპერაციები კოსოვოში - <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/civil2/document/HASH0145bbf28998d7ab063f0899?p.s=TextQuery&ed=1>

სახმელეთო ძალების განლაგებაზე¹⁴. 1999 წლის 10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1244-ე რეზოლუცია¹⁵, სადაც იგი მიესალმა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის მიერ კოსოვოს კრიზისის დარეგულირების პრინციპების მიღებას, მათ შორის მიმართულს ძალადობის შეწყვეტისა და სამხედრო კონტინგენტის გაყვანისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ოპერაცია „გაერთიანებული ძალები“ იყო არასანქცირებული და მიმდინარეობდა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, გამომდინარე იქედან, რომ მასზე არ იყო მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და ვერც იქნებოდა მიღებული რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობის გამო. ამგვარი მდგომარეობიდან გამომდინარე აშშ-მ და ნატო-მ მიიღეს გადაწყვეტილება, ევროპის შუაგულში ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების მოტივით საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე მაღლა ჰუმანური პრინციპები დაეყენებინათ. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ნატოს ერთობლივი ქმედება იმ მიზეზით, რომ „გაეროს უშიშროების საბჭო შეიარაღებული ძალების გამოყენების ლეგიტიმაციის ერთადერთი წყაროა“, თუმცა ამასთანავე აშკარაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაერომ ვერ მოახერხა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების აღკვეთა, რაც ასევე

წარმოადგენს გაეროს არსებობის ერთ-ერთ საფუძველს. კოსოვოს საკითხი რომ წინააღმდეგობრივი იყო, დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის დასკვნამაც აჩვენა¹⁶. კომისიამ აშშ-ნატოს ერთობლივი ოპერაცია ერთი მხრივ არალეგალურად მიიჩნია, იმ მიზეზით, რომ იგი არ მიყვებოდა გაეროს ქარტიის მიერ დადგენილ წესებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ინტერვენცია გაამართლა ამავე ქარტიაში განსახიერებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე.

დასკვნა

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოსოვოს კრიზისი 1998-1999 წლებში იყო ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და არაჰუმანური პროცესი ევროპის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შედეგებმა გვაჩვენა, რომ სერბეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ადეკვატური, გონივრული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა ალბანური სეპარატიზმის აღსაკვეთად და დაკარგა თავის საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში მოქცეული მხარე, ნატომ კი არაჰუმანური მეთოდებით საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების უგულვებელყოფით მოახერხა ჰუმანიტარული კატასტროფის შეჩერება და „გაიმარჯვა ულამაზოდ“¹⁷.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები საერთაშორისო საჯა-

¹⁴ მეოცე საუკუნის მსოფლიო : საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან. უილიამ რ. ქილორი. 2015. გვ. 697

¹⁵ გაეროს-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1244 - <https://unmik.unmissions.org/united-nations-resolution-1244>

¹⁶ THE KOSOVO REPORT, OXFORD UNIVERSITY PRESS. 2000 - <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/6D26FF88119644CFC1256989005CD392-thekosovoreport.pdf>

¹⁷ Winning Ugly: NATO's War to Save Kosovo, Ivo H. Daalder, Michael E. O'hanlon. 2000.

რო სამართლის ყველაზე უფრო ზოგადი, საბაზისო და საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფოთა სამართლებრივი ქცევის წესებია, რომლებიც მთელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის საფუძვლად ითვლება და გამოხატავს საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებასა და ინტერესებს; ისინი, კაცობრიობის განვითარების პროცესის შედეგად, დღეისათვის დამკვიდრებულ, ზოგადსაკაცობრიო მორალურ ფასეულობებსა და პრინციპებს ეფუძნება და სავალდებულოა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არსებულ ყველა სახელმწიფოსა და სხვა სამართლებრივი სუბიექტებისათვის.¹⁸ საერთაშორისო სამართლის ყოველი ძირითადი პრინციპი იურიდიული ნორმაა და მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სახელმწიფოებისათვის, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან შედარებით, უპირატესი ძალა აქვს.¹⁹ გამომდინარე აქედან, კოსოვოში სამხედრო ოპერაციის ჩატარებით ნატო-მ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ისეთი ძირითადი პრინციპები როგორცაა: „ძალით დამუქრებისა და მისი გამოყენების აკრძალვა“ და „სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა“. მართალია, ყოველივე ეს ადამიანთა უფლებების დაცვით იყო ნაკარნახევი, მაგრამ არსებული საერთაშორისო ნორმების დარღვევა ყოველთვის სახიფათო პრეცედენტია და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წეს-

რიგს, განსაკუთრებით როდესაც არ ხდება მისი შესაბამისი, მკაცრი შეფასება.

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა ბანაკის დაშლის შემდგომ, აშკარა იყო ამერიკული გავლენების არეალის გაფართოების პროცესი ევროპაში, რასაც რუსეთი ვერ უპირისპირდებოდა და იძულებული იყო დაეხია უკან. სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა „წინა გაკვეთილებიდან“, განსაკუთრებით ბოსნიაში ნატოს ინტერვენციიდან ვერაფერი ისწავლა და გაიმეორა იგივე შეცდომები. ვფიქრობთ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სლობოდან მილოშევიჩს უნდა დაეწყო საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლა და იმ მომენტისათვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებული რუსეთის ნაცვლად, დასავლურ სამყაროსთან თანამშრომლობაზე ეფიქრა, რისი დასაწყისიც მოლაპარაკებების პირობებზე დათანხმება იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირობების ნაწილი მიუღებელი იყო, სერბეთის ხელმძღვანელობამ იმ მომენტისათვის ვერ გააცნობიერა, რომ სხვა არჩევანი უბრალოდ არ ქონდათ და „ერთმორწმუნე“ რუსეთი ვერ დაიცავდა. მილოშევიჩი ვერ გათავისუფლდა რუსეთის გავლენისგან, რომელიც ცხადია არასდროს ურჩევდა დათანხმებოდა აშშ-ს რაიმე წინადადებას. დიპლომატიური შეთანხმების შემთხვევაში კი შესაძლოა, პროცესი მინიმალურად მაინც განვითარებულიყო სერბეთის სასარგებლოდ და ქვეყანა არ დამდგარიყო იმ კატასტროფული შედეგის წინაშე, რასაც საკუთარ, საყოველთაოდ აღიარებულ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვა წარმოადგენს.

¹⁸ ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ჯისიაი, თბილისი, 2005, 283

¹⁹ იქვე

1998-1999 წლებში სერბეთის მხრიდან დაშვებული შეცდომების ყველაზე მძიმე შედეგი კი 2008 წელს დადგა, როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დღეისათვის უკვე სხვა, 100-ზე მეტმა სახელმწიფომ. საბოლოოდ

აშკარაა, რომ დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს ძალიან დიდი გავლენა აქვს პატარა სახელმწიფოებში ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტების როგორც განვითარებაზე, ასევე მათ საბოლოო გადაწყვეტაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bruce W. Jentleson - American Foreign Policy, Fifth Edition. 2014
2. Winning Ugly: NATO's War to Save Kosovo, Ivo H. Daalder, Michael E. O'hanlon. 2000
3. მეოცე საუკუნის მსოფლიო : საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან. უილიამ რ. ქილორი. 2015
4. ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. ნ. ჩიტაძე. 2008
5. ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ჯისიაი, თბილისი, 2005
6. Independent International Commission on Kosovo, The Kosovo Report: Conflict, International Response, Lessons Learned (Oxford: Oxford University Press, 2000)
7. Гуськова Е.Ю., Агрессия НАТО 1999 года против Югославии и процесс мирного урегулирования.. — Москва: Индрик, 2013
8. https://1997-2001.state.gov/regions/eur/fs_kosovo_timeline.html
9. <https://unmik.unmissions.org/united-nations-resolution-1244>
10. <https://www.nato.int/docu/update/1998/9808e.htm>

ლევან ტარიელაძე

ისტორიის სადოქტორო პროგრამა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტი

**ნატო-ს სამხედრო ინტერვენცია კოსოვოში 1999 წელს:
სამართლებრივ-პოლიტიკური ანალიზი**

„ცივი ომის“ დასრულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. საბჭოთა კავშირი დაიშალა, გერმანია გაერთიანდა, მმართველი რეჟიმები და პოლიტიკური სისტემები შეიცვალა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. აღნიშნული პროცესები ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა სისხლისღვრის აცილება შეუძლებელი გახდა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც დეზინტეგრაციული პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არნახული სისასტიკითა და ტრაგედიებით განვითარდა. ევროპის შუაგულში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე განვითარებულმა ჰუმანიტარულმა კატასტროფამ შეძრა მთელი ევროპა და მსოფლიო.

იუგოსლავიის ომებიდან, გამორჩეულია კოსოვოს კონფლიქტი, რომელიც „ცივი ომის“ შემდგომი მსოფლიო პოლიტიკის განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას ყველაზე რეზონანსული მოვლენაა. 1999 წელს, იუგოსლავიის ცენტრალურ ხელისუფლებასა და უმეტესად ალბანელებით დასახლებულ სერბეთის ავტონომიურ მხარეს, კოსოვოს შორის უკიდურესად გამწვავებული კრიზისის დიპლომატიურად მოგვარების მრავალი მცდელობის ჩავარდნის შემდეგ, ნატო-მ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და ჰუმანური მოტივით, საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, 78 დღის განმავლობაში საომარი მოქმედებები აწარმოა დამოუკიდებელი სახელმწიფოს, იუგოსლავიის წინააღმდეგ. საბოლოოდ, ნატო-მ არაჰუმანური მეთოდებით მოახერხა ჰუმანიტარული კატასტროფის შეჩერება, სერბეთმა კი ვერ შეძლო ალბანური სეპარატიზმის აღკვეთა და დაკარგა თავის საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში მოქცეული მხარე.

თავისი პრეცედენტებით და შედეგებით, ამ კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მასში უშუალოდ ჩართულ მხარეებზე, არამედ სრულიად სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რის გამოც იმსახურებს ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას.

Levan Tarieladze

PhD student of History program at
Batumi Shota Rustaveli State University

**NATO Military Intervention in Kosovo in 1999:
A Legal-Political Analysis**

The end of the Cold War brought significant changes to the political map of the world. The Soviet Union disintegrated, Germany was reunited, and ruling regimes changed in Eastern Europe. These processes were often peaceful, although bloodshed could not be avoided in the Socialist Federal Republic of Yugoslavia, where disintegration processes developed with unprecedented brutality and tragedy after World War II. A humanitarian catastrophe on ethnic and religious grounds in the midst of Europe has shaken the whole of Europe and the world.

The war in Yugoslavia is marked by the "Kosovo crisis", which is a special and arguably the most resonant event in world politics since the end of the Cold War. In 1999, after several attempts by the Serbian central government and the predominantly Albanian-populated Serbian Autonomous Region of Serbia to resolve the extremely escalating diplomatic crisis between Kosovo, NATO made an unprecedented decision and acted on humanitarian grounds, without any international legal basis. . Eventually, NATO managed to stop the humanitarian catastrophe by inhumane methods, while Serbia failed to suppress Albanian separatism and lost its side within its generally recognized borders.

With its precedents and consequences, this crisis has had a great impact not only on the parties directly involved in it, but also on the domestic and foreign policies of other countries, including Georgia, which is why it deserves our special interest and attention.





ქრისტინე უბილავა

ჩარლზის უნივერსიტეტის (ჩეხეთის რესპუბლიკა) მაგისტრი,
სპეციალობა - სამართალი და ბიზნესი ჩეხეთის
რესპუბლიკასა და ცენტრალურ ევროპაში

ევროკავშირის „უპირატესი ძალის“ პრინციპის მიმართება წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობასთან

შესავალი

ნაშრომში შევეცდები წარმოვაჩინო ის ძირითადი კოლიზიური საკითხი, რომელიც მეტად სენსიტიურ და კომპლექსურ თემას წარმოადგენს ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისთვის. ევროკავშირის დევიზი „რავალფეროვნებით გაერთიანებულნი“ ნათლად ასახავს ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს და სწორედ, რომ ერთ-ერთ ასეთ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა ევროკავშირის სამართლებრივი დოქტრინა, წარმოადგენს უპირატესობის ძალის/ Supremacy პრინციპი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოები მიუხედავად ევროკავშირის სამართლებრივი აქტების იერარქიისა ვალდებული არიან პირდაპირი მოქმედების ძალით გამოიყენონ ევროპის კავშირის სამართალი, ამასთანავე, სავალდებულო დათქმას წარმოადგენს წევრი ქვეყნის სასამართლოების უარის თქმის აუცილებლობა თუნდაც ყველაზე მაღალი იერარქიის მქონე ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებაზე, როგორც არის კოსტიტუცია, რომელმაც შეიძლება

ხელი შეუშალოს ევროპის კავშირის სამართლის გამოყენებას (უპირატესი ძალის დოქტრინა)¹. ევროკავშირის სამართლის პრიმატი არის სამართლებრივი პრინციპი, რომელიც ადგენს ევროკავშირის სამართლის უპირატესობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონებთან მიმართებაში.

უპირატესი ძალის დოქტრინის აუცილებლობა გამოიწვია მეტად მნიშვნელოვანმა გარემოებამ, ევროპის კავშირის მიზნის - საერთო ბაზრის შექმნამ, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ ევროპის კავშირის სამართალი სხვადასხვა წევრი ქვეყნების სამართალს დაექვემდებარებოდა ზემოხსენებული მიზანი ვერ განხორციელდებოდა.² აღსანიშნავია, რომ ევროპის კავშირის სამართლის უპირატესი ძალის საკითხი არ იყო დარეგულირებული და მას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძვლები სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში. სწორედ ამიტომ დღის

¹ Ioannis Dimitrakopoulos, Judge of the Council of State of Greece, Conflicts between EU law and National Constitutional Law in the Field of Fundamental Rights, page 3-4.

² ალექსანდრე დევიძე, გიორგი მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019, გვ. 55.

წესრიგში დადგა საკითხი შექმნილიყო უპირატესი ძალის დოქტრინა, რომლის განვითარება მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე კოსტა/იენიელის წინააღმდეგ ე.წ. „ახალი სამართლებრივი წესრიგის“ არგუმენტით, რომელსაც მოგვიანებით მიმოვიხილავ. შესაბამისად, ევროკავშირის სამართლის პრიმატის პრინციპი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საშუალებით, რომელიც არ არის გათვალისწინებული ევროკავშირის ხელშეკრულებებში, თუმცა ლისაბონის ხელშეკრულებას დართული აქვს მოკლე დეკლარაცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღნიშნული პრინციპის კოლიზიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ წევრი სახელმწიფოების სასამართლო ორგანოები არ იზიარებენ ევროკავშირის სასამართლოს მიერ დადგენილ უპირატესი ძალის პრინციპის სავალდებულო, მონისტურ³ მიდგომას. წევრი სახელმწიფოების ნაწილის მიერ პრაქტიკაში აღიარებულია ევროპის კავშირის სამართლის უპირატეს ძალა, თუ აღნიშნული გამომდინარეობს ეროვნული ქვეყნის კონსტიტუციიდან და არა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებიდან. აღნიშნული დათქმის საშუალებით წევრი სახელმწიფოები ცდილობენ შეინარჩუნონ ევროპის კავშირის სამართალზე კონსტიტუციური კონტროლი. ალფრედ დენინგი, ინგლი-

სის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, აღნიშნავს, „ჩვენი სუვერენიტეტი გათელილ იქნა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, ჩვენს სასამართლოებს აიძულებენ უპირატესობა მიანიჭონ ევროპის კავშირის სამართალს და არა ეროვნულს“.⁴ აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და წევრი ქვეყნების სასამართლოებს შორის ცვლის უპირატესი ძალის პრინციპის აღიარების ფორმებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი პრობლემატურ, კოლიზიურ საკითხს დღევანდელ ევროპულ რეალობაში.

უპირატესობის ძალის პრინციპის

ზოგადი მიმოხილვა

ძალის პრინციპი ეხება ყველა ევროკავშირის სამართლებრივ ნორმას, რომელსაც გააჩნია სავალდებულო ძალა. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოც წარმოადგენს უპირატეს რგოლს წევრი სახელმწიფოების სასამართლოებთან დამოკიდებულებაში, მისი გადაწყვეტილებები კი პრეიუდიციულია მათთვის. ევროკავშირის სამართლის სისტემის უპირატესობა აიხსნება ინტეგრაციის მიზნებით და ბუნებრივ მოცემულობას წარმოადგენს, რომ ევროკავშირის მსგავსად ინტეგრირებული და ორგანიზაციულად მოწყობილი სისტემა

³ მონიზმი სამართლებრივ გაგებით წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ერთიანობას, რომელშიც საერთაშორისო ხელშეკრულება დამატებითი ინკორპორაციის გარეშე წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილს.

⁴ Alfred Thompson Denning, Baron Denning, the senior civil judge in the Court of Appeal of England and Wales.

ეროვნული სამართლის ჩრდილში ვერ შეძლებს ეფექტურ ფუნქციონირებას.⁵

აღნიშნული პრინციპი შეიმუშავა ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ და განმარტა, რომ ევროპული სამართლის ნებისმიერი ნორმა ყოველთვის ატარებს უზენაესი ძალის ხასიათს ეროვნული სამართლის ნებისმიერ ნორმასთან, მათ შორის წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებთან მიმართებით.⁶

უპირატესობის ძალა/ supremacy წარმოადგენს ევროპული სამართლის ფუნდამენტური პრინციპს, თუმცა არ გააჩნდა ფორმალური საფუძველი ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულებაში. შესაბამისად, იგი შემუშავდა ევროპის სასამართლოს მიერ „ახალი სამართლებრივი წესრიგის“ კონცეფციის საფუძველზე. ახალი სამართლებრივი წესრიგის“ მითითებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ამტკიცებდა, რომ ევროპის კავშირი არ იყო მხოლოდ „ფორმალური“ საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაცია, არამედ ევროკავშირს გააჩნდა უფრო დამოუკიდებელი სტატუსი, ისევე როგორც უფრო დიდი გავლენა წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებზე. ევროკავშირის კანონი აბსოლუტურად უზენაესი ძალის მატარებელია ეროვნული კონსტიტუციების დებულებებზე კი. შესაბამისად, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე,

⁵ ob. Case 11-70, ECJ Judgment of the Court of 17 December 1970. Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel.

⁶ გაგა გაბრიჩიძე, ევროპული კავშირის სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 38.

ზემოხსენებულ რეჟიმს გააჩნია განმტკიცებული ძალა, როგორც უპირატესი პრინციპისა.

საქმე 6-64 კოსტა/ იენიელის წინააღმდეგ

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებით დაადგინა ევროკავშირის კანონმდებლობის პრიორიტეტულობა ეროვნულ კანონთან შედარებით, როგორც ევროპულ, ისე ეროვნულ დონეზე. კერძოდ, საქმე Costa vs. ENEL (1964) მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აღმოჩნდა აღნიშნული სამართლებრივი პრინციპის განსაზღვრაში.⁷ მოცემულ შემთხვევაში იტალიის რესპუბლიკამ მოახდინა ქვეყანაში მყოფი ყველა ელექტროენერჯის დისტრიბუციით დაკავებული კომპანიების ნაციონალიზაცია. ბატონი კოსტა, რომელიც იყო ერთ-ერთი ამგვარი კომპანიის მფლობელი და რომელზეც იმოქმედა აღნიშნულმა ნაციონალიზაციამ, მიიჩნევდა, რომ იტალიამ ენერგოსექტორის ნაციონალიზაციით დაარღვია ევროპის კავშირის სამართალი (რომის ხელშეკრულება).

იტალიის სახელმწიფო მიუთითებდა იმაზე, რომ ევროკავშირის სასამართლო არ იყო კომპეტენტური განეხილა დავა, რადგან ზემოხსენებული ეხებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და ევროკავშირს არ შეეძლო ეროვნულ კანონმდებლობაში ჩარევა. ევროკავშირის სასამართლომ მიუთითა, რომ ევროკავშირის ხელშეკრულება, უკვე გახდა იტალიის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი და სწორედ ამიტომ ევროკავშირის სასამართლოს გააჩნდა კომპეტენცია განეხილა კონკრეტული საქმეები. ევროკავშირის სასამართლომ

⁷ ob. Case 6-64, Judgment of the Court of 15 July 1964. Flaminio Costa v E.N.E.L.

მართლმაც განაცხადა, რომ ეროვნული სამართლის იურისდიქცია შეიზღუდა იმ მომენტიდან, როდესაც მხარეებმა ხელი მოაწერეს აღნიშნულ ხელშეკრულებას, ისინი თავისთავად დათანხმდნენ ზემოთქმულ პირობაზე და მათ ამით გარკვეულწილად დათმეს მათი სუვერენიტეტის რაღაც ნაწილი, იმისათვის რომ შექმნილიყო ერთიანი საზოგადოება. ევროკავშირის სასამართლომ გაახსენა იტალიის რესპუბლიკას, რომ ისიც იყო ამ ხელშეკრულების წევრი, და რომ მოცემულ ხელშეკრულებას გააჩნია მხოლოდ ძალა. შესაბამისად, კონკრეტულ დავაზე ევროკავშირის სასამართლოს ნამდვილად გააჩნდა კომპეტენცია განეხილა იგი.

მოცემულმა ქეისმა დაამკვიდრა ეწ უპირატესობის ძალა/supremacy, „ეს არ არის ერთი ჩვეულებრივი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ახალი სამართლებრივი რეჟიმი“. როგორც ზემოაღნიშნული საქმიდან ირკვევა, როდესაც არსებობს კონფლიქტი ევროკავშირის სამართლის დებულებებსა და წევრი სახელმწიფოს შიდა (ეროვნული) კანონმდებლობის დებულებებს შორის, ამგვარ შემთხვევაში სწორედ ევროკავშირის სამართალს გააჩნია უპირატესობა. უპირატესობის ძალის პრინციპი მეტად ღირებულია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ევროკავშირის გამართულ ფუნქციონირებას. შემდგომში ზემოხსენებულმა დოქტრინამ გაფართოვება ჰპოვა 1977 წლის სიმენტალ II გადაწყვეტილებაში, როდესაც ევროპული კავშირის როგორც პირველადი ასევე მეორეული სამართლის პრიმატი გავრცელდა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობასთან, მათ შორის კონსტიტუციასთან მიმართებით.⁸

⁸ იხ. Case 106/77 Judgment of the Court of 9 March 1978. Amministrazione delle Finanze dello Stato v Simmenthal SpA.

წევრი სახელმწიფოების მიდგომა უპირატესობის ძალის პრინციპთან დაკავშირებით

საინტერესოა განვიხილოთ წევრი სახელმწიფოების მიდგომა უპირატესობის ძალის პრინციპთან დაკავშირებით.

ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მეათე მუხლის მიხედვით,⁹ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც რატიფიცირებულია ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიერ წარმოადგენს ჩეხეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ნაწილს და მას გააჩნია უპირატესი ძალა ყველა სხვა იურიდიულ დოკუმენტთან მიმართებით.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო მიდგომა გააჩნია საფრანგეთს. აღსანიშნავია რომ საფრანგეთის ორდინალურმა სასამართლომ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დანერგული უპირატესობის ძალის პრინციპი აღიარა 1975 წელს, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ აღნიშნული რეჟიმის აღიარება მოახდინა 1990 წელს, აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ მოცემულ ფაქტამდე უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს/ Conseil d'Etat არ ჰქონდა სასამართლო განხილვის უფლება საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ მათ ვერ დაადგინეს ეროვნული კანონმდებლობის შეუთავსებლობის საკითხი ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ვერც ევროკავშირის სამართალს მიანიჭეს უპირატესობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი ორდინალური სასამართლოების/ Cour de

⁹ Constitution of the Czech Republic.

cassation მიერ საქმეზე Administration des Douanes v Société 'Cafes Jacques Vabre' et SARL Wiegel et Cie მოხდა ევროკავშირის სამართლებრივი რეჟიმის უპირატესობის ძალის აღიარება კონსტიტუციის 55-ე მუხლთან შესაბამისობაში, რომლის მიხედვითაც რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ეძლეობდა უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უწყებები ვალდებული არიან გამოიყენონ ევროპული კავშირის სამართლის ნორმა, თუკი იგი უშუალოდ ეფექტის მქონეა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს არის თუ არა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმა ევროპული კავშირის სამართლის ნორმამდე მიღებული, თუ მისი მიღების შემდეგ. ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა საბოლოოდ შეცვალეს თავიანთი პოზიცია რაულ ჯორჯ ნიკოლოს საქმეში¹⁰, როდესაც მათ გადაწყვიტეს ელიარებინათ Cour de cassation- ის მიერ გამოყენებული ევროკავშირის სამართლის პრიმატთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

გერმანია უპირატესობის ძალის პრიციპს არ აღიარებს ნაწილობრივ, სოლანჟის საქმეში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტავს, რომ ვინაიდან ევროკავშირის სამართალს გააჩნია ფუნდამენტური უფლებების დაცვის უმაღლესი ძალა, ისინი აღარ შეამოწმებენ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებს გერმანიის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.¹¹

¹⁰ John Bell, Sophie Boyron and Simon Whittaker, Principles of French Law, Second Edition, page 530. Raoul Georges Nicolo case, in October, 1989.

¹¹ ob. *Re Wuensche Handelsgesellschaft*, BVerfG decision of 22 October 1986 [1987] 3 CMLR 225,265).

იტალიის რესპუბლიკასაც გააჩნია საინტერესო მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქმეში Frontini v. Ministro delle Finanze-ის წინააღმდეგ, მოსარჩელე ცდილობდა ეროვნული კანონის უგულებელყოფას, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს დალოდების გარეშე. ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ/ ECJ გამოიტანა შემდეგი სახის განაჩენი „ყველა ეროვნულმა სასამართლომ უნდა გამოიყენოს ევროკავშირის სამართალი, როგორც უპირატესი ძალის მქონე კანონი.“¹²

2006 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით, ლიეტუვის საკონსტიტუციო სასამართლომ დაასრულა, რომლის თანახმად ევროკავშირის კანონმდებლობას უპირატესი ძალა გააჩნია მხოლოდ ლიეტუვის პარლამენტის ჩვეულებრივ / ორდინალურ აქტებზე, მაგრამ არა კონსტიტუციასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სამართალი ეწინააღმდეგება ლიეტუვის კონსტიტუციას, ევროკავშირის სამართლის ნორმა კარგავს მისი პირდაპირ მოქმედების ძალას და შეუსაბამო რჩება კონსტიტუციასთან მიმართებით.¹³

დაახლოებით იგივე მიდგომას იზიარებს პოლონეთის რესპუბლიკაც, ვინაიდან პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობას გააჩნია უმაღლესი ძალა მან შესაძლოა ჩრდილქვეშ მოაქციოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდე-

¹² ob. *Frontini v. Minister delle Finanze* [1974] 2 CMLR 372 (Italian Constitutional Court) Constitutional Law.

¹³ [Ruling of the Lithuanian Constitutional Court dated 14 March 2006 in case no. 17/02-24/02-06/03-22/04](#)

ბლო ნორმატიული აქტები, თუმცა იგი ვერ წარმოჩნდება როგორც პრიმატი პოლონეთის კონსტიტუციასთან მიმართებით. ევროკავშირის კანონსა და კონსტიტუციას შორის კოლიზიის არსებობის შემთხვევაში, პოლონეთს შეუძლია მიიღოს სუვერენული გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს კონფლიქტი (კონსტიტუციის შეცვლით ან ევროკავშირის დატოვებით.)¹⁴

დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე ევროკავშირის სახით გვყავს სუპერნაციონალური სისტემა, ერთგვარი „საერთაშორისო სამართლის ახალი მართლწესრიგი“, რომელიც დელეგირებული სუვერენული კომპეტენციის ფარგლებში ავტონომიურად ვითარდება. ევროკავშირის უპირატესობის ძალის პრინციპის ანალიზმა წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით საშუალება მოგვცა მივსულიყავით იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი კონსტიტუციური ტრადიციიდან გამომდინარე, შეიმუშავეს სხვადასხვა გადაწყვეტილებები ეროვნული სამართლისა და ევროკავშირის სამართლის ერთმანეთთან შეუთავსებლობის საკითხების მოსაგვარებლად. მართალია წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ გაიზიარა ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მოსაზრება უპირატესობის პრინციპთან დაკავშირებით, თუმცა ევროკავშირის სამართლის უპირატესობის პრინ-

ციპის მნიშვნელობას ვერ ამოვწურავთ ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების ნორმათა კოლიზიის მოწესრიგებით.¹⁵ ევროკავშირის პირველადი და მეორეული კანონმდებლობა უპირატესია წევრი სახელმწიფოების სამართალთან მიმართებით და შესასრულებლად სავალდებულოა.¹⁶

ამრიგად, მივიჩნევ, რომ წევრმა სახელმწიფოებმა არ შეიძლება გამოიყენონ ეროვნული კანონმდებლობის ის დანაწესი, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ სამართალს, ვინაიდან უპირატესობის პრინციპი უზრუნველყოფს ევროპული სამართლის უპირატესობას ეროვნულ კანონებთან შედარებით. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „სახელმწიფოებმა საბოლოოდ შეიზღუდეს საკუთარი სუვერენული უფლებები იმით, რომ მათ, ხელშეკრულების დებულებების მიხედვით, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აქამდე მათ შიდა სამართლებრივ წესრიგებს ექვემდებარებოდა, გაერთიანების სამართლებრივ წესრიგს გადასცეს.“¹⁷ შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსა და ევროპული კავშირის სამართლის ნორმის კოლიზიის შემთხვევაში ევროკავშირის სამართალს ავტომატურად ენიჭება უპირატესი ძალა და იგი არ საჭიროებს ეროვნული ნორმის ფორმალურ გაუქმებას ან /და მისი მოქმედების შეჩერებას წევრი სახელმწიფოს მხრიდან.

¹⁵ სერგი კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი, 2006, გვ. 49.

¹⁶ დავით მაისურაძე, ელენე სულხანიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი, 2018, გვ. 89.

¹⁷ ალექსანდრე დევიძე, გიორგი მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019.

¹⁴Verdict of Constitutional Tribunal of Poland of May 11th, 2005.

ბიბლიოგრაფია

1. ალასანია გიორგი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები, თბილისი, 2012.
2. გაბრიჩიძე გაგა, ევროპული კავშირის სამართალი, თბილისი, 2012.
3. დევიძე ალექსანდრე, მირიანაშვილი გიორგი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019.
4. კაპანაძე სერგი, ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი, 2006.
5. მაისურაძე დავით, ელენე სულხანიშვილი, ვაშაკიძე გიორგი, ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი, 2018.
6. პაპავა ირაკლი, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები 2014.
7. Bell John, Boyron Sophie, Whittaker Simon, Principles of French Law, Second Edition.
8. Constitution of the Czech Republic.
9. Case 11-70, ECJ Judgment of the Court of 17 December 1970, Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel.
10. Case 6-64, Judgment of the Court of 15 July 1964, Flaminio Costa v E.N.E.L.
11. Dimitrakopoulos Iohannis, Judge of the Council of State of Greece, Conflicts between EU law and National Constitutional Law in the Field of Fundamental Rights.

ქრისტინე უბილავა

ჩარლზის უნივერსიტეტის (ჩეხეთის რესპუბლიკა) მაგისტრი,
სპეციალობა - სამართალი და ბიზნესი ჩეხეთის
რესპუბლიკასა და ცენტრალურ ევროპაში

ევროკავშირის „უპირატესი ძალის“ პრინციპის მიმართება წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობასთან

წინამდებარე სტატია ეხება ევროკავშირის სამართლის პრიმატის პრინციპს, რომლის პრაქტიკული ეფექტი საკმაოდ ნათლად არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრაქტიკაში. თუმცა, წევრი სახელმწიფოების უმაღლეს ეროვნულ სასამართლოებს გაუჭირდათ პრინციპთან შეგუება.

სტატიაში მთავარი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინის არსისა და აღნიშნულთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების მიდგომების შესწავლის ანალიზს, ვინაიდან აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი მიდგომა ევროკავშირის ფარგლებში ქმნის მეტად სერიოზულ პრობლემას.

სტატიის შესწავლის საგანს წარმოადგენს შიდა (ეროვნულ) კანონსა და ევროკავშირის კანონებს შორის კოლიზიის შემთხვევების შესწავლა. ევროკავშირის სამართლის

უზენაესობის დოქტრინის სწორი და ყველაზე გავრცელებული განმარტება გვხვდება იტალიის მნიშვნელოვან საქმეში, *Costa v Enel*. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნულ კანონსა და ევროპულს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ეს უკანასკნელი უზენაესია. მოცემულ მიდგომა განმტკიცებულია იმ არგუმენტით, რომ არანაირმა გარემოებამ არ უნდა შეარყიოს ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძველი.

ნაშრომის კვლევის მიზანია სწორედ ევროკავშირის უპირატესობის ძალის დოქტრინის, როგორც კავშირის ფუძემდებლური პრინციპის ანალიზი და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა. აგრეთვე, წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობასა და ევროკავშირის სამართალს შორის არსებული კოლიზიური საკითხის კვლევა.

კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების არაერთგვაროვანი მიდგომის შესწავლა, იმ ხარვეზების აღმოჩენა, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში იწვევს „განხეთქილებას“ და საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

Kristine Ubliava

Charles University master (Czech Republic)

European Union “Ultimate Power” principle connection to the Member States’ National Legislation

This article deals with the principle of primacy of EU law, the practical effect of which is quite clearly established in the practice of the Court of Justice of the European Union (CJEU). However, the national supreme courts of the Member States found it difficult to adapt to the principle.

The article focuses on the analysis of the essence of the doctrine of the rule of law in the EU and the study of the approaches of the member states in this regard, as the heterogeneous approach to this principle within the EU poses a very serious problem.

The subject of the article is the study of cases of conflict between national (national) law and EU law. The correct and most common definition of the doctrine of the rule of law in the European Union can be found in the important case of Italy, *Costa v Enel*. The Court of Justice of the European Union has emphasized that in the event of a conflict between national law and European law, the latter shall prevail. This approach is reinforced by the argument that no circumstance should undermine the legal basis of the EU as an international organization.

The aim of the paper is to analyze the doctrine of the power of superiority of the European Union as a fundamental principle of the Union and to determine its significance. Also, a study of the conflict between national law of the Member States and EU law.

The main task of the study is to study the heterogeneous approach of the member states to the above issue, to identify the shortcomings that lead to a "rift" within the EU and threaten the proper functioning of the organization.



სისხლის საპატიო და სისხლის საპატიოს პროცესი



ედიშერ ფუტკარაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ადამიანის უფლების დაცვის ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი ასპექტი

შესავალი

ადამიანის უფლების კონსტიტუციური გარანტიის, დეკლარაციით განსაზღვრისა და კონვენციით გაცხადების შემდეგ და არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი დაცვა. ადამიანის უფლების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით კი ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სისხლისსამართლებრივი დაცვა. აქ საინტერესოა სისხლის სამართლის დაცვის ფუნქცია.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის აუცილებელია მისი აღიარება ქმედების შემადგენლობაში *სამართლებრივ სიკეთედ* ან როგორც ზოგჯერ იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული *დანაშაულის ობიექტად*. ეს იმიტომ, რომ ადამიანის უფლება არის უმნიშვნელოვანესი სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთე. სამართლებრივი

სიკეთისა თუ დანაშაულის ობიექტის საკითხის დაზუსტება ქმედების შემადგენლობაში მნიშვნელოვანია მათი ადგილისა და დანიშნულების სწორი განსაზღვრისათვის და შესაბამისად ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცვისათვის.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა ასევე დანაშაულის ობიექტისა და საგნის (სამართლებრივი სიკეთისა და ხელყოფის ობიექტის) და ქმედების ობიექტისა და ქმედების სუბიექტის საკითხის გამოკვლევა.

რა თქმა უნდა, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცვის თვალსაზრისით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის სხვა საკითხებიც, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხო-

ლოდ ზემოთ აღნიშნული საკითხების გამოკვლევით.

1. *სისხლის სამართლის დაცვის ფუნქციაზე*

იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებულია ის ფაქტი, რომ სისხლის სამართალს აქვს დაცვის ფუნქცია. თუმცა შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივი ურთიერთობები მრავალმხრივია, განსაკუთრებით განვითარების თანამედროვე ეტაპზე. შესაბამისად, არსებობს სამართლის სხვადასხვა დარგი, ადრე თუ ახლა ჩამოყალიბებული, რომელიც ურთიერთობების ამა თუ იმ სფეროს არეგულირებს. იგივე ფუნქციას ასრულებს სისხლის სამართალი, თუ მისი დანიშნულება განსხვავებული ანდა განსაკუთრებულია.

ამა თუ იმ საკითხზე ჩვენ შეიძლება გვქონდეს განსხვავებული მეცნიერული დამოკიდებულება და მის შესაბამისად განვმარტოთ იგი, მაგრამ სავალდებულობის თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვანი საკანონმდებლო, ოფიციალური განმარტებაა. აქ აღარ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას კანონის, მათ შორის სისხლის სამართლის კანონმდებლობის, ახსნა - განმარტების სხვადასხვა სახესა და მნიშვნელობაზე. ეს საკითხი საყურადღებოა ასევე ადამიანის უფლებათა სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით.

ჩვენ შევეცდებით ეს საკითხი ცოტა ქვემოთ განვიხილოთ. მეცნიერულად რაც არ უნდა განსხვავებული პოზიცია გვ-

ქონდეს, მაინც სავალდებულოა ყველასათვის ოფიციალური, საკანონმდებლო განმარტება. საქართველოს სისხლის სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსის 1-ლი მუხლის (მუხლი 1-ლი- საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი) მე-3 ნაწილის მიხედვით: “ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“.

მართლწესრიგს ქმნის სამართლის სხვადასხვა დარგის ერთობლიობა, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს არეგულირებს. სამართლის სხვადასხვა დარგებით მორეგულირებული, მოწესრიგებული მართლწესრიგს იცავს სისხლის სამართალი. ამიტომ სისხლის სამართალს აქვს მართლწესრიგის დაცვის ფუნქცია, საზოგადოებრივი ურთიერთობის დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვის მიზანი.

ამ ფუნქციის შესასრულებლად, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად და მართლწესრიგის დასაცავად „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.“ ეს საკითხი ასეა გადმოცემული ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

ამდენად, სისხლის სამართლის ფუნქცია, მიზანი ნათელია - მართლწესრიგის დაცვა. ასევე ნათელია ამ მიზნის მიღწევის საშუალება - სისხლისსამართ-

ლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა, გარკვეულ ქმედებათა დანაშაულად კვალიფიკაცია (განსაზღვრა) და მათთვის შესაბამისი სასჯელის ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების დაწესება.

თუ კარგად გავიაზრებთ სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსს, ვნახავთ, რომ ნათლად განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ (სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი).

ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უპირველეს ყოვლისა იცავს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებში გამოხატულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობა კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან გულისხმობს იმას, რომ რა ძირითადი ღირებულებებიც აღიარებულია კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართალში (საერთაშორისო დეკლარაციები, კონვენციები და ა. შ.), დაცულია სისხლისსამართლებრივად. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა კონსტიტუციითა და საერთაშორისო დეკლარაციებით (კონვენციებით)

აღიარებული ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა.

რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის კოდექსი არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ღირებულებების დაცვით, ის ასევე იცავს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან შესაბამისობაში მყოფი სამართლის სხვა დარგებით მოწესრიგებულ ურთიერთობებს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს „საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ და დაიცვას იქ გამოხატული და აღიარებული სხვადასხვა ღირებულება, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლების აღიარება და დაცვა. ადამიანის უფლების დაცვის საკითხში კი სისხლის სამართალი უმნიშვნელოვანესია.

ტრიადის - პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო - სისხლისსამართლებრივი დაცვიდან პრიორიტეტულად პიროვნების, ადამიანის აღიარება თუნდაც ფორმალურად მიუთითებს სახელმწიფოს სამართლებრივ განვითარებაზე და მისი მხრიდან ადამიანის სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებაზე. ამ მხრივ საქართველომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში კერძო ნაწილი იწყება კარით „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“ (108 – 176 მუხ.)

ყველა დანაშაული პირდაპირ თუ ირიბად ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. ასეთია ის დანაშაული, რომელიც ხელყოფს (იცავს) ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სქესობრივ თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ოჯახსა და არასრულწლოვანს.

მოქმედი, დამნაშავე ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის ამ ურთიერთობებს, ღირებულებებს, რაც სისხლისსამართლებრივად დაცულია. ეს ურთიერთობები დაცულია სისხლისსამართლებრივად და გათვალისწინებულია კონკრეტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობაში დაცულ სამართლებრივ სიკეთედ ან/და დანაშაულის ობიექტად. ამ საკითხზე ქვემოთ მოგახსენებთ. ამიტომ ეს ურთიერთობები, ღირებულებები დაცულია დანაშაულის ჩადენით ხელყოფისაგან სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხელყოფილია დამნაშავის მიერ. ამიტომ აქ ვწერთ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავ სიტყვებს, სისხლის სამართალი იცავს და დანაშაული კი ხელყოფს ზემოთ ჩამოთვლილ სამართლებრივ სიკეთეებს თუ დანაშაულის ობიექტს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა დანაშაულები, რომლებიც ხელყოფს (იცავს) ეკონომიკურ ურთიერთობებს, საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესს, სახელმწიფოს, სასამართლო ხელისუფლებას,

სამხედრო სამსახურს, ან თუნდაც მიმართულია კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში კონკრეტული ქმედების შემადგენლობათა ჩამოყალიბებით განსაზღვრულია იმ ქმედებათა წრე, რომელიც სისხლისსამართლებრივად დასჯადია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.“

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, აქ განსაზღვრულია როგორც დანაშაულებრივ ქმედებათა წრე, ასევე იმ ურთიერთობათა წრე, რაც სისხლისსამართლებრივად დაცულია. ამ შემთხვევაში გარკვეულ ქმედებათა დანაშაულად კვალიფიკაცია არის საშუალება სისხლის სამართლის მიზნის მისაღწევად - მართლწესრიგის დასაცავად. საერთო მართლწესრიგის ყველა ის ნაწილი, რაც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან უნდა იქნეს დაცული, არის სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთე ან როგორც ზოგიერთ იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ დანაშაულის ობიექტი.

ამიტომ სისხლის სამართლის დაცვის ფუნქციაზე საუბრის შემდეგ ლოგიკური და მიზანშეწონილია სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე (დანაშაულის ობიექტზე)

მსჯელობა. მით უმეტეს, რომ ჩვენი ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ გვინდა ყველა საკითხი გამოვიკვლიოთ იმ აუცილებელი და საკმარისი მოცულობით, რაც საკმაოდ კარგად წარმოაჩენს ადამიანის უფლების სისხლის-სამართლებრივი დაცვის ზოგიერთ საკითხს.

გარდა ამისა ადამიანის უფლება (საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო დეკლარაცია/კონვენციებით აღიარებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები) სისხლისსამართლებრივად დაცული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთე (დანაშაულის ობიექტია).

2. ადამიანის უფლება, როგორც უმნიშვნელოვანესი სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთე (დანაშაულის ობიექტი)

იურიდიული სპეციალობისათვის შესასწავლი საგნები შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დავყოთ. ესენია წმინდა თეორიულ - დოგმატიკური ხასიათის და პოზიტიური სამართლის. სისხლის სამართალი პოზიტიურ სამართალს მიეკუთვნება. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მეცნიერება, დოგმატიკა თუნდაც პოზიტიური, საკანონმდებლო სისხლის სამართლის განვითარებისათვის.

როგორც პოზიტიური სამართლის სხვა დარგებში, სისხლის სამართალშიც თემატიკა (საკითხები) ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველ რიგში, ესენია ისეთი თემები, რომლებიც წმინდა თეორიულ - მეცნიერული ხასიათისაა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

რომელიმე მუხლით მოცემული არ არის. ისინი პირობითად შეიძლება აღვნიშნოთ T-თი (თეორიული). ასეთია, მაგალითად, ბრალის ცნება, მართლწინააღმდეგობის ცნება (და არა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები), ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძირითადი და ფაკულტატური ნიშნები, სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები, ასევე ამ ნიშნების, მაგალითად, მოტივის, მიზნის მნიშვნელობა და ა. შ. ამ და სხვა საკითხების შესახებ არ გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსში რომელიმე მუხლი და შესაბამისად საკანონმდებლო განმარტება. ამიტომ ეს საკითხები მეცნიერული განმარტების საგანს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში მათ სწორად განმარტებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციისათვის და ამ ნიშნით ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დასაცავად.

მეორე მხრივ, სისხლის სამართალში არსებობს ისეთი თემები, რომლებზეც თეორიულ - დოგმატიკურ მსჯელობა - მოსაზრებასთან ერთად გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული მუხლი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება ამა თუ იმ სისხლისსამართლებრივ საკითხზე, მაგრამ სავალდებულოობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ოფიციალური, საკანონმდებლო განმარტება. ასეთ დროს უნდა გავითვალისწინოთ კანონმდებლის პოზიცია. ჩვენ შეიძლება მოვიწინოთ ან გავაკრიტიკოთ კოდექსის რომელიმე მუხლის შინაარსი, მაგრამ ნორმის განმარტებისა და მით უმეტეს შეფარდებისას,

უნდა დავეყრდნოთ საკანონმდებლო, ოფიციალურ პოზიციას. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების დასაცავად ნორმის შინაარსის სწორად გაგება და შესაბამისად სწორად გამოყენება - შეფარდება. ასეთ საკითხს წარმოადგენს, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების ფარგლები, მიზეზობრივი კავშირი, განზრახი დანაშაული, გაუფრთხილებელი დანაშაული და ა. შ. ეს საკითხები აქტუალურია მეცნიერებაში, მაგრამ მათთან დაკავშირებით პასუხი გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსში. ამიტომ რაც არ უნდა განსხვავებული და თუნდაც, ჩვენის აზრით „გონივრული“ შეხედულება გვქონდეს ასეთ საკითხზე, მაინც უნდა დავეყრდნოთ კანონმდებლობას და მისი შინაარსის სწორ გაგება - განმარტებაზე ვიზრუნოთ. ესეც არის ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა.

ასეთი საკითხები, რომლებიც საკანონმდებლოდ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ მუხლში გვაქვს ჩამოყალიბებული შეიძლება პირობით ავლნიშნოთ K-თი (კანონისმიერი, კანონით გათვალისწინებული). ასეთი თემები საკმაოდ ბლომად გვხვდება სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, მაგრამ ასეთია მთლიანად კერძო ნაწილი, რადგან როგორც კანონიერების პრინციპშია მოცემული: „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“, „nullum crimen sine Lege“, ანდა გერმანული „kein Verbrechen ohne Strafe.“

თუ კარგად გავიაზრებთ სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის სპეციფიკას, T თემები გვხვდება მხოლოდ ზოგად ნაწილში, K თემები კი ნაწი-

ლობრივ ზოგად ნაწილში და მთლიანად კერძო ნაწილში. კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, კერძო ნაწილში უნდა იყოს მხოლოდ K ტიპის საკითხები. მხოლოდ კანონით გათვალისწინებული კონკრეტული შემადგენლობები. ეს ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის ერთგვარი გარანტიაა. მაგრამ ადამიანის უფლების დასაცავად აქ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ შემადგენლობების მნიშვნელობის სწორი განმარტება. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის სწორად გასაგებად და გამოსაყენებლად აუცილებელია ზოგადი ნაწილის თემატიკის ცოდნა, რომელთაგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგი T ტიპისაა და ზოგი კი K ტიპის.

T - თემებთან მიმართებაში იურისტი აკადემიურად უფრო მეტად თავისუფალია და შეიძლება დაასაბუთოს თავისი შეხედულების ვარგისიანობა - უპირატესობა. თუნდაც ეს შეხედულება კონკრეტულ დროსა და ადგილას გაბატონებულ შეხედულებას ეწინააღმდეგებოდეს და ალტერნატიულ მეცნიერულ უმცირესობას წარმოადგენდეს. ზოგიერთი T-თემასთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც არსებობს საკმაოდ განსხვავებული დამოკიდებულება. ეს ხშირად აისახება არა მხოლოდ სასწავლო პროცესზე, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც.

T-ტიპის თემების სწორ მეცნიერულ გააზრებას და სასამართლო პრაქტიკაში დანერგვას ძალიან დიდი მნიშვნელობა

აქვს ადამიანის უფლების სისხლის-სამართლებრივად დასაცავად.

K-ტიპის თემებზე ძირითადი პასუხი-სმებლობა ეკისრება კანონმდებელს და მეცნიერებასა და მით უმეტეს სასამართლოს რჩება მხოლოდ მათი სწორად განმარტება-გაგების და გამოყენების ვალდებულება. აქ ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დასაცავად მნიშვნელოვანია ჯერ კანონმდებლის მიერ ადამიანის უფლების დამცველი ნორმების (მუხლის) გათვალისწინება, შემდეგ კი მისი სწორი განმარტება და გამოყენება-შეფარდება.

ამდენად, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დასაცავად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო და მეცნიერული განმარტება.

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კანონმდებელმა სწორად განსაზღვროს საზოგადოების ურთიერთობათა და ადამიანის უფლებათა ის წრე, რომელსაც სისხლისსამართლებრივად იცავს. საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ან/და სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს სისხლისსამართლებრივად დაცული საზოგადოების ურთიერთობის წრე, მაგრამ ყოველთვის უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლება.

სისხლისსამართლებრივად დაცული ურთიერთობათა წრეს, სამართლებრივ სიკეთეთა თუ დანაშაულის ობიექტს განსაზღვრავს კანონმდებელი (კანონიერების პრინციპი). კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუ რა არის სისხლისსამართლებრივად დაცული. მაგრამ არ არის

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივად დაცული ურთიერთობის სახელწოდება - სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთე თუ დანაშაულის ობიექტი. ამას არსებითი მნიშვნელობა არც უნდა მივანიჭოთ. მთავარია ის, რომ კანონმდებელი მათ იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და მათზე დაყრდნობით აგებს კერძო ნაწილით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემადგენლობებს. დანაშავე კი ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ ამ ღირებულებებს, რომელთაგან ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ადამიანის უფლებაა.

მაშასადამე, კანონმდებელმა განსაზღვრა ის თუ რას იცავს სისხლისსამართლებრივად დანაშაულის ხელყოფისაგან, მაგრამ არ განსაზღვრა მისი სახელწოდება K - საკითხების მსგავსად და ის T-კატეგორიის თემებს მიაკუთვნა. ამიტომ ამ თემაზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, როგორც T ტიპის თემაზე. ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება ამ საკითხის განხილვა.

3.სამართლებრივი სიკეთე თუ დანაშაულის ობიექტი?!

ამ ბოლო პერიოდში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შეინიშნება ერთი და იგივე ცნებების სხვადასხვა ტერმინით გადმოცემის ტენდენცია. თუ ცნების სხვადასხვა ტერმინით, ფორმით გადმოცემა არ ცვლის გადმოსაცემი ცნების მნიშვნელობას, შინაარსს, მაშინ შეიძლება ვიყოთ აკადემიურად თავისუფალი და ჩვენი შეხედულებისამებრ გამოვიყენოთ

ესა თუ ის ტერმინი, ფორმა. აქ ვგულისხმობ T კატეგორიის საკითხებს, რომლებსაც სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული მუხლი არ ეთმობა. თუ K კატეგორიის საკითხია, მაშინ ჩვენს პოზიციას მეტად საკანონმდებლო განმარტება მნიშვნელოვანი. მაგრამ T - კატეგორიის საკითხებთან მიმართებაში, სადაც აკადემიურად დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია, ასევე მაღალია მათი შინაარსის სხვადასხვა ფორმით გადმოცემის ალბათობაც.

შინაარსისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით მნიშვნელოვანია რაიმე T საკითხის შინაარსისა და მნიშვნელობის სწორად განსაზღვრა და მის გადმოსაცემად შესაბამისი ადეკვატური ფორმის შერჩევა.

რა უფრო მნიშვნელოვანია „იმის“ განსაზღვრა, თუ რა უნდა იყოს სისხლისსამართლებრივად დაცული თუ იმის დაზუსტება რას დავარქმევთ მას - სამართლებრივ სიკეთეს თუ დანაშაულის ობიექტს? ალბათ უფრო პრიორიტეტულია იმის დადგენა, თუ რა იქნება/უნდა იყოს სისხლისსამართლებრივად დაცული. ეს ერთ - ერთი ფუნდამენტური საკითხია. განსაზღვრო ის, თუ რა არ უნდა იყოს დანაშაულებრივად ხელყოფილი.

მართალია სისხლის სამართლის სამართალში მიზანშეწონილი არ არის ნაცვალსახელების გამოყენება და საჭიროა ყველაფერს შინაარსთან ერთად ადეკვატური ფორმა მოეძებნოს და თავისი სახელი დაერქვას, მაგრამ ზოგჯერ ფორმას შეუთანხმებლობის გამო (რომ აღარაფერი ვთქვათ შინაარსზეც) უპრიანია

სანამ შევთანხმდებოდეთ ისევ ნაცვალსახელით მოვისხენიოთ.

სისხლის სამართლის დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, ის რაც სისხლისსამართლებრივად დაცულია, განსაზღვრულია კანონმდებლის მიერ (კანონიერების პრინციპი). მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე დაცულია დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და ამის გამო სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებულია მკვლელობის არაერთი (მათ შორის მარტივი, კვალიფიციური და პრივილეგირებული) შემადგენლობა, რომელიც სიცოცხლეს ითვალისწინებს იმ ნიშნად, რომლის დასაცავადაც ჩამოყალიბებულია ესა თუ ის კონკრეტული შემადგენლობა.

ზოგიერთი ავტორის აზრით მკვლელობის შემადგენლობაში სიცოცხლე არის დაცული სამართლებრივი სიკეთე, ხოლო ადამიანი ქმედების ობიექტი¹.

პროფ. მ. ტურავა სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის ურთიერთდამოკიდებულებაზე მსჯელობისას განიხილავს სამ ვარიანტს და აღნიშნავს, რომ: 1. ისინი ერთმანეთის იდენტურია; 2. მათ შორის არსებობს შინაარსობრივი, მაგრამ არა ფორმალური იგივეობა და 3. სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი განსხვავდება ერთმანეთისგან.²

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას პროფ. მ. ტურავა ძირითადად ეყრდნობა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურას.

სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის განსხვავების საილუს-

¹მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 22;

²იქვე;

ტრაციოდ მ. ტურავას მოჰყავს ასეთი მაგალითი; ასე, მაგალითად, ქურდობის (სსკ-ის 177-ე მუხლი) ქმედების ობიექტია „სხვისი მოძრავი ნივთი“, მაგრამ დაცულ სამართლებრივი სიკეთეს წარმოადგენს „საკუთრება“ და „მფლობელობა“. ასევე, ყალბი დოკუმენტის დამზადების დროს ქმედების ობიექტია გაყალბებული დოკუმენტი (სსკ-ის 362-ე მუხლი), მაგრამ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს მმართველობის დადგენილი წესი³.

ქურდობასთან დაკავშირებული მსგავსი მაგალითის მოშველიებისას პროფ. გ. ნაჭყებია სხვა ტერმინებს, ფორმას იყენებს და შეიძლება ითქვას, რომ მათ სხვა მნიშვნელობასაც ანიჭებს. ასე, მაგალითად, „სხვისი მოძრავი ნივთი ამ შემთხვევაში არის ქმედების საგანი (გ. ნ), ხოლო ქურდობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ობიექტია საკუთრება.“⁴

ის, რაც სისხლისსამართლებრივად ხელყოფილია (სამართლებრივი სიკეთე თუ დანაშაულის ობიექტი) და ის რაზე ზემოქმედებითაც (ქმედების ობიექტი თუ ქმედების საგანი) ხელყოფილია ეს სისხლისსამართლებრივად დაცული (სამართლებრივი სიკეთე თუ ქმედების ობიექტი), როგორც ვხედავთ სხვადასხვა ფორმით არის ჩამოყალიბებული, მაგრამ თუ კარგად გავიაზრებთ, ერთი და იგივე შინაარსის გადმოცემას ემსახურება.

არსებითი მნიშვნელოა არ ექნება იმას, თუ რას დავარქმევთ „სხვის მოძრავ ნივთს“ ქმედების ობიექტს თუ ქმედების

საგანს. მთავარია, რომ სწორად განვსაზღვროთ მისი ადგილი და მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობაში და შესაბამისად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას სხვისი მოძრავი ნივთის ხელყოფით, მასზე ზემოქმედებით უნდა მოხდეს ქურდობის შემადგენლობით დაცული ობიექტის, ან როგორც აღნიშნულია ზოგიერთ ლიტერატურაში, სამართლებრივი სიკეთის - საკუთრების უფლების ხელყოფა.

როგორც საკუთრება ქურდობისას, ასევე, სიცოცხლე მკვლელობისას არის დანაშაულის ობიექტი, დაცული სამართლებრივი სიკეთე. ეს არის ის ინტერესები, რომლის დასაცავადაც საკანონმდებლო ხდება კონკრეტული ქმედების (ქურდობის თუ მკვლელობის) დანაშაულის კვალიფიკაცია.

ამიტომ არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ იმას, თუ რას დავარქმევთ სიცოცხლეს ანდა საკუთრებას დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობის ნიშნების დახასიათებისას. მთავარია სწორად განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა და ადგილი ქმედების დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, რომელიც სწორედ მის დასაცავად ხდება.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს არის T კატეგორიის საკითხი და ამიტომ ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. აქვე საყურადღებოა ისიც, თუ რომელი ფორმა იქნება უფრო მეტად გაზიარებული იურიდიულ ლიტერატურაში ამ შინაარსის გადმოსაცემად.

დანაშაულის ობიექტის საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ ადრე დამუშავდა და კარგად არის ცნობილი. დანაშაულის ოთხნიშნოვანი

³იქვე, გვ.22-23;

⁴გ. ნაჭყებია, წიგნში სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016 წ. გვ. 118;

დაყოფისას (დანაშაულის ობიექტი, დანაშაულის ობიექტური მხარე, დანაშაულის სუბიექტი, დანაშაულის სუბიექტური მხარე) დანაშაულის ობიექტი ყოველთვის ცალკე საკითხად იყო გამოყოფილი და გადმოცემული.⁵

ბოლო პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებში, დანაშაულის სამნიშნოვანი დაყოფის (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობას და ბრალი) გაზიარების გავლენით, დანაშაულის ობიექტის ნაცვლად გამოიყენება ქმედების ობიექტი (ოღონდ არა იმ მნიშვნელობით, რაც ადამიანს ანდა სხვის მოძრავ ნივთს - ქმედების საგანს გულისხმობს) და ზოგჯერ მისი მნიშვნელობა და ადგილი მეცნიერულ დავას იწვევს. პროფ. გ. ნაჭყებია დანაშაულის ცნების თავის დახასიათებისას ბოლო პარაგრაფად გადმოგვცემს ქმედების სუბიექტისა და ობიექტის თემას.⁶

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრე გამოცემულ სახელმძღვანელოებში და საერთოდ იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენებოდა „დანაშაულის ობიექტი“. დოქტ. გ. ხუროშვილი დანაშაულის ობიექტის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ „დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად მიაღდა ან შეიძლება მიაღდეს ზიანი.“⁷

⁵ იხ. მაგ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის 2007 წლის სახელმძღვანელო, გვ. 110 – 114 და ადრე გამოცემული სახელმძღვანელოები;

⁶ გ. ნაჭყებია, წიგნში სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016 წ., გვ. 118-119;

⁷ გ. ხუროშვილი, წიგნში ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, ი. დვალაძე, სისხლის

ამ მოსაზრების მიხედვით „დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე.“ და თუ ეს ასეა, მაშინ არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ იმას, თუ როგორ, რა ფორმით გამოვხატავთ მის შინაარსს.

როგორც იმავე სახელმძღვანელოშია აღნიშნული „დანაშაულის ობიექტად ჩაითვლება მხოლოდ ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად ადგება ზიანი ანუ იგი არის სისხლის სამართლის დაცვის ობიექტი“.⁸

თუ ამ მსჯელობას გავიზიარებთ, დანაშაულის ობიექტი და სამართლებრივი სიკეთე ერთი და იგივეა, ოღონდ სხვადასხვა ფორმით გადმოცემული. მართლაც, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, თუ რას დავარქმევთ სიცოცხლეს მკვლელობის დროს - დაცულ სამართლებრივ სიკეთეს თუ სისხლის სამართლის დაცვის ობიექტს. მთავარია ის, რომ სიცოცხლე მკვლელობის შემადგენლობით გათვალისწინებულია როგორც სისხლის სამართლებრივად დაცული ადამიანის უფლება.

სამართლიანად აღნიშნავს გ. ხუროშვილი, რომ „დანაშაულის ობიექტი ქმედების ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. არ არსებობს არც ერთი დანაშაული (მკვლელობა, ბანდიტიზმი, საბოტაჟი და ა. შ.), რომელსაც არ ჰქონდეს ხელყოფის უშუალო ობიექტი“.⁹

რა თქმა უნდა, დანაშაულის ხელყოფის ობიექტის, სამართლებრივი სიკეთის სისხლის სამართლებრივი დაცვისათვის

სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 110;

⁸ იქვე;

⁹ იქვე, გვ. 111;

ხდება ქმედების დანაშაულის კვალიფიკაცია. ამიტომ მისი გათვალისწინების გარეშე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ვერ მოხდება. აქ იგულისხმება ქმედების (დანაშაულის) ობიექტი, სამართლებრივი სიკეთე (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და ა. შ.) და არა ქმედების საგანი (ქმედების ობიექტი ზოგიერთი ავტორის მიხედვით, მაგალითად, ადამიანი, სხვისი მოძრავი ნივთი, გაყალბებული დოკუმენტი და ა. შ.).

დანაშაულის ობიექტი, სამართლებრივი სიკეთე დანაშაულისათვის აუცილებელია, რასაც ვერ ვიტყვით ქმედების საგანზე/ობიექტზე, რომელიც არ არის ყველა შემადგენლობაში საკანონმდებლოდ გათვალისწინებული. და მის გარეშეც შესაძლებელია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. მაგრამ სამართლებრივი სიკეთის, დანაშაულის ობიექტის გარეშე დანაშაული არ არსებობს.

სისხლისსამართლებრივად დაცულია არა ქმედების საგანი ანდა ქმედების ობიექტი, არამედ მათზე ზემოქმედებით ხელყოფილი დანაშაულის ობიექტი / სამართლებრივი სიკეთე. ასე, მაგალითად ქურდობისას დაცულია არა სხვისი მოძრავი ნივთი, 100 ლარი, არამედ ამ ნივთზე საკუთრება, თორემ ეს ნივთი შეიძლება სხვის ხელში აღმოჩნდეს და მას არავითარი ზიანი არ მიადგეს ფიზიკურად. როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ხუროშვილი, „სისხლის სამართლის მეცნიერებაში ტრადიციულად ერთმანეთისაგან გამოიჯანყებენ დანაშაულის ობიექტის შემდეგ სახეებს: ზოგადი,

გვარეობითი, სახეობითი და უშუალო ობიექტი“.¹⁰

აქ აღარ შევუდგებით დანაშაულის ზოგადი, გვარეობითი და სახეობითი ობიექტის დახასიათებას, ავლნიშნავთ მხოლოდ, რომ „დანაშაულის უშუალო ობიექტი -ეს არის ის სიკეთე, რასაც ხელყოფს კონკრეტული დანაშაული. დანაშაულის უშუალო ობიექტი ყველა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ელემენტია. სწორედ უშუალო ობიექტის მიხედვით ხდება დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია, მისი გამიჯვნა სხვა დანაშაულისაგან“.¹¹

ცოტა ქვემოთ ავტორი ასევე გვთავაზობს დანაშაულის საგნის განმარტებას „დანაშაულის საგანი-არის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მატერიალური ნივთი, რომელზეც ზემოქმედების გზითაც დანაშავე ხელყოფს დანაშაულის ობიექტს.

მაგალითად, ტელეფონის ყაჩაღური თავდასხმით დაუფლებისას ტელეფონი არის დანაშაულის საგანი, ხოლო ობიექტი არის სხვისი საკუთრების უფლება ტელეფონზე“.¹²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულის ობიექტისა და დანაშაულის საგნის ნაცვლად გამოიყენება ქმედების საგანი და ქმედების ობიექტი, ოღონდ იმ მნიშვნელობის გამოსახატავად, რაც დანაშაულის ობიექტსა და დანაშაულის საგანს ჰქონდა.¹³

¹⁰იქვე;

¹¹იქვე, გვ.112;

¹²იქვე, გვ.113;

¹³ გ. ნაჭყებია წიგნში-ავტორთა კოლექტივი, რედ. გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016, გვ. 118;

როგორც ვნახეთ, ჩვენ გვხვდება დღეს იურიდიულ ლიტერატურაში „ქმედების ობიექტის“ გამოყენების შემთხვევები, მაგრამ მათ აქვთ სულ სხვა მნიშვნელობა და ისინი გულისხმობენ იმ შინაარსს, რასაც სხვა სახელმძღვანელოებში სხვა ავტორებთან დანაშაულის საგანი, ქმედების საგანი ითვალისწინებს, მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთი, გაყალბებული დოკუმენტი და ა. შ.¹⁴

იქ სადაც საკუთრებას ჰქვია ქმედების (დანაშაულის) ობიექტი, რომელიც დაცულია სისხლისსამართლებრივად, „სხვის მოძრავ ნივთს“, რომელზე ზემოქმედებითაც ხდება საკუთრების ხელყოფა, დანაშაულის საგანი ეწოდება. სხვა ფორმით კი სადაც საკუთრებას ჰქვია სამართლებრივი სიკეთე, მაშინ მისი ხელყოფისათვის აუცილებელია ქმედების ობიექტი და ასეთ დროს სხვისი მოძრავი ნივთი არის სწორედ ეს ქმედების ობიექტი, რომელზე ზემოქმედების გარეშე შეუძლებელია საკუთრების ხელყოფა.

მამასადამე, ქურდობის შემადგენლობის დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციით დაცულია საკუთრება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დანაშაულის ობიექტი ანდა სამართლებრივი სიკეთე. ქურდობის შემადგენლობით დაცული საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფა შესაძლებელია მხოლოდ სხვის მოძრავ ნივთზე ზემოქმედებით, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებით. სხვის მოძრავ ნივთს შეიძლება ვუწოდოთ ქმედების ობიექტი ანდა დანაშაულის საგანი. ამით ფორმის შეცვლით ქმედების შემადგენ-

ლობასი ქმედების დანაშაულის კვალიფიკაციისას საკუთრებისა და სხვისი მოძრავი ნივთის მნიშვნელობა და შინაარსი არ იცვლება. საკუთრებისა და სხვისი მოძრავის ნივთის დანიშნულება გამიჯნულია ქურდობის ქმედების დანაშაულის კვალიფიკაციისას. ასეა მკვლელობის ქმედების დანაშაულის კვალიფიკაციისას. სიცოცხლე არის დანაშაულის ობიექტი/სამართლებრივი სიკეთე, ხოლო ადამიანი ქმედების ობიექტი, დანაშაულისა საგანი.

რადგან ფორმის, სახელწოდების (დანაშაულის ობიექტი თუ სამართლებრივი სიკეთე/დანაშაულის საგანი თუ ქმედების ობიექტი) შეცვლა არ იწვევს შინაარსის მნიშვნელობის შეცვლას, და მის სწორად გადმოცემას მაინც ემსახურება, მაშინ ფორმის ცვლილებას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

მაგრამ თუ ფორმის ცვლილება გავლენას ახდენს შინაარსზეც, მაშინ მეტი ყურადღება და დაფიქრება გვმართებს. მაგალითად, ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს დანაშაული შემადგენლობას და ქმედების შემადგენლობას? ეს საკითხი საკმაოდ სადაო და დამაფიქრებელია.

დანაშაულის ოთხწევროვანი დაყოფის მიხედვით დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობა ერთი და იგივეა, რადგან დანაშაულის შემადგენლობაში შედის დანაშაულის ყველა ნიშანი (დანაშაულის ობიექტი, დანაშაულის სუბიექტი, დანაშაულის ობიექტური მხარე, დანაშაულის სუბიექტური მხარე).

ამისგან განსხვავებით, დანაშაულის სამნიშნოვანი დაყოფის დროს (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი) ქმედების შემადგენლობაში

¹⁴ მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 22-23;

არ შედის დანაშაულის ყველა ნიშანი და ამდენად დანაშაულის ცნება და ქმედების შემადგენლობა ერთი და იგივე არ არის. თუ დანაშაულს აღვნიშნავთ D-თი, ქმედების შემადგენლობას - Q-თი, მართლწინააღმდეგობას M-ით და ბრალს B-ით, მაშინ:

$$D = Q + M + B$$

ასეთ შემთხვევაში კი $D > Q$, რაც ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის ცნება მეტია ქმედების შემადგენლობაზე. აქედან გამომდინარე დანაშაულის შემადგენლობა და ქმედების შემადგენლობა ერთი და იგივე მნიშვნელობის არ გამოდის. ამიტომ მათი გამოყენებისას ფორმასთან ერთად შინაარსიც უნდა გავითვალისწინოთ.

იგივე შეიძლება ვერ ვთქვათ დანაშაულის ობიექტთან და სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებაში. აქ მათი გამოყენება მნიშვნელობას არ ცვლის, თუმცა გასათვალისწინებელია დანაშაულის რომელი მოდელის გადმოსაცემად გვინდა ამ ცნებების გამოყენება.

ბოლო პერიოდის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შეინიშნება გერმანული დოგმატიკის გავლენა და შესაბამისად იქაური ტერმინების თარგმნა - გადმოტანა.

ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ უკვე ავლნიშნეთ. თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება და ჩვენც უნდა მოვახდინოთ მათი ციტირება.

ცნობილი გერმანელი კრიმინალისტი პროფ. კ. როქსინი და სხვები თავიანთ ნაშრომებში სათანადო ყურადღებას უთმობენ სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის გამიჯვნის საკითხს. კ. როქსინი აღნიშნავს, რომ „სამართლებრივი

სიკეთე უნდა გავმიჯნოთ კონკრეტული ქმედების ობიექტისგან“.¹⁵ ასევე საინტერესოა პროფ. კ. როქსინის მსჯელობა სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის განსხვავება - გამიჯვნაზე მკვლელობისა და ყალბი საბუთების დამზადების დროს, რომელიც ასევე გადმოცემული აქვს პროფ. მ. ტურავას.¹⁶ ამიტომ აქ ამ საკითხის განხილვა-დახასიათებას აღარ შევუდგებით.

ერთობ საინტერესოა კ. როქსინის მოსაზრება სამართლებრივი სიკეთის ცნებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი დღესაც საკამათოა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში.¹⁷

კ. როქსინის ნაშრომში მოცემულია სამართლებრივი სიკეთის სხვა გერმანული ავტორების მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა განმარტება, მაგალითად, „სისხლისსამართლებრივად დაცული ინტერესები“ მაურახი, ციპფი, „სოციალური წესრიგის სამართლებრივად დაცული აბსტრაქტული ღირებულება - იეშეკი/ვაიგენდი, დაზიანებადი ან/და დაცვადი გარემოებები - კიოლესი და ა. შ. (კ. როქსინი, 14). სამართლებრივი სიკეთის განსხვავებული განმარტების გადმოცემას ვხვდებით ნაშრომის სხვა გვერდზეც.¹⁸ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ სხვა ავტორთა ნაშრომები ამ საკითხთან

¹⁵Claus Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, Muenich, 2006, s. 33;

¹⁶იხ. იქვე, გვ. 33. მ. ტურავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 22;

¹⁷კ. როქსინის დასახელებული ნაშრომი, რომელშიც სპეციალური პუნქტია გამოყოფილი ამ საკითხთან დაკავშირებით: Der Streit um den Rechtsgutsbegriff, გვ. 14-15;

¹⁸იქვე, გვ.34;

დაკავშირებით, მაგრამ ყველა მათგანი ძირითადად მიუთითებს იმაზე, რომ ის, რაც დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცულად არის გამოცხადებული, ესაა სამართლებრივი სიკეთე.

როდესაც ჩვენ ვიცავთ სისხლის სამართლის კოდექსში და დაცვად ვახადებთ სამართლებრივ სიკეთეს, დღის წესრიგში დგება მისი ქმედების ობიექტისგან გამიჯვნის საკითხი. ამ თემას განიხილავენ თავიანთ ნაშრომებში ცნობილი გერმანელი კრიმინალისტები. იგივე პროფ. კ. როქსინი ცალკე გამოყოფს სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის საკითხს. *Rechtsgut und Handlungsobjekt* (სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი) განხილულია ნაშრომის 33 - 34-ე გვერდებზე. მსგავსების მიუხედავად, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ და ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი/დანაშაულის ობიექტი და დანაშაულის საგანი.

ადამიანის უფლების, როგორც სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის / ობიექტის დასაცავად, სამართლებრივი სიკეთისა და ქმედების ობიექტის გამიჯვნას აქვს როგორც თეორიულ - საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის.

4. დანაშაულის ობიექტი და საგანი(სამართლებრივი სიკეთე და ხელყოფის ობიექტი)

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის ზოგჯერ აუცილებელია დანაშაულის საგნის, ხელყოფის ობიექტის ხელყოფა.

სისხლის სამართლით დაცული ადამიანის ბევრი ზოგიერთი უფლების ხელყოფა შეუძლებელია ადამიანზე უშუალო ზემოქმედების გარეშე.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია გავრცელებული აუცილებელია „სამართლებრივი სიკეთის მატარებელზე / მფლობელზე“ ზემოქმედება. ამის გარეშე ვერ შევძლებთ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას თუ უშუალოდ მის მატარებელზე არ მოვახდინეთ რამენაირი ზემოქმედება. მაგალითად, მკვლელობის დროს ზემოქმედება, ხელყოფა ხდება ადამიანის სხეულზე და მხოლოდ ამის მეშვეობით არის შესაძლებელი ადამიანის სხეულში არსებული სიცოცხლის ხელყოფა - ადამიანის მოკვლა. ადამიანზე, უშუალოდ მის ფიზიკურ სხეულზე ან სულიერ სამყაროზე რაიმე ფორმით ზემოქმედებას ე. ი. ადამიანზე ხელყოფას მოითხოვს ჯანმრთელობის დაზიანებაც. სამართლებრივი სიკეთე (დანაშაულის ობიექტი) არის ადამიანის ჯანმრთელობა, რა თქმა უნდა, სიმძიმის სხვადასხვა ხარისხით ხელყოფილი, მაგრამ ზემოქმედების, ხელყოფის ობიექტს (დანაშაულის საგანს) წარმოადგენს ადამიანი.

ადამიანზე სათანადო ზემოქმედების გარეშე შეუძლებელია ასევე მისი სქესობრივი თავისუფლების ხელყოფა. აქაც ხელყოფის ობიექტი, საგანია ადამიანი, მაგრამ ხელყოფილი, სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთე ადამიანის სქესობრივი თავისუფლება.

სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავით - დანაშაული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაუ-

ლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფა შესაძლებელია სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სქოსობრივი თავისუფლების მსგავსად, მხოლოდ ადამიანზე რაიმე ფორმით უშუალო ზემოქმედებით, ადამიანის ხელყოფით მაგალითად, ასეთია 143-ე (143¹, 143² - ნაწილობრივ) 144, 147, 150 მუხლები და ა.შ.

თუ ჩვენ გავაფართოებთ ხელყოფის ფორმას და ფიზიკურთან ერთად ფსიქიკურ ზემოქმედებასაც ვიგულისხმებთ, მაშინ ასეთ დანაშაულთა წრე კიდევ უფრო გაფართოვდება, სადაც ხელყოფის ობიექტია ადამიანი. მაგალითად, მკვლელობის დროს აუცილებელია რაიმე ფორმით ფიზიკური ზემოქმედება (დანის დარტყმა, საწამლავის მიცემა და ა. შ.), მაგრამ მუქარის დროს საკმარისია ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედებაც. ფსიქიკური ზემოქმედებით არის შესაძლებელი ასევე იძულების განხორციელება. თუმცა აქ ყველგან, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ზემოქმედების დროს ხელყოფა ხდება უშუალოდ ადამიანზე, სამართლებრივი სიკეთის მატარებელზე და ამ გზით ხორციელდება დანაშაულის ობიექტის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა.

თუმცა ამისგან განსხვავებით, ზოგჯერ ქმედების დანაშაულის საკანონდებლო კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ისეა შესაძლებელი სამართლებრივი სიკეთის - ადამიანის უფლების ხელყოფა, რომ არ მოხდეს უშუალოდ ადამიანის ხელყოფა. მაგალითად, დანაშაულის პროვოკაცია, აქ ხდება მოქმედის მიერ პროვოცირებულის მხოლოდ დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით

და ადამიანის მიმართ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას ადგილი არ აქვს. თუმცა ფსიქიკურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით ბევრი რამ შეიძლება სადაო იყოს, მაგრამ აქ ფსიქიკურ ზემოქმედებას ადგილი აქვს წამქეზებლის, პროვოკატორის მხრიდან, რომელსაც მოქმედი თავის საზიანოდ და საშიშად არ მიიჩნევს. ეს არ არის ისეთი ტიპის ფსიქიკური ზემოქმედება, რაც იგულისხმება იძულებისა და მუქარის დროს, როდესაც პროვოცებაზე ხდება სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა.

ამ შემთხვევაში არ ხდება ადამიანის სხეულზე უშუალო ზემოქმედება, მაგრამ ფსიქიკური ზემოქმედებით ხელყოფის ობიექტი მაინც ადამიანია.

სიტყვის თავისუფლების ხელყოფა შეიძლება უშუალოდ ადამიანის ხელყოფის გარეშე. ასეთია სსკ-ის 154-ე და 156-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

სსკ-ის 157-ე მუხლით დაცული (გათვალისწინებული) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა თავისუფლად შეიძლება ადამიანზე ზემოქმედების, ადამიანის ხელყოფის გარეშე. აქ უკვე ხელყოფის ობიექტი, საგანი იქნება სხვა რამ - პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ან პერსონალური მონაცემები. მათი ხელყოფით შეიძლება ადამიანის უფლების ხელყოფა და არ არის აუცილებელი ადამიანის ხელყოფა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად.

მსგავსია სსკ-ის 157¹-ის დიაპოზიციაც. ასევეა ჩამოყალიბებული სსკ-ის 158-ე მუხლი-კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, 159-ე მუხლი-პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან

სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა და 160-ე მუხლი-ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა და კიდევ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სხვა შემადგენლობები.

ადამიანის უფლების, როგორც სამართლებრივად დაცული უფლების ხელყოფა, ზოგიერთ შემადგენლობაში შესაძლებელია როგორც უშუალოდ ადამიანის ხელყოფით, ისე უამისოდ. როდესაც/სადაც შესაძლებელია ადამიანის უფლების ხელყოფა უშუალოდ ადამიანზე ზემოქმედების გარეშე, მაშინ ხელყოფის (ქმედების) ობიექტია სხვა რამ, რაზე ზემოქმედებითაც შესაძლებელია ადამიანის უფლების ხელყოფა, მაგალითად პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ან პერსონალური მონაცემები. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ან პერსონალური მონაცემები შეიძლება მოვიპოვოთ უშუალოდ იმ ადამიანზე ზემოქმედების გარეშე, ვისაც ეს ინფორმაცია და ასე ხელყოფთ ადამიანის უფლება.

ამდენად, ადამიანის უფლების, როგორც სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის ყოველთვის აუცილებელი არ არის ქმედების ობიექტი (ხელყოფის ობიექტი) იყოს ადამიანი. ადამიანის უფლების ხელყოფა შეიძლება სხვა რაიმე ნივთზე ზემოქმედებით, რომელსაც უფლების დაცვისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, ადამიანისგან განსხვავებით ის ვერ იქნება“ სამართლებრივი სიკეთის მატარებელი“, მაგრამ მხოლოდ მასზე ზემოქმედებით

არის შესაძლებელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა.

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ქმედების შემადგენლობაში ადამიანის რა უფლებაა გათვალისწინებული სამართლებრივ სიკეთედ და რაზე ზემოქმედებით არის შესაძლებელი ამ სიკეთის ხელყოფა. ანუ მნიშვნელოვანია, თუ რა იქნება ასევე საკანონმდებლოდ გათვალისწინებული ქმედების ობიექტად.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსში ისე ჩამოყალიბებულია, რომ არ ითვალისწინებს რაიმე ხელყოფის ობიექტს (ქმედების ობიექტს). სამართლებრივი სიკეთის, დანაშაულის ობიექტის საკანონმდებლო გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქმედების დანაშაულის საკანონმდებლო კვალიფიკაცია. ეს იმიტომ, რომ სამართლებრივი სიკეთე დანაშაულისათვის აუცილებელია, ძირითადი ნიშანია. იგივეს ვერ ვიტყვით ქმედების ობიექტზე (საგანზე), რაზე ზემოქმედებითაც, ქმედებითაც ხდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ასეთია, მაგალითად, მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ- სსკ-ის მუხლი 317, მუხლი 320-სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება, მუხლი 310 - საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა და ა. შ.

აქ იგულისხმება ისეთი შემადგენლობები, რომლებიც ისეა საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებული, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის არ მოითხოვს ვინმეზე ან რაიმეზე ზემოქმედებას, არ აქვს ქმედების ობიექტი (დანაშაულის

საგანი). მაგრამ ყველა შემადგენლობა საკანონმდებლოდ ითვალისწინებს დაცვის ობიექტს, სამართლებრივ სიკეთეს. ამის გარეშე შეუძლებელია ქმედების დანაშაულის კვალიფიკაცია, თუ ის არ ემსახურება რაიმე სიკეთის დაცვას დანაშაულის ხელყოფისაგან.

როგორც ავლიშნეთ, უნდა განისაზღვროს მიზანი, ფუნქცია, ანუ რა უნდა იქნას დაცული სისხლისსამართლებრივად - ე. ი. სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა წრე. ამის შემდეგ უკვე შერჩეული უნდა იქნას ამ მიზნის მიღწევის საშუალება, - მოხდეს კონკრეტული ქმედების დანაშაულის საკანონმდებლო კვალიფიკაცია, რომელიც სამართლებრივ სიკეთეებს ითვალისწინებს ადამიანის ამა თუ იმ უფლებას და მის შესაბამისად ქმედების შემადგენლობის სხვა ნივთებს. მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში ქმედების ობიექტს. სამართლებრივი სიკეთის საკანონმდებლო გათვალისწინება აუცილებელია, რადგან მის გარეშე დანაშაული ვერ იქნება. ხოლო ქმედების ობიექტის (საგნის) გათვალისწინება წმინდა საკანონმდებლო კონსტრუქციის საკითხია, გასარკვევია რამდენად აუცილებელია ის შემადგენლობის სრულყოფილად საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებისათვის, კვალიფიკაციისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ შემადგენლობაში სამართლებრივ სიკეთესთან ერთად აუცილებელია ქმედების ობიექტის საკანონმდებლო გათვალისწინება. ეს იმიტომ, რომ ამ შემადგენლობაში შეუძლებელია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა კონკრეტულ

ობიექტზე (ვინმეზე ან რაიმეზე) ზემოქმედების გარეშე. ასეთ დროს სამართლებრივ სიკეთესთან ერთად ქმედების ობიექტი ქმედების დანაშაულის საკანონმდებლო კვალიფიკაციისას აუცილებელი ნიშანია და მას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად სასამართლო - საგამომიებო კვალიფიკაციისათვის. თუ ამ ყველაფერს კარგად გავანალიზებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლებრივ სიკეთესთან ერთად დანაშაულის სხვა ნიშნების და მათ შორის ქმედების ობიექტის სწორი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანი გარემოებაა ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის.

5. ქმედების ობიექტი და ქმედების სუბიექტი

თუ მათ გავნიხილავთ იმ მნიშვნელობით, რომელსაც გულისხმობდა დანაშაულის ობიექტი და დანაშაულის სუბიექტი დანაშაულის ოთხნიშნოვანი ცნების მიხედვით განმარტებისას დანაშაულის შემადგენლობაში დანაშაულის ობიექტურ მხარესა და დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან ერთად, ბევრი რამ ნათელი უნდა გახდეს, რაც დღეს სადაოდ მიგვაჩნია.

დღეს კი სადაოდ მათ მნიშვნელობასთან ერთად დანაშაულის ცნებაში მათ ადგილია. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ქმედების სუბიექტი და ქმედების ობიექტი ქმედებების შემადგენლობაში არ შედის და მოჰყავს საკმაოდ საინტერესო არგუმენტები.¹⁹ მეცნიერთა ნაწი-

¹⁹გ. ნაჭყებია წიგნში ავტორთა კოლექტივი, რედ. გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016, გვ.118;

ლი, თანაც გერმანული ლიტერატურის გავლენით ქმედების ობიექტსა და ქმედების სუბიექტს მიაკუთვნებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. აქ აღარ ვსაუბრობთ თვით *ქმედების სუბიექტის* და განსაკუთრებით *ქმედების ობიექტის* მნიშვნელობაზე. ამ უკანასკნელს შეიძლება სხვა მნიშვნელობაც მივცეთ, მაგალითად, დანაშაულის (ქმედების) საგნის. ეს საკითხი ჩვენ ზემოთ უკვე საკმაოდ განვიხილეთ. თუ ქმედების ობიექტს განვიხილავთ იმ მნიშვნელობით, რაც ზოგიერთ ავტორთან მოიაზრება ქმედების (დანაშაულის) საგნად, მაშინ მნიშვნელობასთან ერთად ადვილია მისი დანაშაულის ცნებაში, კერძოდ, კი ქმედების შემადგენლობაში ადგილის დადგენა. როდესაც ქმედების ობიექტში ვგულისხმობთ იმ საგანს, რაზე ზემოქმედებითაც ხდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთი ქურდობისას, მაშინ ის მიეკუთვნება ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფაკულტატურ ნიშანს და მისი მნიშვნელობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის უფრო ადვილი გასაგებია.

მაგრამ როდესაც ქმედების ობიექტში ვგულისხმობთ სისხლისსამართლებრივად დაცულ ობიექტს, სამართლებრივ სიკეთეს, მაგალითად, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ა. შ., რომლის დასაცავდაც უნდა იქმნებოდეს კონკრეტული ან სხვა ნორმა, მაშინ მისი ადგილისა და მნიშვნელობის დადგენას დანაშაულის ცნებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს.

აქ შეიძლება ნაკლებად გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომლის მიხედვით ქმედების ობიექტი (იგულისხმება დანა-

შაულის ობიექტის, სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთე) არ მიეკუთვნება ქმედების შემადგენლობას.

დანაშაულის ოთხნიშნოვანი (ოთხწევროვანი) დაყოფის დროს დანაშაულის შემადგენლობას დანაშაულის ობიექტური მხარისა (ამჟამად ძირითადად ქმედების ობიექტური შემადგენლობის მნიშვნელობით) და დანაშაულის სუბიექტური მხარის (ამჟამად ქმედების სუბიექტური შემადგენლობა) გარდა, მიეკუთვნებოდა დანაშაულის ობიექტი და დანაშაულის სუბიექტი.

სად არის ახლა მათი - დანაშაულის ობიექტისა და დანაშაულის სუბიექტის ადგილი დანაშაულის სამნიშნოვანი ცნებების მიხედვით განმარტებისას. არადა ახლა უკვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია დანაშაულის სამნიშნოვანი ცნება (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა).

ქმედების შემადგენლობა არის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ მის მართლზომიერად ან მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულ ანდა არაბრალეულ ჩადენაზე.

რისთვის იქმნება (ყოველ შემთხვევაში უნდა იქმნებოდეს) რომელიმე ქმედების საკანონდებლო შემადგენლობა? ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებისა და კვალიფიკაციის მიზანი უნდა იყოს რაიმე სამართლებრივი სიკეთის (ობიექტის) გათვალისწინება და მისი დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. სამართლებრივი სიკეთის, დასაცავი ობიექტის გათვალისწინების

გარეშე ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო კვალიფიკაცია შეუძლებელიცაა და მიზანშეუწონელიც. როგორ შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსში იყოს მუხლი უშუალო ობიექტის, კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის გაუთვალისწინებლად?!

ამდენად, ქმედების ობიექტი, რა თქმა უნდა, დანაშაულის ობიექტის, სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობით, აუცილებელი, ძირითადი ნიშანია ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო კვალიფიკაციისათვის. სამართლებრივი სიკეთის (ქმედების ობიექტის) გარეშე ნორმის ჩამოყალიბებას აზრი არ აქვს (ყოველ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს). თუ ქმედება დაცვის ობიექტად, სამართლებრივ სიკეთედ არ ითვალისწინებს ადამიანის ამა თუ იმ უფლებას, მაგალითად, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სიტყვის თავისუფლებას და ა. შ. მაშინ ის ვერ მოემსახურება ამ სამართლებრივ სიკეთეთა სისხლისსამართლებრივ დაცვას. და თუკი შემადგენლობა არ ითვალისწინებს რაიმე დაცვის ობიექტს, სამართლებრივ სიკეთეს, რის საფუძველზე და რისთვის უნდა შეიქმნას იგი?!

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქმედების ობიექტი უნდა შედიოდეს დანაშაულის ცნებაში, თუ დანაშაულის ოთხნიშნოვანი დაყოფის დროს მას ცალკე ადგილი ეთმობოდა, სამნიშნოვანი დაყოფის დროს მისი ადგილი მართლწინააღმდეგობასა ანდა ბრალში არ არის და რჩება მხოლოდ და მხოლოდ ქმედების შემადგენლობაში. ქმედების შემადგენლობიდან კი უფრო ლოგიკურია მისი ობიექტურ შემადგენლობაში გათვალისწინება.

დანაშაულის ობიექტია ის სამართლებრივი სიკეთე, რის დასაცავადაც ყალიბდება კონკრეტული ქმედება საკანონმდებლოდ დანაშაულად ე. ი. ამ უშუალო ობიექტის, კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ხდება ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია. ამიტომ ქმედების შემადგენლობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის ობიექტი, რის დასაცავადაც მოხდა მისი დანაშაულად კვალიფიკაცია. ვფიქრობ, ამ მსჯელობაში არის ლოგიკა, რომლის გათვალისწინება აუცილებელია სწორი დასკვნის გასაკეთებლად. დასკვნა კი ასეთია, რომ *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ უნდა იყოს თვითმიზანი და ის უნდა იყოს საშუალება რაიმე სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, რომელიც ამ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მიზანს წარმოადგენს. საშუალებას არ შეიძლება და არც უნდა მივანიჭოთ მიზანზე მეტი მნიშვნელობა. ჯერ უნდა განვსაზღვროთ მიზანი (დასაცავი სამართლებრივი სიკეთე) და შემდეგ შევარჩიოთ მისი მიღწევის საშუალება (სამართლებრივი სიკეთის დასაცავად მისი გათვალისწინებით მოხდეს ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო, და არა მხოლოდ ასეთი, კვალიფიკაცია).*

ასევე საინტერესო და გასარკვევია ქმედების სუბიექტის საკითხი. აქ იგულისხმება მისი ადგილი და მნიშვნელობა დანაშაულის ცნებაში.

დანაშაულის ოთხნიშნოვანი დაყოფის მიხედვით დანაშაულის სუბიექტი დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია დანაშაულის ობიექტთან, დანაშაულის ობიექტურ მხარე-

სთან და დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან ერთად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედების სუბიექტის საკითხი ქმედების ობიექტთან ერთად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ქმედების ობიექტისაგან განსხვავებით, ქმედების სუბიექტის მნიშვნელობაზე იმ მოცულობის დავა არ არის, რაც ქმედების ობიექტთან დაკავშირებით. აქ უფრო საკამათოა მისი ადგილი - მიეკუთვნება თუ არა ის ქმედების შემადგენლობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ის არ უნდა მიეკუთვნოს ქმედების შემადგენლობას, ნაწილი კი მას ქმედების შემადგენლობას მიაკუთვნებს.

როგორც ქმედების ობიექტს, ისე ქმედების სუბიექტს დანაშაულის ოთხწევროვანი ცნების მიხედვით დანაშაულის შემადგენლობაში ჰქონდა თავის ადგილი. სად არის მისი ადგილი დანაშაულის ცნებაში სამნიშნოვანი განმარტებისას? თუ ის არ მიეკუთვნება ქმედების შემადგენლობას, მაშინ ხომ ვერ მივაკუთვნებთ მართლწინააღმდეგობას ანდა ბრალს? რა თქმა უნდა, ეს ალოგიკური იქნებოდა. თუ საერთოდ არ მივაკუთვნებთ სუბიექტს დანაშაულს და მისი ცნების გარეთ გავიტანთ, მაშინ მოქმედის, უშუალოდ შემადგენლობის განმხორციელების გარეშე რამდენად ლოგიკურია მის დასჯადობაზე მსჯელობა?

შემადგენლობას ახორციელებს მოქმედი, ამსრულებელი (ან როგორც ზოგ წიგნებშია მოხსენიებული სუბიექტი). აქაც ტერმინზე მეტად მისი მნიშვნელობა და ადგილია საყურადღებო ანუ შინაარსს უფრო მეტი დატვირთვა უნდა მიეცეს,

ვიდრე მისი გამოხატვის ფორმას.²⁰ როგორც მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რისი ხელყოფა მოხდა, იყო თუ არა ეს სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთე, ასევე მნიშვნელოვანია ვის მიერ და როგორ მოხდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ამსრულებლის ან საერთოდ იურიდიული პირის მიერ. ეს კიდევ ცალკე მსჯელობის საგანია.

ლოგიკურია, რომ ქმედების ჩასადენად აუცილებელია მოქმედი, მაგრამ რამდენად აუცილებელია მოქმედის ქმედების შემადგენლობაში გათვალისწინება? რადგანაც მოქმედის გარეშე დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია, ამიტომ მოქმედისათვის დანაშაულის ცნებაში ადგილის მიჩენა ლოგიკური და სავალდებულოა. რადგან „პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული“, ამიტომ დანაშაული უნდა ითვალისწინებდეს იმასაც, თუ ვის მიერ შეიძლება მისი ჩადენა, ანუ ვინ შეიძლება იყოს მისი ჩამდენი, ამსრულებელი. და ვის შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც უშუალო ამსრულებელს.

შეიძლება ხელყოფილი იყოს სამართლებრივი სიკეთე, მაგალითად, გარდაიცვალოს ადამიანი, მაგრამ არ იყოს მოქმედი, მაშინ არ იქნება განხორციელებული დანაშაული და ვერც ვერავის

²⁰ მოქმედი, ამსრულებელი, სუბიექტი. ამ საკითხზე იხ. ე. ფუტკარაძე, კორუფცია საქართველოში, თბ., 2011 წ, გვ. 179-180;

მივცემთ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში.

რატომ იქმნება სისხლისსამართლებრივი ნორმა? იგი უნდა იქმნებოდეს სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ვინ შეიძლება ხელყოს სამართლებრივი სიკეთე? ადამიანმა (და უკვე ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით იურიდიულმა პირმაც) . ჩვენი მიზანია, რომ ადამიანმა არ ჩაიდინოს დანაშაული, არ ხელყოს სამართლებრივი სიკეთე. ამიტომ სამართლებრივ სიკეთესთან ერთად მოქმედისთვის დანაშაულის ცნებაში ადგილის მიჩენა სავალდებულოა, რომ მან (მოქმედმა) წინასწარ იცოდეს თუ რისი ხელყოფისათვის (სამართლებრივი სიკეთე) და ვის (ამსრულებელი) შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

დასაცავ სამართლებრივ სიკეთეთა წრის განსაზღვრასთან ერთად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა პირთა წრის განსაზღვრა, იმის დადგენა, თუ ვის შეუძლია თეორიულ - საკანონმდებლო და შემდეგ პრაქტიკულ დონეზე კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ვინ შეიძლება იყოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისუნარიანი. ამ ნიშნის შემადგენლობაში განსაზღვრა აუცილებელია ადამიანის უფლების დასაცავად.

თუ მოქმედმა უნდა იცოდეს ის თუ რისი ხელყოფა არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად, ანუ რა არის დაცული (სამართლებრივ სიკეთეთა წრე), ასევე უფლება აქვს იცოდეს, თუ ვის მიერ არ შეიძლება ამ სიკეთეთა ხელყოფა. ე. ი.

განსაზღვრული უნდა იყოს ასევე მოქმედ პირთა, ამსრულებელთა წრე.

კანონიერების პრინციპიდან და ნორმის განსაზღვრულობიდან გამომდინარე, კანონმდებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს სამართლებრივ სიკეთეთა და მის ხელყოფთა წრე, ე.ი. ე.წ. - ქმედების ობიექტი და სუბიექტი.

ის საკითხი, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და როდის შეიძლება ის ჩაითვალოს მართლზომიერად ან არაბრალეულად, ეს არის დანაშაულის სხვა ნიშნების ჩამოყალიბების, კვალიფიკაციის წინაპირობა.

სამართლებრივი სიკეთის დასაცავად მნიშვნელოვანია განისაზღვროს რისი ხელყოფა არ შეიძლება, ვის მიერ არ შეიძლება და როგორ ხელყოფა არ შეიძლება. ე. ი. უნდა განისაზღვროს, საკანონმდებლოდ დადგინდეს, რომ არ შეიძლება:

✓ რისი ხელყოფა - სამართლებრივი სიკეთე, დაცვის ობიექტი;

✓ ვის მიერ ხელყოფა - ამსრულებელი (მოქმედი);

✓ როგორი ხელყოფა - ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის სხვა ნიშნები და ასევე მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენა ანდა გამორიცხვის გარემოებები.

ეს ყოველივე მიუთითებს იმას, რომ ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის აუცილებელია ის განვსაზღვროთ დაცვის ობიექტად, სამართლებრივ სიკეთედ, განვსაზღვროთ პირთა წრე, ვინც შეიძლება ხელყოს ეს სიკეთე და როგორ შეიძლება ხელყოს. აქვე უნდა განისაზღვროს *საგამონაკ-*

ლისო შემთხვევები, როცა ადამიანის უფლების ხელყოფა შეიძლება, მართლზომიერია ისევ სხვა ადამიანის უფლების დასაცავად.

ლოგიკურია, რომ მოქმედმა (ამსრულებელმა) უნდა ჩაიდინოს ქმედება (მისი შემადგენლობა). ე. ი. ქმედების ჩადენა შეუძლებელია მოქმედის გარეშე. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის აუცილებელია ქმედებასთან ერთად მისი მოქმედი. მხოლოდ ქმედების გათვალისწინება ვერ იქნება საკმარისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, თუ არ გავითვალისწინებთ მის ჩამდენსაც, მოქმედსაც.

ჩვენ გვინდა სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ამისათვის არ უნდა იქნეს ჩადენილი ქმედება, რომელიც ხელყოფს მას. ქმედებაზე უარი უნდა თქვას მან, ვისაც პოტენციურად ამ ქმედების ჩადენა და ამით სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა შეუძლია. ამიტომ როგორც აუცილებელია წინასწარ განვსაზღვროთ სამართლებრივი სიკეთე და ქმედება, ასევე მოქმედი, ვისაც ქმედების ჩადენა შეუძლია. ქმედებაში იგულისხმება შემადგენლობის სხვა ნიშნები, რომლებიც წინასწარ არის კვალიფიცირებული და რომელიც უნდა ემსახურებოდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვას.

სამართლებრივი სიკეთის დაცვა შეიძლება მაშინ, თუ მოქმედი იტყვის უარს მის ხელყოფაზე. ამისათვის კი აუცილებელია მისი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა დანაშაულის ცნებაში. თუკი მოქმედს გავიტანთ დანაშაულის ცნების გარეთ და დანაშაულს ისე ჩამოვყალიბებთ, ამსრულებლის გარეშე, მაშინ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა

უნდა შეიძლებოდეს მის გარეშე. ეს კი დღევანდელ სისხლის სამართლაში მიუღებელია. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის აუცილებელია მოქმედი, ამსრულებელი, ის თუ როგორ, რა ვითარებაში, იმოქმედებს, ეს სხვა საკითხია.

მოქმედი - ქმედება - შედეგი - ეს არის ის სამკუთხედი, რომლის ხელოვნური ხელყოფა და დარღვევა არ შეიძლება და რომელიც უნდა ემსახურებოდეს სამართლებრივი სიკეთეს (ჩვენს შემთხვევაში ადამიანის უფლების) დაცვას.

შედეგი არის ხელყოფილი ან საფრთხეშექმნილი სამართლებრივი სიკეთე, რომელიც სისხლისსამართლებრივად დაცულია და არ უნდა იქნეს ხელყოფილი.

მოქმედი არის ის, ვისაც არ უნდა ხელყოფოს სამართლებრივი სიკეთე და მაინც ხელყოფს.

ქმედება არის ის თუ როგორ და რა ვითარებაში ხელყოფს მოქმედმა სამართლებრივი სიკეთე. რა ქმედება და რა ვითარებაში არ უნდა ჩაედინა და მაინც ჩაიდინა.

ისმება კითხვა მხოლოდ ქმედების აკრძალვა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია შედეგისა და მოქმედის გარეშე მოგვცემს თუ არა შედეგს და იქნება თუ არა სრულყოფილი? ჩვენი მიზანი ხომ სამართლებრივი სიკეთის დაცვაა. როგორც ვთქვით, სამართლებრივი სიკეთე შეიძლება ხელყოს მოქმედება. ამიტომ მხოლოდ ქმედება (თუნდაც შემადგენლობა) მიზნის გათვალისწინების გარეშე ვერ მოემსახურება მის დაცვას. *ქმედების დასჯა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ უნდა იყოს თვითმიზანი. ის*

უნდა მოემსახუროს კონკრეტულ მიზანს - სამართლებრივი სიკეთის (ადამიანის უფლების) დაცვას. ამიტომ შემაღვნილობამ უნდა გაითვალისწინოს მიზანიცა და საშუალებაც, რომ ერთობლიობაში მოემსახუროს მის მიღწევას - სამართლებრივი სიკეთის დაცვას. მიზნის მისაღწევად ასევე აუცილებელია იმ ადრესატების განსაზღვრა, ვინც შიძლება ქმედებით ხელყოს ჩვენი მიზანი - ადამიანის უფლების დაცვა. ქმედება დანაშაულად კვალიფიცირდება იმიტომ, რომ ის არ ჩაიდინოს მოქმედმა. თუ მოქმედი უარს იტყვის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე, მაშინ არც ქმედების ნიშნების აღწერა დაგჭირდება.

რადგან ხშირად მოქმედი ნებაყოფლობით უარს არ ამბობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე, ჩვენ მას წინასწარ განუუსაზღვრავთ რისი ხელყოფა არ შეიძლება და როგორი ქმედებით არ შეიძლება, რადგან არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე, კანონით უნდა განისაზღვროს, ყველა ნიშანი დანაშაულის როგორ ცნებასაც არ უნდა დავეყრდნოთ, სამნიშნოვანს, ოთხნიშნოვანს თუ ხუთს და ა. შ. საკანონდებლოდ უნდა განისაზღვროს რისი ხელყოფა არ შეიძლება, როგორი ხელყოფა არ შეიძლება და ვის მიერ არ შეიძლება.

ნორმის განსაზღვრულობისა და ადამიანის უფლების დასაცავად აუცილებელია ნებისმიერმა მოქალაქემ იცოდეს არა მხოლოდ მისი უფლება, არამედ ისიც თუ რა არის მათგან სისხლის-სამართლებრივად დაცული, როგორი ქმედების ჩადენისგან არის დაცული და ვინ შეიძლება აგოს პასუხი ამისათვის, ანუ ვინ შეიძლება იყოს კონკრეტული

მუხლით, ნორმით განსაზღვრული დანაშაულის ქმედების ჩამდენი (ამსრულებელი). მოქმედის თვისების, მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრა ხელს უწყობს ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებელ პირთა წრის განსაზღვრას. ეს კი თავის მხრივ ადამიანის უფლების ამ კუთხით დაცვას ემსახურება. მოქალაქემ უნდა იცოდეს ვინ შეიძლება პოტენციურად, ფორმალურად ხელყოს მისი ესა თუ ის უფლება კონკრეტული ნორმით განსაზღვრული ქმედებით და რამდენად შეიძლება იყოს ის ამ დანაშაულის ამსრულებელი ან ამ დანაშაულით დაცული სამართლებრივი სიკეთის მატარებელი.

როდესაც დანაშაულის ქმედება ადამიანის უფლების ხელყოფას ეხება, ადამიანი შეიძლება იყოს ამ ქმედების ან ამსრულებელი ან სამართლებრივი სიკეთის მატარებელი. თუკი მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთისა და მის მატარებელთა წრის განსაზღვრა და დაზუსტება, ასევე მნიშვნელოვანია ამსრულებელთა წრის განსაზღვრა და დაზუსტება. მოქმედის ადგილის დადგენას დანაშაულის ცნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის და მამასადამე, ამ კუთხით ადამიანის უფლების დაცვისათვის.

თუკი შეუძლებელია დანაშაულის ჩადენა მოქმედის გარეშე, მაშინ ის მისი აუცილებელი ნიშანია. და თუკი აუცილებელი ნიშანია, მაშინ მას უნდა მოემსახუროს ადგილი დანაშაულის ცნებაში (თუნდაც სამწვეროვანი დაყოფის დროს). ყველაზე ლოგიკურია მოქმედი დავუკავშიროთ ქმედებასა (საშუალებას) და შედეგს (მიზანს), რადგან ისინი ერთობლიობაში ემსახურებიან (ყოველ შემთხ-

ვევაში უნდა მოემსახურონ) სამართლებრივი სიკეთის დაცვას.

როგორც ცნობილია, დანაშაულის სამნიშნოვანი დაყოფის მიხედვით, ქმედება და შედეგი მიეკუთვნება ქმედების შემადგენლობას, სახელდობრ, ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. ამიტომ ქმედებასა და შედეგთან და კიდევ სხვა ნიშნებთან ერთად მოქმედი (ამსრულებელი ან სუბიექტი, როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია) მიეკუთვნება ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძირითად ნიშანს. ე. ი. ისეთ ნიშანს, რომლის გარეშეც შემადგენლობა ვერ განხორციელდება.

მართლაც შეუძლებელია ქმედების ჩადენა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა თვით ქმედების ჩამდენის - მოქმედის გარეშე.

შეიძლება ჩვენ აქ მოვისმინოთ კოლეგების კრიტიკული მოსაზრება, მაგრამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სამართლებრივი სიკეთის დასაცავად აუცილებელია დანაშაულის ცნებაში ქმედების შემადგენლობის ჩადენისუნარიანი მოქმედის წინასწარ განსაზღვრა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხომ მოქმედს უნდა დაეკისროს პრევენციისათვის, რათა მან კვლავ ან სხვამ აღარ ჩაიდინოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

მოქმედი, ქმედება - სამართლებრივი სიკეთე, შედეგი, ობიექტი ერთმანეთთან მტკიცედ არის დაკავშირებული. ქმედება თავისთავად, მოქმედის გარეშე ვერც მოემსახურება და ვერც ხელყოფს სამართლებრივი სიკეთის დაცვას. *ქმედება აკავშირებს მოქმედსა და შედეგს - ხელ-*

ყოფილ ან საფრთხეშექმნილ სამართლებრივ სიკეთეს - ადამიანის უფლებას.

ამიტომ სადაც გათვალისწინებულია დასაცავი სამართლებრივი სიკეთე და მისი ხელყოფის ესა თუ ის ფორმა - ქმედება სხვადასხვა ნიშნით - იქ უნდა იყოს გათვალისწინებული ამ ქმედების ჩადენისუნარიანი მოქმედი ამსრულებელიც, რომლის წინააღმდეგ და რომლის დანაშაულისგან თავის შესაკავებლადაც ესა თუ ის კონკრეტული ქმედება დანაშაულად ჩამოყალიბებული და კვალიფიცირებულია.

დასკვნა

ამდენად, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის, სისხლის სამართლის დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, აუცილებელია ადამიანის უფლების აღიარება უმნიშვნელოვანეს სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთედ.

ადამიანის უფლების სამართლებრივი სიკეთისა თუ დანაშაულის ობიექტის სახით ჩამოყალიბებაზე მეტად მნიშვნელოვანია მისი, როგორც სისხლისსამართლებრივად დასაცავი საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გაცხადებული ღირებულების ქმედების შემადგენლობაში ადგილისა და დანიშნულების სწორი განსაზღვრა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით საყურადღებო, საინტერესო და მნიშვნელოვანია ქმედების

დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის სხვა თემატიკასთან ერთად ასევე დანაშაულის ობიექტისა და საგნის (სამართლებრივი სიკეთისა და ხელყოფის ობიექტის) და ქმედების ობიექტისა და ქმედების სუბიექტის საკითხის გამოკვლევა.

რა თქმა უნდა, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის პრობლემატიკის მთელ რიგ საკითხებს გულისხმობს, რომელთაგან თითოეულს თავისი დანიშ-

ნულება და ფუნქცია აქვს. ამ საკითხების გამოკვლევას ჩვენ სხვა დროისათვის შევეცდებით და წარმოუდგენთ მკითხველს.

ვფიქრობ, რომ თუნდაც ამ ნაშრომში გადმოცემული საკითხების გაცნობა მკითხველისთვის საინტერესოა ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები;
4. მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011;
5. ავტორთა კოლექტივი, რედ. გ.ნაჭყეზია, ნ.თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2016;
6. ავტორთა კოლექტივი, რედ. გ.ნაჭყეზია, ი.დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007;
7. ავტორთა კოლექტივი, კორუფცია საქართველოში, თბ., 2011 წ.
8. Claus Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, Muenich, 2006;

ედიშერ ფუტკარაძე,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ადამიანის უფლების დაცვის ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი ასპექტი

ადამიანის უფლების აღიარება სახელმწიფოს კონსტიტუციით, საერთაშორისო დეკლარაციით განსაზღვრა და კონვენციით გაცხადება ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა. ამ თვალსაზრისით კი საინტერესოა სისხლის სამართლის დაცვის ფუნქციაზე მსჯელობა. მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრებით სისხლის სამართალს აქვს დაცვის ფუნქცია.

სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლებრივ განვითარებაზე დამოკიდებული ის თუ რამდენად ითვალისწინებს ადამიანის ამა თუ იმ უფლებას, როგორც სისხლის-სამართლებრივად დაცულ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ სიკეთეს (დანაშაულის ობიექტს). დანაშაულის ცნებასა და ნიშნებს უკავშირდება სამართლებრივი სიკეთისა თუ დანაშაულის ობიექტის, ასევე დანაშაულის ობიექტისა და საგნის (სამართლებრივი სიკეთე და ხელყოფის ობიექტი) და ქმედების ობიექტისა და ქმედების სუბიექტის საკითხი.

ყველა ამ საკითხის აკადემიურად მართებულ გამოკვლევას და სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის.

Edisher Putkaradze

Professor

Some Criminal Code Aspects of Human Rights

To recognize human rights by the Constitution of the state, to define by international declaration and to declare by the Convention are very important. But the criminal protection of human rights, is important as well. From this point of view, it is interesting to discuss the function of criminal protection. According to the prevailing view in science, criminal law has a protective function.

Consideration of human rights as the most important legal goods (protected object) is dependent on legal development of state and society. The concept and elements of crime are related to the issue of legal good, object of crime and, object and subject of action.

Academic investigation of all these issues and their application in criminal law and case law is crucial for the criminal protection of human rights.





მარიამ მამულაშვილი

ასოცირებული პროფესორი

კომუნიკაციის ზოგადი წესების როლი სასამართლო პროცესზე

კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში. კომუნიკაციის გარეშე წარმოდგენელია ადამიანის ფუნქციონირება, მისი პროფესიული თუ ყოველგვარი საქმიანობა. კომუნიკაცია არის კომპლექსური, ორმხრივი პროცესი, რომელიც მოიცავს შეტყობინებების გადაცემისა და გაშიფრვის პროცესს. ეფექტური კომუნიკაცია საჭიროებს კარგ კომუნიკატორს, რომელიც თავის შეტყობინებას წარმოდგენილ აუდიენციას ნათლად და ეფექტურად გადასცემს.¹ კომუნიკაციას დიდი როლი ენიჭება ადამიანებს შორის ურთიერთობაში. არსებობს ცალმხრივი და ორმხრივი კომუნიკაცია. ცალმხრივი კომუნიკაციის დროს მხოლოდ ერთი ადამიანი საუბრობს. ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას შეკითხვების დასმას, საკუთარი მოსაზრების გამოთქმას, დისკუსიას. ორმხრივი კომუნიკაცია გულისხმობს ინტერაქტიული კომუნიკაციის პროცესს. ამ შემთხვევაში კომუნიკაციის პროცესში ჩართულია როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, რაც აადვილებს და უფრო გასაგებს ხდის

მოწოდებული ინფორმაციის აღქმის პროცესს.

კომუნიკაციის საშუალებები განსაკუთრებით განვითარდა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან. ეს დაკავშირებულია ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციის გადაცემის ორგანიზაციული პირობების გაერთიანებასთან, რამაც გამოიწვია მოკავშირე მხარეების უშუალო ურთიერთმოქმედების შემცირება. პრესის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით ძალზე შემცირდა მანძილი და დრო მხარეებს შორის.

კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებების და იდეების ურთიერთგაცვლას. ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გაცემას. არავერბალური კომუნიკაცია ეს იქნება პოზა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, პაუზები, ხმის ინტონაცია თუ სხვა მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც თან ახლავს და ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას. არავერბალური სიგ-

¹ Hargie, o., The Handbook of Communication Skills. 3rd ed. London, Routledge, 2006.

ნალები მიგვითითებენ იმაზე,² თუ როგორ უნდა მოხდეს სიტყვების მნიშვნელობის გაგება. ეფექტური კომუნიკაციის დროს ჩვენ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ტექსტის პირდაპირი შინაარსი, არამედ ქვეტექსტიც, ანუ ისიც თუ რას გულისხმობს მოსაუბრე.³ კომუნიკაციური უნარ-ჩვევებიდან აღსანიშნავია, მოსმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა, არავერბალური კომუნიკაცია.

ცივილიზებულ სამყაროში ციფრული კომუნიკაციის როლი სტრატეგიულ კომუნიკაციასთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანი ხდება. არსებობს სტრატეგიული კომუნიკაციის არაერთი განმარტება, რომელიც მისი სიღრმისეულად გააზრების საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი განმარტებით იყო სტრატეგიული, ნიშნავს კომუნიკაციის დასამყარებლად განსაზღვრო და შეარჩიო სწორი საკომუნიკაციო არხები - ეს არის განსხვავება უბრალოდ კომუნიკაციასა და სწორ კომუნიკაციას შორის.⁴

სტრატეგიული კომუნიკაცია მოითხოვს თანმიმდევრულ, დროში გაწერილ, გაზომვად მიზნებს და მესიჯებს. ეფექტური კომუნიკაცია განისაზღვრება შიდა და გარე დონეებზე.⁵ გარე კომუნიკა-

ციების სასურველი შედეგები მიიღწევა შიდა კომუნიკაციის სწორი და ეფექტური მართვით.

ციფრული კომუნიკაციის განვითარებამდე ინფორმაცია ისეთი სისწრაფით არ ვრცელდებოდა როგორც ახლა. ციფრული კომუნიკაციის უპირატესობას წარმოადგენს ინტერაქციის მაღალი დონე, კომუნიკაციის სისწრაფე, მობილურობა და ა.შ.

ფუნდამენტური სხვაობა ტრადიციულ და ციფრულ კომუნიკაციას შორის არის ორმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა. სწორი მესიჯების მიწოდება სამიზნე აუდიტორიისათვის არის წარმატებული კომუნიკაციის მთავარი გასაღები.

კომუნიკაციის სისწრაფე მნიშვნელოვნად აზოგინებს დროს თანამშრომლებს, დოკუმენტების ელექტრონული მიმოცვლით და უფრო მეტად არიან ფოკუსირებული საქმეზე.

ციფრული კომუნიკაციის გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ემოციების გაზიარების ნაკლებობა. რეალური ურთიერთობებისგან განსხვავებით, რომლის დროსაც ადამიანებს საშუალება აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ და საუბრისას გამოიყენონ არავერბალური კომუნიკაცია, მაგალითად თვალებით კონტაქტი და ქესტიკულაცია, რაც ონლაინ სივრცეში თითქმის შეუძლებელია. მესიჯების აღქმადობაც ონლაინ სივრცეში შეიძლება გახდეს გაუგებრობის მიზეზი. ციფრული კომუნიკაციის გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ყალბ ნიუსებთან

² Mckay, M., Davis, M., & Fanning, P., Messages, The communication Skills Book, 3rd ed., New Hardinger Publications, inc., 2009.

³ [კომუნიკაცია: კომუნიკაციარაობადასახეები \(komunikac.blogspot.com\)](http://komunikac.blogspot.com)

⁴ "PROJECTING AND REFLECTING: STRATEGIC COMMUNICATIONS AND THE HEALTHY ORGANIZATION." 28 Aug. 2013, <https://considinecommunications.com/projecting-and-reflecting-strategic-communications-andthe-healthy-organization/>. Accessed 26 March . 2019.

⁵ საზოგადოებასთან ურთიერთობა VS კომუნიკაციები | ჯეპრას ბლოგი." <http://4p.com.ge/sazogadoebastan-urtiertoba-vs-komunikaciebi/>. წვდომის თარიღი 5 აპრილი. 2019.

ბრძოლა. იმისათვის, რომ ციფრული ინსტრუმენტებით კომუნიკაცია იყოს ეფექტური, მესიჯი უნდა იყოს მკაფიო, მოკლე, ადვილად და მარტივად აღსაქმელი.⁶

რაც შეეხება ინტერპერსონალურ კომუნიკაციას, ის გულისხმობს კომუნიკაციას ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის, რომლებსაც ერთმანეთთან რაიმე აკავშირებთ. ხშირად ურთიერთობისას ერთი ადამიანი მეტადაა დამოკიდებული სხვებზე, ზოგ შემთხვევაში კი ურთიერთობა უფრო თანასწორია. ზოგადად კომუნიკაციის უნარი თანდაყოლილი არ არის, ანუ ადამიანები ამ უნარით არ იბადებიან. ის არის შეძენილი უნარი და ამიტომ დახვეწა და საკუთარი კეთილდღეობისათვის მისი გამოყენება ყველას შეუძლია. კომუნიკაციის უნარი ნიშნავს ინდივიდის მიერ კომუნიკაციის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. კომუნიკაციის უნარების რაც უფრო მეტი არსენალი გაგაჩნია, მით უფრო მეტია არჩევანი თუ როგორ მიაღწიო სასურველ შედეგს ამა თუ იმ სიტუაციაში.

კომუნიკაციის პროცესი მოიცავს ინფორმაციის გადაცემის, მისი მიღების და მიღებული ინფორმაციის რეაგირების ეტაპებს.

ენას მრავალი ფუნქცია აქვს. ნებისმიერი ვერბალური კომუნიკაციის დროს, ენა თავის ერთ ფუნქციას მაინც ასრულებს. ენას რამდენიმე ფუნქცია გააჩნია. ესენია: ურთიერთობის წარმართვა, გრძ-

ნობების გამოხატვა და ინფორმაციის შინაარსის გადაცემა. ურთიერთობის წარმართვა ძირითადად ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარებას ემსახურება. ხშირად იგი შინაარსს მოკლებულ საუბარს ასახავს. გრძნობების გამოხატვის ფუნქცია პიროვნების გრძნობების საკითხისადმი მისი ემოციური დამოკიდებულების გამოხატვას ემსახურება. რაც შეეხება ინფორმაციის შინაარსის გადაცემას, მისი ფუნქცია არსებულ ფაქტებზე მითითებას ან ფაქტებზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანას ემსახურება.⁷ ენის ეს ფუნქცია ყველაზე მეტად საქმიან ურთიერთობებში გამოიყენება.

იურისტებსაც აქვს თავისი პრაქტიკული ინსტრუმენტები და ერთ-ერთი ეს არის ენა. ენით გამოხატვა და კომუნიკაცია არ ნიშნავს აზრის მხოლოდ წერილობითი ან ზეპირი ფორმით გამოხატვას ანუ ვერბალურ კომუნიკაციას, არამედ მოიცავს უსიტყვო საუბარსაც, რომელიც ხორციელდება სხეულის ენის, ქესტიკულაციისა და მიმიკის მეშვეობით.

სიტყვების განსხვავებულმა ემოციურმა დატვირთვამ, სიტყვების კონკრეტულობის განსხვავებულმა ხარისხმა და ინფორმაციის არაპირდაპირმა ხასიათმა კომუნიკაციის პროცესში შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, რაც კომუნიკაციის ხელისშემშლელ პირობებად მოიაზრება.

სასამართლო დარბაზში ძირითადად სხვადასხვა მენტალობის, სოციალური წარმომავლობის, სხვადასხვა ინტელექტისა და განათლების, სხვადასხვა კულტურის ადამიანები იყრიან თავს, რომ-

⁶ ჯარიშვილი ნ., გაგნიძე თ., ლაცაბიძე ლ., ციფრული კომუნიკაციების მნიშვნელობა სტრატეგიული კომუნიკაციის კონტექსტში, თბილისი, 2019.

⁷ სუმბაძე ნ., მახარაძე თ., ინტერპერსონალური კომუნიკაცია, თბილისი, 2010, გვ. 27.

ლებმაც თავად ვერ გამოწახეს საერთო „ენა“ და სასამართლოს მიმართეს დასახმარებლად. პირდაპირ თუ ირიბად, სასამართლოს ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივი მშვიდობის აღდგენის გარდა, დაეხმაროს მოდავე მხარეებს „საერთო ენის“ პოვნასა და ელემენტარულ ურთიერთგაგებაში.

ცოტათუ მოიძებნება დღესდღეობით სფერო, სადაც კომუნიკაციის უნარი მნიშვნელოვანი არ იყოს.

ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო დარბაზში კომუნიკაციის დროს ეთიკური ნორმების დაცვა. ეთიკური ნორმების დაცვა რთულდება მაშინ, როცა მხარეები ერთმანეთს უხეშად და შეურაცხმყოფელად მიმართავენ. მოსამართლემ ყოველ ასეთ შემთხვევაში უნდა მიუთითოს მხარეებს აღნიშნული ნორმების არსებობის შესახებ და გააფრთხილოს მათი დაცვა. მოსამართლეს შეუძლია სასამართლო პროცესის დაწყებამდე შეუთანხმდეს მხარეებს და აუხსნას გარკვეული ქცევის წესები და მოიპოვოს მათი თანხმობა. ამის შემდეგ კი, სიტუაციის ესკალირებისას იგი ჩაერთოს და მიუთითოს არსებულ შეთანხმებაზე. ეს ხელს უწყობს სიტუაციის განმუხტვას და კომუნიკაციის პროცესის ჩვეულ რიტმში დაბრუნებას. თუ მხარეები მაინც განაგრძობენ ეთიკური წესების დარღვევას, მაშინ მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს კანონით დადგენილი სამართლებრივი ღონისძიებები, თუმცა აღნიშნული გამონაკლისი უნდა იყოს და არა ნორმა.⁸

⁸ იხ. სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის ზოგადი პრინციპები-რეკომენდაციები მოსამართლეებისთვის, თბილისი, 2011, გვ., 14.

სასამართლო ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებული როლის ეფექტურად შესრულებისათვის აუცილებელია საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა და ნდობა. მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს დავების გლობალიზაციისა და მიღებული გადაწყვეტილებების ფართოდ გავრცელების გათვალისწინებით. მოქალაქეების სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ბალანსის დამყრება ერთი მხრივ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, როგორცაა გამჭვირვალობა, სამართლიანობა და სიმტკიცე და მეორე მხრივ, დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის. გამყოფი ხაზი საკმაოდ ბუნდოვანი ხდება, როცა იმის დადგენაა საჭირო, მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება ეთიკური ნორმების დარღვევას წარმოადგენს თუ იგი დისციპლინური გადაცდომაა.⁹

კომუნიკაცია საკმაოდ რთული პროცესია და ძალიან მნიშვნელოვანია მისი ყველა მონაწილის სრულყოფილი ჩართვა მისი წარმატებული განვითარებისათვის. მოსამართლე, რომელიც სასამართლო დარბაზში შედის, უმეტესად ვერბალური კომუნიკაციის საშუალებით ურთიერთობს პროცესის ყველა მონაწილესთან. ეს იქნებოდა თავად მხარეები თუ პროცესში ჩართული სხვა პირები, ასევე სასამართლო დარბაზში დამსწრე ადამიანები.

⁹ კოჩიკიანი ა., სასამართლო ეთიკის შედარებითი ანალიზი და კომენტარები საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმების თაობაზე, თბილისი, 2016, გვ., 14-15.

მოსამართლეებს ხშირად საუბრის რთული სტილი ახასიათებთ, რაც განპირობებულია მოჭარბებულად იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით. ამ დროს არ ხდება მხარეებისათვის აზრის მკაფიოდ გადმოცემა, ადგილი აქვს აზრობრივად არათანმიმდევრულ საუბარს და დაუსრულებელ წინადადებებს. ხშირად მოსამართლე მონოლოგის სტილში საუბრობს და იმეორებს ნათქვამს. ხდება ისეც, რომ მოსამართლე სიტყვას აწყვეტინებს მხარეს მაშინ, როდესაც ეს არ არის მიზანშეწონილი. ასეთ შემთხვევებში ვერბალურ გართულებებს ასევე ემატება არავერბალური სისუსტეებიც. სწრაფი და ხმამაღალი საუბარი პაუზების გარეშე, ცუდი მეტყველება ან მონოტონური საუბარი ართულებს მოსამართლის ნათქვამის გაგებას. ბუნებრივია, აღნიშნული სირთულეები ხშირად გვხვდება ერთობლიობაში, თუმცა საკუთარი თავის შეფასებისას მნიშვნელოვანია საკუთარ სისუსტეებზე დაფიქრება და შესაბამისად მათი გაუმჯობესება.

ექსპერტთა აზრი ერთსულოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ უმთავრესი კრიტერიუმია საკუთარი საუბრის ფორმა მოვარგოთ საუბრის ადრესატის ჰორიზონტს, პერსპექტივას.¹⁰

მოსამართლის საუბარი უფრო გასაგები ხდება, როცა იგი პროცესზე სარგებლობს დამხმარე ვიზუალური საშუალებებით. სამწუხაროდ, აქ ჯერჯერობით არჩევანი საკმაოდ მწირია და შეზღუდულია ნახაზების მომზადებით.

სხვა მეთოდები გამოიყენება მედიატორი მოსამართლის ინსტიტუტის ფარგლებში, სადაც ამ ვიზუალურ მხარეს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ ხმის, მიმიკის და ქესტიკულაციის უხვი გამოყენებით შესაძლებელია ინფორმაციის უფრო თვალსაჩინოდ მიწოდება ადრესატისთვის, რაც ასევე ხელს უწყობს ნათქვამის უკეთ გაგებას. მოსამართლემ პროცესზე ამ კუთხით ყურადღება უნდა გაამახვილოს საკუთარ სხეულის ენაზე და შეაფასოს, რამდენად სწორად იყენებს იგი მას.

მოსამართლის საქმიანობაში დიდ მნიშვნელობას იძენს სოციალური კომპეტენცია. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება კომუნიკაციის უნარი, რომელსაც დღესდღეობით მოსამართლის ფუნქციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მეცნიერება კომუნიკაციას განმარტავს, როგორც ინფორმაციის, ფაქტების, აზრების, შეფასებების, გრძნობების, შეგრძნებების, მოლოდინისა და სურვილების ურთიერთგაცვლას. მოსამართლის მიზანია, პროცესზე უზრუნველყოს აღნიშნულის ურთიერთგაცვლა პროცესის მონაწილეებს შორის, რაც უნდა განახორციელოს ყველასათვის გასაგებ ენაზე.

მოსამართლე ერთი მხრივ, აქტიურად უნდა დააკვირდეს მხარეთა საუბარს, მათ კომუნიკაციის პროცესს, რათა გაიგოს პრობლემატური საკითხების, ასევე კონფლიქტის, მხარეთა ერთმანეთთან და საკითხების მიმართ დამოკიდებულების შესახებ. მეორე მხრივ, მოსამართლემ მუდმივად უნდა აკონტროლოს თავისი ვერბალური თუ არავერბალური

¹⁰ http://www.mhsg.de/fileadmin/Demo/Demo_KommunikationOnline/Materialien/Data/demo_1010588.html

საუბარი, ასევე თავისი ემოციები. მოსამართლე, რომელიც არის სასამართლოს ცენტრალური ფიგურა და გადაწყვეტილების მიმღები პირი, მასზე ძალიან დიდი ინტერესი და ყურადღება მიმართული მონაწილეების მხრიდან. მონაწილეები გულდასმით ისმენენ ყველა ინფორმაციას და ცდილობენ, სხდომის დამთავრებამდე გაარკვიონ, თუ რა აზრი შეექმნება სასამართლოს მათზე.¹¹

აუცილებლად უნდა შევხვით ემოციას, რომელიც წარმატებული კომუნიკაციის შემაფერხებელი ფაქტორია. ემოციურ გრძნობებს, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, მჭიდრო კავშირი აქვს სხეულთან. საკმარისია ადამიანში გაჩნდეს ძლიერი ემოციური განცდა, რომ სპეციფიკური ცვლილებები მოიცავს მთელ სხეულს. შესაძლოა ეს ცვლილებები არ იყოს ადვილად აღსაქმელი, მაგრამ უმეტესობა მათგანი შეუიარაღებელი თვალთაც ადვილად შესამჩნევია.¹² იცვლება სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა, ჟესტები და ა.შ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მხარეთა შორის არსებული დაძაბულობა, ხელს უშლის კომუნიკაციას, ხოლო მოსამართლის სწორი, სამართლიანი და ადეკვატური მიდგომა, მოაგვარებს ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. ნებისმიერი სასამართლო პროცესისათვის გადაწყვეტია თითოეული ადამიანის ღირსების დაცვა და სათანადოდ გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში, მოსამართლემ უნდა იზრუნოს უშუალოდ „ადამიანური“¹³ პრობლემის მოგვარებაზე.

მოსამართლე, რაც უფრო კარგად ფლობს ზემოთ ხსენებულ უნარ-ჩვევებს, უკეთესად ამოიცნობს მხარეთა რეალურ მოთხოვნილებებს და ინტერესებს, მეტად დამაჯერებელი იქნება მხარეების თვალში და უფრო მისაღები იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის.

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია და შემღებისდაგვარად წარმოდგენილია კომუნიკაციის ცალკეული ელემენტები და მათი მნიშვნელობა. რაც კიდევ ერთხელ დააფიქრებს მოსამართლეებს კომუნიკაციის ზოგადი წესების როლზე სასამართლო პროცესში.

¹¹ ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, თბილისი, 2013, გვ. 40.

¹²

<http://burusi.wordpress.com/2010/03/03/dimitri-uznadze-2>

¹³ <http://www.berufsstrategie.de/bewerbung-karriere-soft-skills/konfliktloesung-harvard-konzept-methode.php>

გამოყენებული ლიტერატურა

1. სუმბაძე ნ., მახარაძე თ., ინტერპერსონალური კომუნიკაცია, თბილისი, 2010.
2. ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., პრაქტიკული სახელმძღვანელო, კომუნიკაცია სასამართლოში, თბილისი, 2013.
3. ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი.
4. სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის ზოგადი პრინციპები - რეკომენდაციები მოსამართლეებისათვის, თბილისი, 2011.
5. ურთიერთობები სასამართლო სხდომათა დარბაზში, სხდომის მართვის, მხარეთა მორიგების, კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2010.
6. კოჩაკიანი ა., სასამართლო ეთიკის შედარებითი ანალიზი და კომენტარები საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმების თაობაზე, თბილისი, 2016.
7. ჯარიშვილი ნ., გაგნიძე თ., ლაცაბიძე ლ., ციფრული კომუნიკაციების მნიშვნელობა სტრატეგიული კომუნიკაციის კონტექსტში, თბილისი, 2019.
8. Hargie, o., The Handbook of Communication Skills. 3rd ed. London, Routledge, 2006.
9. McKay, M., Davis, M., & Fanning, P., Messages, The communication Skills Book, 3rd ed., New Hardinger Publications, inc., 2009.

ინტერნეტ-საიტები

1. <http://burusi.wordpress.com/2010/03/03/dimitri-uznadze>
2. <http://www.berufsstrategie.de/bewerbung-karriere-soft-skills/konfliktloesung-harvard-konzept-methode.php>.
3. http://www.mhsg.de/fileadmin/Demo/Demo_KommunikationOnline/Materialien/Data/demo_1010588.html.
4. საზოგადოებასთან ურთიერთობა VS კომუნიკაციები | ჯეპრას ბლოგი." <http://4p.com.ge/sazogadoebastan-urtiertoba-vs-komunikaciebi/>. წვდომის თარიღი 5 აპრილი. 2019.
5. "PROJECTING AND REFLECTING: STRATEGIC COMMUNICATIONS AND THE HEALTHY ORGANIZATION." 28 Aug. 2013, <https://considinecommunications.com/projecting-and-reflecting-strategic-communications-andthe-healthy-organization/>. Accessed 26 March . 2019.
6. კომუნიკაცია: კომუნიკაცია რაობა და სახეები (komunikac.blogspot.com)

მარიამ მამულაშვილი
ასოცირებული პროფესორი

კომუნიკაციის ზოგადი წესების როლი სასამართლო პროცესზე

თანამედროვე საზოგადოება წარმოუდგენელია ეფექტური ურთიერთობების გარეშე, რაც თავის მხრივ უკავშირდება ადამიანის უნარს, გავლენა მოახდინოს სხვა ადამიანებზე და თავი დაიცვას მათი ზეგავლენისაგან. ინტერპერსონალური ურთიერთობა არსობრივად მანიპულაციის პროცესს წარმოადგენს. ყველა შემთხვევაში ადამიანი ელის, რომ ურთიერთობის პროცესს საპასუხოდ მოჰყვეს ესა თუ ის რეაქცია.

ცივილიზებულ სამყაროში ციფრული კომუნიკაციის როლი სტრატეგიულ კომუნიკაციასთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანი ხდება. ამ ტენდენციას არ ჩამორჩება საქართველოც. არის მცდელობა სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი და წარმატებით დაინერგოს ციფრული საკომუნიკაციო ინსტრუმენტები.

წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა საქმიანობა, უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას და მოსამართლე უნდა უფრო თხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად.

ნაშრომში წარმოდგენილია თუ რა სახის კომუნიკაცია არსებობს, რა არის კომუნიკაციის შემაფერხებელი ფაქტორი, როგორ უნდა მოხდეს ალტერნატივების შეჯამება. წარმოდგენილი კომუნიკაციის ელემენტები რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლოში.

მოცემულ სტატიაში განხილული საკითხები, ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

Mariam Mamulashvili

Associate Professor

The Role of General Rules of Communication in the Judiciary

Modern society is unthinkable without effective relationships, which in turn is linked to a person's ability to influence other people and protect themselves from their influence. Interpersonal relationships are essentially a process of manipulation. In all cases, the person expects that the relationship process will lead to this or that reaction in response.

In the civilized world, the role of digital communication is becoming increasingly important in relation to strategic communication. Georgia does not lag behind this trend. There is an attempt to study in depth and successfully introduce digital communication tools.

The present paper argues that the conduct of judges should strengthen public confidence and that the judge should care of the prestige of the justice and whether inside or outside the courtroom should not act in such way which is unsuitable for the authority of the court and the position of a judge.

The paper presents what kind of communication exists, what is the barrier to communication, how to summarize the alternatives. How important are the elements of the presented communication in court.

The issues discussed in this article, we think will be interesting to all interested parties.



ადმინისტრაციული საპროცესო



დავით ხობელია
ასოცირებული პროფესორი

ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელები და მათი თვისებურებანი

სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული იუსტიციის ფუნქცია მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული დავების განხილვა, საჯარო სამართლის სუბიექტების უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა საჯარო მმართველობაში. აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის სფეროში კანონიერების დაცვის მრავალი ფორმა არსებობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო დაცვა. სასამართლო ორგანოთა სისტემას, რომელიც აღმასრულებელ-განმკარგულებელ (მმართველობით) სფეროში კანონიერებას იცავს, ადმინისტრაციულ იუსტიციას უწოდებენ¹ 1864 წელს ო. ბერი თავის მონოგრაფიაში "სამართლებრივი სახელმწიფო" აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართ-

ლებრივი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდეს, როდესაც საჯარო სამართალს განისაზღვრება მხოლოდ კანონით, ხოლო მმართველობა ემორჩილება სასამართლოს და სამართალწარმოებას.² აღნიშნული მოსაზრება განავრცო ო. ფონ სარვეიმ მან თავი მოუყარა გერმანიის მიწების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებს და დაიწყო ადმინისტრაციული სამართლის სწავლება, სარვეი ამტკიცებდა, რომ ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის წინაპირობას.³

ადმინისტრაციული იუსტიციის ჩამოყალიბება თითოეულ სახელმწიფოში განსხვავებულია და დამოკიდებულია სამართლებრივ ფორმებსა და ისტორიულ ტრადიციებზე. აღნიშნული მოდე-

¹ ვალერი ლორია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი 2002

ობ. Wade H.W.R. Administrative law. Oxford, 1965

² Bdhr O. Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze. Kassel; Gottingen, 1864 (Neudruck Aalen, 1961). S. 54, 192

³ Sarwey O. v., Allgemeines Verwaltungsrecht. Tlibingen, 1884; Idem. Das öffentliche Recht und die Verwaltungsrechtspflege. Tlibingen, 1880.

ლები, რომლებიც აღწერენ ადმინისტრაციული იუსტიციის გარკვეულ ორგანიზაციულ სისტემას, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგებულების პრინციპებით, მიზნებით, უფლებამოსილებით, პროცესუალური ფორმების თავისებურებებით და ა.შ. ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელების კლასიფიკაცია შესაძლოა ორი საფუძველზე დაყრდნობით: იურისდიქციულ ორგანოთა სპეციალიზაცია და ამ ორგანოების პრიორიტეტული მიზანი. სპეციალიზაციის კრიტერიუმებიდან გამომდინარე გამოყოფენ ადმინისტრაციული იუსტიციის ორ სახეობას: მოდელს, რომლითაც ხასიათდება განსხვავებული სისტემები და მათი ორგანიზაციულ სტრუქტურა. გამოყოფენ ადმინისტრაციული იუსტიციის სპეციალიზირებულ და საერთო სასამართლოების იურისდიქციულ მოდელებს.⁴

სპეციალიზებული ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელი, კერძო და საჯარო სამართალსშორის განსხვავებას ეყრდნობა, და ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებს. აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართლის სადავო საკითხები უნდა განიხილებოდეს დამოუკიდებელი სპეციალიზირებული სასამართლოების მეშვეობით, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან, როგორც საერთო სასამართლოებისაგან ასევე ადმინისტრაციული ორგანოებისაგან. აღნიშნული მოდელის ფარგლებში შეიძლება გა-

მოიყოს ადმინისტრაციული იუსტიციის ორი ტიპი: სპეციალური ადმინისტრაციული იურისდიქციის სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში, ანუ ფრანგული მოდელი და სპეციალური ადმინისტრაციული იურისდიქცია სასამართლო სისტემაში, ანუ გერმანული მოდელი.

ადმინისტრაციული იუსტიციის ფრანგული მოდელი ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება არ უნდა ეროდეს ერთმანეთის საქმეებში. ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა ხდება ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედებების შეფასებით. ამრიგად, აღნიშნული სუბიექტების მოქმედებათა შემოწმება და მათი სამართლებრივი შეფასება არ უნდა წარმოადგენდეს საერთო სასამართლოების კომპეტენციას და უნდა გადაეცეს სპეციალური აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარჩოებში ჩამოყალიბებული სპეციალური ინსტიტუტების სისტემას - ადმინისტრაციული ტრიბუნალებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც საჯარო სამართლის სასამართლოები. ადმინისტრაციული იუსტიციის ფრანგული სისტემა ასევე შეიძლება მოხსენიებული იქნას, როგორც ორმაგი იურისდიქციის მოდელი ან დუალისტური მოდელი.⁵

თავის მხრივ გერმანული მოდელი არი სპეციალიზაცია არა საერთო სასამართლოებში, არამედ მთლიანობაში სა-

⁴ А.Б. Зельцов модели административной юстиции в современном мире и ее особенностям в России. Вестник университета имени О.Е. Кутафина МГЮА 2015

⁵ დავით ხობელია ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა საფრანგეთში. კონფერენცია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2017

სამართლო სისტემის ფარგლებში. აღნიშნული სისტემა გულისხმობს ადმინისტრაციულ სასამართლოთა ცალკე განშტოების შექმნას, სათავეში უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოთი.⁶ აღნიშნული სისტემა ეფუძვნება ორ ძირითად პრინციპს: ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იზოლაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევისაგან, რითაც განპირობებულია ადმინისტრაციული სასამართლოების სასამართლო სისტემისადმი მიკუთვნება, და საჯარო და კერძო ინტერესების სფეროების დაყოფის იდეა, რაც იწვევს ადმინისტრაციული სასამართლობის გამიჯვნას საერთო სასამართლოებისაგან. აღნიშნული მოდელის თანახმად, სასამართლო სისტემა დიფერენცირდება სხვადასხვა ტიპის იურისდიქციად - საკონსტიტუციო, საერთო, ადმინისტრაციული, ფინანსური, სოციალური და სხვ. თითოეული მათგანი, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, წარმოდგენილია სასამართლოების დამოუკიდებელი სისტემით, რომელსაც ხელმძღვანელობს შესაბამისი უმაღლესი სასამართლო. ადმინისტრაციული სასამართლოები გამოდიან, როგორც ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოები, ხოლო ფინანსური და სოციალური, როგორც ცალკეული სპეციალიზირებული ადმინისტრაციული სასამართლოები.⁷

⁶ დავით ხობელია გერმანიის ადმინისტრაციული იუსტიცია და მისი თავისებურებანი. ცხოვრება და კანონი 2(38) 2017

⁷ А.Б. Зельцов модели административной юстиции в современном мире и ее особенностям в России. Вестник университета имени О.Е. Кутафина МГЮА 2015

სპეციალიზაციის შედეგად ადმინისტრაციული სასამართლოები ქმნიან საერთო სასამართლოებისაგან განზოგადებულ დამოუკიდებელ, ავტონომიურ ადმინისტრაციულ იურისდიქციას რომელსაც სათავეში უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო უდგას. აღნიშნული სტრუქტურა მთლიანობაში წარმოადგენს სასამართლო სისტემის დამოუკიდებელი ნაწილს და არა საერთო სასამართლოს სისტემის ნაწილს.

საერთო სასამართლოთა იურისდიქცია გამომდინარეობს საჯარო სამართლის სადაო საკითხების საერთო სასამართლოების კომპეტენციისადმი დაქვემდებარების შესაძლებლობიდან, ასეთ შემთხვევაში საერთო სასამართლოები აღჭურვილნი არიან ადმინისტრაციული ორგანოს აქტების კონტროლის ფუნქციით. ასეთი მოდელის ფარგლებში შესაძლოა გამოვყოთ ორი სისტემა - ერთიანი იურისდიქციის სისტემა და საერთო იურისდიქციის სასამართლოების შიგნით სპეციალიზაციის სისტემა. ერთიანი იურისდიქციის მოდელი, როგორც წესი, ასოცირდება სისტემასთან common law (საერთო სამართლის სისტემა) და მას ინგლისურ მოდელს უწოდებენ. რაც გამომდინარეობს ერთიანი, საერთო მატერიალური სამართლიდან, ანუ ერთიანი სასამართლო იურისდიქცია სამართლის ყველა სუბიექტისათვის (jus commune). აქედან გამომდინარე დავები კერძო პირებსა და ადმინისტრაციას შორის განიხილება იგივე სასამართლოებით და იგივე სამართლით, რაც გამოიყენება კერძო პირებს შორის დავის შემთხვევაში. აღნიშნული სისტემა გამოირჩევა საერთო

სასამართლოებში დავების განხილვისას სპეციალიზაციის არარსებობით.

ამასთანავე აღსანიშნავია, ამ სისტემაში ახალი ტენდენცია, რომელიც მიუთითებს ტრადიციული იურისდიქციის მოდელის შესუსტებაზე. შეიცვალა მიდგომები ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემისადმი, უმაღლეს სასამართლოსთან შეიქმნა ადმინისტრაციული სასამართლო, ხოლო ადმინისტრაციულ ტრიბუნალებს მიენიჭათ ახალი ორდონიანი სტრუქტურა.⁸

ბრიტანეთის ადმინისტრაციული იუსტიცია თავის თავში მოიცავს ადმინისტრაციულ და განმკარგულებელ გადაწყვეტილებათა მთლიან სისტემას, ასეთი გადაწყვეტილებების მომზადების პროცედურას, კანონმდებლობასრომლის საფუძველზეც მიიღება ასეთი გადაწყვეტილებები და დავების განხილვა აღნიშნულ გადაწყვეტილებათა მიმართ. დღეისათვის ბრიტანეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა ხელისუფლების ორგანოთა მეტად ფართო სპექტრს მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა გასაჩივრებული იქნას საჯარო ხელისუფლების ორგანოთა ან ხელისუფლების სახელით მიღებული ადმინისტრაციული აქტები. ადმინისტრაციული იუსტიციის ფარგლებში აგრეთვე განიხილება საჩივრები ადმინისტრაციული აქტების ხარისხის თაობაზე.⁹

საერთო იურისდიქციის სასამართლოების შიდა სპეციალიზაციის მოდელს ახასიათებს სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოების ან ადმინისტრაციული პალატების (კოლეგიის) შექმნა საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ სასამართლოებში. აღნიშნული სისტემა ხასითდება იმით, რომ ადმინისტრაციული იუსტიციის ფუნქცია, როგორც ერთადერთი შესაძლებელი საერთო სასამართლოების სისტემაში ხორციელდება სპეციალიზირებული მოსამართლეებისა და საერთო სასამართლოთა სპეციალიზირებული დანაყოფებით. მაგალითად ესპანეთში, ადმინისტრაციულ სამართალში სპეციალიზირებული პალატები არსებობს უზენაეს სასამართლოში და საერთო სასამართლო სისტემის ყველა იერარქიულ დონეზე, ხოლო ქვედა დონე მოიცავს ცალკეული ადმინისტრაციული მოსამართლეების ინსტიტუტს.¹⁰

დღეისათვის მრავალი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისათვის, საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეთა სპეციალიზაცია წარმოადგენს ადმინისტრაციული იუსტიციის ყველაზე მარტივ და იაფიან საშუალებას. რაც ამდღეს სამართლიანობის ხარისხს და ქმნის სამართლიანი სასამართლოს დამატებითი გარანტიებს. ასეთ შემთხ-

⁸ დავით ხობელია ბრიტანეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემის თავისებურებანი. ცხოვრება და კანონი 2(42), 2018

⁹ Administrative Justice and Tribunals: A Strategic Work Programme 2013–16 / Ministry of Justice. URL:

<https://www.gov.uk/government/uploads/system/>

[uploads/attachment_data/file/217315/admin-justice-tribs-strategic-work-programme.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/217315/admin-justice-tribs-strategic-work-programme.pdf).

დავით ხობელია, ბრიტანეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემის თავისებურებანი. ცხოვრება და კანონი 2(42), 2018

¹⁰ А.Б. Зельцов модели административной юстиции в современном мире и ее особенностям в России. Вестник университета имени О.Е. Кутафина МГЮА 2015

ვევაში ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოგვიდგება, როგორც საერთო სასამართლოთა ერთერთი ფორმა(შტო) (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული).

ცნება "ადმინისტრაციული სასამართლო" შეიძლება განიხილებოდეს ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, ეს არის სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოები, რომლებიც არსებობს მრავალ ქვეყანაში, საერთო იურისდიქციის სასამართლოებისგან განცალკევებით. ფართო გაგებით, ადმინისტრაციული სასამართლოს ცნება ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც საერთო-სასამართლოების ან მათი ცალკეულ სტრუქტურული ერთეულების შემადგენელ ნაწილად, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო და ადმინისტრაციულ იურისდიქციას სპეციალური ადმინისტრაციული საპროცესო ფორმით. ზოგიერთ სახელმწიფოში (ბულგარეთი, იორდანია და ა.შ.) ამგვარი დასახელებას აქვს სამართლებრივი საფუძველი. საერთო სასამართლო ადმინისტრაციული დავების განხილვისას კანონის პირდაპირი მითითებების შესაბამისად, მოქმედებს, როგორც საერთო იურისდიქციის ადმინისტრაციული სასამართლო. მაგალითად, ისრაელში უზენაესი სასამართლო ასეთ ადმინისტრაციულ სტატუსს იძენს, როგორც სამართლიანობის უმაღლესი სასამართლო. საოლქო საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტისას მოქმედებენ როგორც ადმინისტრაციული სასამართლო - სასამართლო ადმინისტრაციულ საკითხებზე. იგივე მიდგომა გამოიყენება მოლდოვის კანონში ადმინისტრაციულ სასამართლოს. სადაც მოცემულია მისი სამარ-

თლებრივი განმარტება: ადმინისტრაციული სასამართლო არის-მოსამართლეები, რომლებიც დანიშნულნი არიან სასამართლოებში, კოლეგიებში ან სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში.¹¹

ამრიგად, ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელი, როგორც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების სპეციალიზებული მექანიზმი, ითვალისწინებს იურისდიქციულ სპეციალიზაციას ადმინისტრაციულ დავებში. აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული იუსტიცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადმინისტრაციულ სასამართლოთა საქმიანობა ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმით, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული დავების განხილვას და საჯარო სამართალში კანონიერი ინტერესების დაცვას და საჯარო მმართველობაში განონის უზენაესობის განმტკიცებას.

¹¹ А.Б. Зельцов модели административной юстиции в современном мире и ее особенностям в России. Вестник университета имени О.Е. Кутафина МГЮА 2015

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვალერი ლორია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი 2002
2. Wade H.W.R. Administrative law. Oxford, 1965
3. Bdhr O. Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze. Kassel; Gottingen, 1864 (Neudruck Aalen, 1961). S. 54, 192
4. Sarwey O. v., Allgemeines Verwaltungsrecht. Tübingen, 1884; Idem. Das öffentliche Recht und die Verwaltungsrechtspflege. Tübingen, 1880.
5. А.Б. Зельцов модели административной юстиции в современном мире и ее особенностям в России. Вестник университета имени О.Е. Кутафина МГЮА 2015
6. დავით ხობელია ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა საფრანგეთში. კონფერენცია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2017
7. დავით ხობელია ბრიტანეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემის თავისებურებანი. ცხოვრება და კანონი 2(42), 2018
8. Administrative Justice and Tribunals: A Strategic Work Programme 2013–16 / Ministry of Justice. URL: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/217315/admin-justice-tribs-strategic-work-programme.pdf.
9. დავით ხობელია ბრიტანეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემის თავისებურებანი. ცხოვრება და კანონი 2(42), 2018

დავით ხობელია

ასოცირებული პროფესორი

ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელები და მათი თავისებურებანი

ადმინისტრაციული იუსტიცია - სასამართლო ორგანოთა სისტემა, რომელიც მმართველობით სფეროში სპეციალურად იცავს კანონიერებას.¹² ადმინისტრაციული იუსტიცია სახელმწიფო მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილი სპეციალური სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოების სისტემაა.¹³ იგი არის მთავარი ინსტრუმენტი ადმინისტრაციული ორგანოთა უკანონო საქმიანობისაგან მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების უფლებების დაცვის სფეროში. ადმინისტრაციული იუსტიცია უდაოდ დადებით როლს ასრულებს ადამიანის

¹² სუხიაშვილი ზაზა. ადმინისტრაციული იურისდიქცია // აღმანახი №17, [ადმინისტრაციული სამართალი],– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2001

¹³ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

უფლებების დაცვის საქმეში შესაბამის ქვეყანაში. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები არ ერევიან მმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში, ისინი მხოლოდ განიხილავენ ადმინისტრაციულ დავებს.

ადმინისტრაციული იუსტიცია ადმინისტრაციული სამართლის არსებობის წინაპირობას წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალი არ არსებობს ადმინისტრაციული პროცესის და საქმის წარმოების გარეშე. ადმინისტრაციული იუსტიციის სრულფასოვანი ინსტიტუტის შექმნას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობისაგან დაცვის სფეროში.

ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება მმართველობის ორგანოებისაგან გამოცალკევებულ, სპეციალურ, ნეიტრალურ ორგანოში - ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული მოსამართლის მიერ. ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმისწარმოების განხორციელება ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმით უნდა მოხდეს, რაც უზრუნველყოფს ოპერატიულობას, სისწრაფეს და კანონიერებას. ნეიტრალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება რათა გამოძებნოს მოდავე მხარეებს შორის შესარიგებელი მომენტები. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები არ ერევიან მმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში, ისინი მხოლოდ განიხილავენ ადმინისტრაციულ დავებს. ადმინისტრაციული იუსტიცია სასამართლო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ხორციელდება სასამართლო განხილვის ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით.

Davit Khobelia

Associate Professor

Models of Administrative Justice and their Features

Administrative Justice - A system of judicial bodies that specializes in legitimacy in the field of management. Administrative Justice is a special court and quasi-judicial system designed to control the lawfulness of the state governance. It is the main instrument for the protection of the rights of citizens and their unions from the illegal activities of the administrative bodies. Administrative Justice enjoyed a positive role in the protection of human rights in the country. Justice administrative authorities do not interfere in the governance of executive activity, they only discuss administrative disputes. Administrative justice is a prerequisite for the existence of administrative law, Administrative law does not exist without administrative process and case proceedings. Administrative Justice Institute to create a full-fledged administrative body has great significance in the field of protection from arbitrariness.

The creation of administrative courts implies that administrative proceedings will be carried out by the administrative judge in a special, neutral body separated from the governing bodies. Execution of the proceedings in an administrative court must be executed in an administrative procedure that ensures operational, speed and legitimacy. The neutral administrative court will have more opportunity to find moments between the parties to the dispute. Administrative Justice Authorities do not interfere in the executive-management activities of the government, they only discuss administrative disputes. Administrative justice is a special kind of court activity taking into consideration the basic elements of the trial.



სამართლის თეორია და ისტორია



გიორგი ლობჯანიძე

პროფესორი

ნ. ნიკოლაძის დაბადებიდან 27 სექტემბერს

178 წელი შესრულდა

ნ. ნიკოლაძე (1843-1928)

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა

სამართლებრივი სახელმწიფოს ბევრი საგულისხმო მოსაზრება ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებმა გამოთქვეს. მანამდე გარკვეულ დებულებებს ძველი აღმოსავლეთის ავტორებთანაც ვხვდებით (კონფუცი, ლაოძი, მოძი და ა.შ.).

მათი ძალისხმევა მიმართული იყო კანონის, სამართლის, როგორც ძალისა და მათი უზენაესობის (სოლონი, სოკრატე, არისტოტელე და სხვები), მმართველობის სწორი და არასწორი ფორმების ტოპოლოგიისადმი. მართალი სამართლის როლის (პლატონი, არისტოტელე, ციცერონი). ბუნებითი სამართლის მნიშვნელობის (დემოკრიტე, სოფისტები, არისტოტელე) შემდეგ და ა.შ.

ძველი რომაელი იურისტების მიერ სამართლის კერძოდ, საჯაროდ და სახალხოდ დაყოფას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ დროისათვის, არამედ შემდგომი ეპოქების სამართალგანვითარებისათვის.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის განათლებით იურისტი ან იურისპრუდენციასთან ნაზიარევი ბევრი ღირსეული და დამსახურებული ადამიანი მოღვაწეობდა. საკმარისია დავასახელოთ ნიკოლოზ ხიზანიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვები.

ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას იმ სივრცეზე, სადაც დასახელებული და სხვა სფეროში

მოღვაწე ქართველები მოღვაწეობდნენ, დაგვეხმარება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალულ მოღვაწეთა „პანთეონი“.

ამ პატარა შესავალს იმიტომ ვაკეთებ, რომ წარმოვიდგინოთ, რა ძნელი იქნებოდა ინტელექტით გაჯერებულ ამ სივრცეში ადგილის დამკვიდრება, რაც სრულებითაც არ გაჭირვებია ნიკო ნიკოლაძეს, მე მისი ბიოგრაფი არ გახლავართ, არც მისი მკვლევარი, როგორც ამაზე ადრეც გამიმახვილებია ყურადღება, მაგრამ, როდესაც არჩ. ჯორჯაძის მკვლევრად ითვლები, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად იმ პერიოდის ყველა დიდი მოღვაწის ირიბი მკვლევარი მაინც გამოდიხარ, იმიტომ, რომ არჩ. ჯორჯაძემ მოასწრო თავისი ხანმოკლე ცხოვრებისა და შემოქმედების პერიოდში, ყველას მიაგო შესაფერისი პატივი და მეტ-ნაკლებად მათი დაფასება შეძლო, მათ შორის ნ. ნიკოლაძისაც.

დიდად დასაფასებელია ყველა მეცნიერი, ვინც იმ პერიოდის მოღვაწეებს იკვლევს. თანამედროვეთა შორის ნ. ნიკოლაძის პირველი მკვლევარები მიხეილ გაფრინდაშვილი, დავით გამეზარდაშვილი, ხოლო იურისტებში იყო ვალერიან მეტრეველი, ისტორიკოსებს შორის ვაჟა შუბითიძე, ოთარ ჯანელიძე, ფილოლოგიაში გივი ჯავახიშვილი, პუბლიცისტიკაში ქ-ნი დალი ჩიკვილაძე, ეკონომიკაში რამაზ ნამიჭვიშვილი, ლია ბიბილავიშვილი და სხვები იყვნენ. ბევრის გვარს შემ-

დგომშიც ვასახელებ, ნ. ნიკოლაძეზე ბევრი წერს და იკვლევს მის შემოქმედებას, მათ შორის არიან: ეკონომისტები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები და ა.შ. ნ. ნიკოლაძე იყო მრავალწახნაგოვანი მოღვაწე და უბრალოდ დიდი ქართველი, როგორც ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „შენ ჩემს თვალში ისეთი კაცი ხარ, რომ გულშიც თუ კაცი მონახავს, მადანს იპოვის... ნ. ნიკოლაძე ის ადამიანია, რომელზედაც კაცურკაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სასიხარულოა“.¹

ნ. ნიკოლაძე ის მოღვაწეა, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე რამდენიმე სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის გასაყარში იცხოვრა. ჭაბუკობა და სიყრმე ფეოდალიზმის დასასრულში გაატარა, დავაჟკაცება კაპიტალიზმის ეპოქაში გააგრძელა და სიბერემ სოციალიზმს აზიარა. ამიტომ მისთვის გაცილებით იოლი იყო, სცოდნოდა წარსულის შუქ-ჩრდილოვანი მხარეები და შეეძლო მომავლის სწორი პროგნოზირება.

საგლეხო რეფორმების დაწყებას ნ. ნიკოლაძე მოწიფულობაში შეესწრო და იგი უკვე შემდგარი პუბლიცისტი გახლდათ. მის თვალწინ ჩაიარა საგლეხო რეფორმამ რუსეთში და პროვინციად ქცეულ საქართველოშიც.

¹ ილიას სიბრძნის სიმფონია (შემდ. ტ. მგელაძე) 2018, გვ. 277.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ახალ „კანონდებულებებს“, რომლებიც განსაზღვრავენ ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებას, მხოლოდ ერთი უდავო ღირსება აქვთ: ეს „კანონდებულებანი“ ადასტურებენ, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძველ შენობას ხალხის თვითშეგნებამ საფუძველი შეურყია და თუ იგი არ შეკეთდა და ბოძები არ შეედგა, დროის პირველივე ფრთის მოქნევა მთელს შენობას დაანგრევს.²

ნ. ნიკოლაძე თვითონ იყო იმ დანგრეული შენობის აღდგენის პროცესის შემოქმედი, მან არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში. პირად მაგალითს აძლევდა ქართულ ინტელიგენციას, როგორ უნდა „ელვაწათ“ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იგი ბოლოს აპოლიტიკურობით გამოირჩეოდა და მხოლოდ სიმართლის მხარეზე იდგა. ნ. ნიკოლაძის მკვლევრები მის პოლიტიკურ აზროვნების ორიენტაციას სხვადასხვანაირად აფასებენ, ერთი რამ ცხადზე უცხადესია. იგი მოვლენების მიღმა ვერ დარჩებოდა და თავის დამოკიდებულებას პოლიტიკური პროცესების მიმართ ყოველთვის აფიქსირებდა.

პირველი მსოფლიო ომში ნ. ნიკოლაძე მხარს უჭერდა მოკავშირეთა გამარჯვებას და რუსეთის განმტკიცებას მცირე აზიასა და

კონსტანტინეპოლში, ამაში იგი ხედავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

რევოლუციების პერიოდში ნ. ნიკოლაძე აქტიურად თანამშრომლობდა „რუსკაია ვოლიას“ რედაქციასთან, და თავისი წერილებით აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს თვითმპყრობლობის მიმართ და წინასწარმეტყველებდა პოლიტიკურ კრიზისს. ასევე შეუფასებელი არ დარჩენია 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება, მას მიაჩნია, რომ რუსეთში დემოკრატიულ-ცენტრალისტური რესპუბლიკა დამყარდებოდა და ფიქრობდა, საქართველოს ფართო ადმინისტრაციული და კულტურული თვითმმართველობა მიენიჭებოდა პირველ ეტაპზე, რაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აუცილებლად გასავლელი გზა იყო.

ნ. ნიკოლაძე 1917-1921 წლებში მენშევიკურ მთავრობასთან თანამშრომლობდა, როგორც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ერთ-ერთი ლიდერი. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად იგი ემიგრაციაში მოხვდა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მენშევიკური მთავრობა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობას ემიგრაციის პირობებში ვერ შეძლებდა არასისტემურ ქმედებათა მეშვეობით, ამიტომ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობა. სიმ. ხუნდაძის აზრით, ნ. ნიკოლაძეს „საბჭოთა ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების ნამდვილი

² ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები. თბ. 1931, გვ. 159.

კლასიკურ-სოციალური შინაარსისა და მნიშვნელობის არაფერი გაეგებოდა“.³

რა თქმა უნდა, ასეთ კატეგორიულ განცხადებას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც, ჩემი აზრით, ნ. ნიკოლაძე ხვდებოდა, რასთან ჰქონდა საქმე, საფუძვლიანადაც ეჭვის თვალით უყურებდა ახლად შექმნილ სახელმწიფოსა და წყობას, თუმცა მისი პოლიტიკური აზროვნების ლაიტმოტივი მაინც იხრებოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებისაკენ, რადგანაც მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში იქნებოდა ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის მეტი შანსი. ამ საკითხში ვეთანხმებით მკვლევრებს, ვისაც მიაჩნია, რომ ნ. ნიკოლაძეს სურდა ყველა მოვლენა „მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში განეხილა“. ამისათვის მას დიდხანს „ბურჟუაზიულ მოაზროვნედ“ მიიჩნევდნენ.

მაშინ, როდესაც კაპიტალიზმსა და მაშინდელ ევროპის საზოგადოებრივ წყობილებას განიხილავდა წმინდა „იდეალისტური“ საზომით, მისი აზრით დედამიწის ზურგზე დღემდე არ არის არც ერთი ხალხი, რომლის საზოგადოებრივი წყობილება აღიარებული ყოფილიყოს დამაკმაყოფილებლად, ყველაზე უფრო ცივილიზაციაქმნილნი და ბედნიერი ხალხები – ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები – სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ – იტანჯებიან საზოგადოებრივი და

ეკონომიკური ურთიერთობების მოუწესრიგებლობით...

მისწრაფება მსოფლიოში ადამიანური დამოკიდებულების „საზოგადოებრივი ჰარმონიის“ დამყარებისაკენ ყოველ ერში არსებობს.⁴

ნ. ნიკოლაძეს იმ პერიოდში არც რუსეთის და არც დასავლეთის ცხოვრების წესი არ მოსწონს და ეძებს გზებს არსებული მანკიერი მხარეების „განკურნების“ და ნამდვილი ჰარმონიული წესწყობილების დამყარებისათვის. თავისი პოზიციით იგი უფრო იხრება სენსიმიონის, ლუი ბლანის და სხვათა თეორიებისაკენ. აკრიტიკებს პრუდონის შეხედულებებს კაპიტალისტური წყობილების შესახებ.

ნ. ნიკოლაძისათვის მიუღებელი იყო როგორც ბურჟუაზიული, ასევე სოციალისტურ-ასოციაციური თეორიები. მისთვის მთავარი იყო სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, სადაც საზოგადოებრივ წყობილებას შრომა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებების დაცვა დაედებოდა საფუძვლად და მის ნიადაგზე დამყარდებოდა საზოგადოებრივი ჰარმონია. ადამიანის ღირსების ერთადერთი დამცველი არის მხოლოდ შრომა, რომელიც სხვას არავის დააწვება კისრად – წერდა ნ. ნიკოლაძე.

მეცნიერები დიდხანს ცდილობდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის შემუშავებას, რადგანაც თვლიდნენ, რომ თეორიის გარეშე პრაქტიკაში მისი

³ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, LXXXI.

⁴ Н. Николадзе, "Капризы пера" Тиф. Вестник №10.

განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. მკვლევარები პრობლემატიკაში გარკვევას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებათა და იდეათა ისტორიის შესწავლით ცდილობდნენ, რისთვისაც საჭირო იყო საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების მოწყობისა და ფუნქციების მოცემული ფორმისათვის დამახასიათებელი პრინციპების და სპეციფიკური თავისებურებათა შემუშავება და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებისადმი მორგება, მიზნებისა და პერსპექტივების გააზრება.

ნ. ნიკოლაძის მკვლევრები, რომლებიც მის თეორიულ მემკვიდრეობას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ნ. ნიკოლაძეს პოლიტიკურად არ განუსაზღვრავს, თუ რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციას მიიჩნევდა ყველაზე სასურველად, მაგრამ მისთვის მთავარი იყო საზოგადოებისათვის შექმნილი შრომაზე დამყარებული ჰარმონიული ურთიერთობები, სადაც ადამიანები ეკონომიკურად ერთმანეთზე არ იქნებოდნენ დამოკიდებული. რაც თავისთავად მოხსნიდა ბევრ წინააღმდეგობას და ნაკლებ პოლიტიკური ხალხები უფრო ადვილად შეძლებდნენ პრობლემების დაძლევას და წინააღმდეგობაშიც არ მოვიდოდნენ ხელისუფლებასთან. როგორც უკვე აღინიშნა, იგი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მომხრეა და თუ რა სახელით იქნებოდა იგი მისთვის, ამას დიდი მნიშვნელობა

არ ჰქონდა. გამომდინარე აქედან, ნ. ნიკოლაძე ცხოვრების ობიექტური მხარეების გათვალისწინებით ცვლიდა მის დამოკიდებულებას „სახელმწიფოებრივი სოციალიზმისა“ და „კაპიტალიზმის თეორიის“⁵ მიმართ, რაც ზემოაღნიშნულშიც კარგად სჩანს.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ წერილებში შეფასებული აქვს სახელმწიფოს ტიპები და ფორმები, მონარქიულიდან დაწყებული, რესპუბლიკურ მმართველობამდე, იცნობს ფედერაციული და უნიტარული სახელმწიფოს ფორმებს, თუმცა ზოგადად სახელმწიფოსთან მიმართებაში უფრო მეტად პრაქტიკული მოთხოვნებიდან ამოდის, ვიდრე თეორიულიდან, აქედან გამომდინარეა, რომ სახელმწიფოს ისტორიული ტიპების განხილვისას, რომელიმეს მხარეზე რადიკალურად არ იხრება და ერთ რაკურსში წარმოაჩენს.⁶

გასაკვირი ეს სულაც არაა, ერთი მიზეზის გამო – იმ დროს პრეცედენტი სამართლებრივი სახელმწიფოს აღიარებისაკენ კიდევ არ იყო დაფიქსირებული. ის მხოლოდ იდეაში არსებობდა. ეს ის პერიოდიცაა, როდესაც იბადება სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის კონცეფციის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობის აზრი. ამ პროცესში ჩართული არიან გერმანელი მოაზროვე

⁵ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1931, XLIX.

⁶ ვ. მეტრეველი, ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ. 1980, გვ. 66.

ნეები: ფონ მოლემო, ველკერი და სხვები. რუსეთში ამ მხრივ გამოირჩევიან ჩიხერინი, კისტიაკოვსკი, ნოვგოროდცევი. თითქმის შემუშავებულია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეები გროციუსის, სპინოზას, ლოკის, მონტესკიეს და სხვათა შრომებში. ამ იდეებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა არამარტო თეორიულ წარმოდგენებზე სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ, არამედ გავლენა იქონია კონსტიტუციურ კანონმდებლობასა და სახელმწიფო-სამართლებრივ პრაქტიკაზე.

„სამართლებრივი სახელმწიფო“ პირველად გვხვდება გერმანელი მეცნიერის კ. ველკერის და ი.ფ. არეტინის ნაშრომებში, მაგრამ ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივ სივრცეში პირველად გაანალიზა და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა ფონ მოლემმა, ისევე, როგორც მას, ნ. ნიკოლაძესაც მიაჩნდა, რომ სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც მუდმივად განვითარებადი პროცესის შედეგი (1832 წ.). ამ დროიდან მოყოლებული თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იყო გერმანელი მეცნიერების და პოლიტიკოსების ყურადღების, ზრუნვის საგანი, გერმანული სახელმწიფო, განვითარებულიყო მაღალ დონეზე. რადგანაც სწორედ გერმანიამ შეძლო საუკუნის დასასრულისათვის მიაღწია სამართლებრივი სახელმწიფოს სტა-

ტუსის აღიარებისათვის (1830 წ.).⁷ ასე რომ ნ. ნიკოლაძე სწორედ ამ პოზიციას აფიქსირებდა და ოცნებობდა, მისი სამშობლოც ოდესღაც ამ გზას დადგომოდა.

ნ. ნიკოლაძისათვის სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი კანონმდებლობის იდეას, ისევე როგორც ზოგადად სახელმწიფოს არა თვითმიზანი, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების გამოხატვის, ორგანიზაციის, მოწესრიგების და დაცვის სოციალურ-ისტორიულად განპირობებული საყოველთაო ფორმებია. პიროვნების თავისუფლების შინაარსი და ხასიათი, მისი სიგრძესიგანე, მოცულობა, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები და ობიექტური. მათი ოდენობით და ხარისხით განისაზღვრება საზოგადოების განვითარების მიღწეული დონე. თავისუფლება მისი ფაქტობრივი დაუსრულებლობის, შინაარსის ისტორიული ცვალებადობის და განვითარების ფილოსოფიური თვალსაზრისით შეფარდებითია, თუმცა მისთვის აბსოლუტურია, როგორც უმაღლესი ღირებულება და პრინციპი და ამიტომ შესაძლოა ჩაითვალოს კაცობრიობის პროგრესის კრიტერიუმად, მათ შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფორმების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, პიროვნების მდგომარეობის სფეროებშიც.

⁷ გ. ლობჯანიძე, სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, თბ. 2002, გვ. 13.

ეს დიდი მიზანი ცოცხლობდა იმ პერიოდის ევროპულ განათლებას ნაზიარებ ქართველ მოღვაწეთა აზროვნებაში, მის განხორციელებას ემსახურებოდა არჩ. ჯორჯაძის, ზ. ავალიშვილის, ლ. ანდრონიკაშვილის და სხვათა თეორიულ-პრაქტიკული საქმიანობა.

საბჭოთა პერიოდის მკვლევარების უმრავლესობა, ვინც განიხილა ნ. ნიკოლაძის თეორიული მემკვიდრეობა, იძულებული იყო იგი გამოეცხადებინათ ბურჟუაზიულ მოაზროვნედ, ამის გარეშე შეუძლებელი იყო მისი შემოქმედებიდან დადებითი მომენტების წარმოჩენა და ის დიდი დამსახურება, რაც მან ფაქტობრივად განახორციელა. იმ დროის წყაროებშიც კი ცალსახადაა აღიარებული, რომ ნ. ნიკოლაძეს არ დაუტოვებია განუხილველი არცერთი ღირსშესანიშნავი საკითხი, რომელიც მაშინდელმა ცხოვრებამ წამოჭრა გადასაწყვეტად. შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძე მაშინდელი ქართული ინტელიგენციის მეთაური და ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძესთან და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, რომელთა ნაწერები და პრაქტიკული საქმიანობა აღსავსეა იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების სიმძაფრით და უკეთესი მომავლისათვის უჩვეულო მისწრაფებით.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტიკა ამოუწურავია. ჩემი მიზანი ამ შემთხვევაში მისი ნაწერებიდან შერჩევით სამართლებრივ საკითხებზე მიძღვნილი ნაშრომების ანალიზი

და ჩემი შეხედულებების დაფიქსირება და, სამწუხაროდ, უკვე არც იმდენი დრო მაქვს და აღარც შესაძლებლობა, დავჯდე და მთელი მისი თეორიული მემკვიდრეობა შევისწავლო და ფუნდამენტური ნაშრომი დავწერო, მაგრამ არც ის მინდა, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ მოკრძალებული წვლილი არ შევიტანო დიდი ნიკოს სამართლებრივი აზრის კვლევაში, თუნდაც არჩ. ჯორჯაძის დიდი პატივისცემის გამო, რომელმაც თავის დროზე დაიწყო მისი პუბლიცისტიკის შეფასება, მაგრამ ვერ დაამთავრა და ნაშრომს ასე უწოდა „ერთი დაუმთავრებელი წერილის გამო“.

„დიდი ნიკო“, ბევრი მისი მკვლევარი ასე მოიხსენიებს ნიკო ნიკოლაძეს, იგი მართლაც რომ დიდი იყო, გასაოცარია, როგორ შეძლო იმ პერიოდში, იმ პირობებში ამდენი საქმის კეთება და პარალელურად ამხელა თეორიული მემკვიდრეობის შექმნა, ხშირად მეჩვენება, რომ „დაუჯერებელია“, არა და არა, მარტო კი არ მჯერა, არამედ გაოცებულიც ვარ, ამასთანავე ბედნიერიც, იმიტომ, რომ მოკრძალებულად შევეხე „დიდი ნიკოს“ სამართლებრივი ნააზრევის ზოგიერთ ასპექტს, რომლის ნაწილი გამოქვეყნებულია მის საიუბილეო კრებულებში,⁸ მათ ახალი ნარკვევები შევმატე და ცალკე წიგნად

⁸ ნ. ნიკოლაძის 170-ე წლის იუბილეს მიძღვნა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2013, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

გამოვეცი სათაურით – „დიდი ნიკო ნიკოლაძე“.

დასკვნა

იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა დიდი ნაწილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი ორგანულად იყო დაკავშირებული პოზიციასთან, რომელიც მათ მსოფლმხედველობრივი საკითხების გარკვევის დროს იკავებდნენ. უფრო ზუსტად, გამოჩენილი მოაზროვნეების, მათ შორის ვ. ჩერქეზიშვილის, არჩ. ჯორჯაძის და სხვათა პუბლიცისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი კონცეფციები მნიშ-

ვნელოვანწილად მათი მსოფლმხედველობრივი მრწამსიდან გამომდინარეობდა, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი ბუნებით ხასიათდებოდა, მაგრამ ამის სწორად გაგება და შეფასება შესაძლებელი ხდება იმ ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც იმყოფებოდა იმდროინდელი საქართველო; რუსეთის იმპერიის მიერ დათრგუნული ქართველი ხალხის ინტერესებმა პირდაპირ და არაპირდაპირ ასახვა ჰპოვეს მათ შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1930;
2. ილიას სიბრძნის სიმფონია, თბ. 2018;
3. Н. Николадзе, "Капризи пера", Тиф. Вестник. 1875;
4. ვ. ლობჯანიძე, სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, თბ. 2002;
5. დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, თბ. 1983;
6. ვ. შუბითიძე, ნიკო ნიკოლაძე. კაცი სახელმწიფო. თბ. 2013;
7. ვ. მეტრეველი, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი. თბ. 1980;

ნ. ნიკოლაძე (1843-1928)

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა

ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ დეტალებს.

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტიკა ამოუწურავია. ნაშრომის მიზანია ამ შემთხვევაში მისი ნაწერებიდან სამართლებრივ საკითხებზე მიძღვნილი ნაშრომების ანალიზი და ავტორისეული შეხედულებების დაფიქსირება. ნიკო-

ლაძესთვის მთავარი იყო საზოგადოებისათვის შექმნილიყო შრომაზე დამყარებული ჰარმონიული ურთიერთობები, სადაც ადამიანები ეკონომიკურად ერთმანეთზე არ იქნებოდნენ დამოკიდებული.

ნ. ნიკოლაძეს პუბლიცისტიკაში შეფასებული აქვს სახელმწიფოს ტიპები და ფორმები. თუმცა ზოგადად სახელმწიფოსთან მიმართებაში უფრო მეტად პრაქტიკული მოთხოვნებიდან ამოდის, ვიდრე თეორიულიდან. აქედან გამომდინარეა, რომ სახელმწიფოს ისტორიული ტიპების განხილვისას, რომელიმეს მხარეზე რადიკალურად არ იხრება და სამართლებრივი სახელმწიფოს ჭრილში წარმოადგენს.

Niko Nikoladze (1843-1928)

Traits of Portrait

The author of the given publication thoroughly presents the biographical details of the famous public figure Niko Nikoladze and his political and social views and activities of that revolutionary period. For Nkoladze it was necessary to create the harmonic relations based on the work of the ordinary people where there would be the economical balance between them

Niko Nikoladze's publicism is enormous, but the target of the article is to present his works from the juridical standpoint and the discussion of the analysis of his legislative works and the author's opinions about them.

Nikoladze estimated the types and forms of the state formation and establishment, though he mostly preferred the practical approaches than theoretical ones. That's why he did not choose any of them but discussed in one estimation and political opinion.





დავით ლობჯანიძე

გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის თანამედროვე პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა

მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე კაცობრიობა იღვიძებს, იზმორება და თვალებს იფშვინებს. საზარელი კოშმარის ნარჩენები ჯერ კიდევ უტივტივებს გონებაში: „მასსოვს მაგთულხლართები და უშველებელი „ატომური სოკოები“. აჰ, არა უშავს, ეს მხოლოდ ცუდი სიზმარი იყო“. კაცობრიობა სააბაზანოში შედის, პირს იბანს, სარკეში ნაოჭებს ითვალიერებს, ყავას იღუღებს და უბის წიგნაკს შლის: „ახლა კი დღის წესრიგს გავეცნოთ“.

ასე იწყებს თანამედროვეობის ცნობილი მეკლევარი იუვალ ნოახ ჰარარი თავის არაჩვეულებრივ წიგნს ჰომო დეუსს, რომელსაც ხვალინდელობის მოკლე ისტორია უწოდა¹ და მას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. ამ გადასახედიდან მეცნიერების ნებისმიერ დარგს თუ გლობალურ პრობლემას, იქნება იგი საბუნებისმეტყველო თუ საზოგადოებრივი, აქვს განვითარების საკუთარი თეორიები, რომლებიც გვაძლევენ არა მარტო საკითხის ირგვლივ ღრმა მეცნიერულ განმარტებებსა და ცნებებს, არამედ იძლევიან

გარკვეულ პროგნოზებს, რათა გავერკვეთ პრობლემის სერიოზულობასა და სირთულეში, შევაფასოთ მისი დადებითი შედეგები და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უარყოფითი მომენტები. სწორედ ამამია თეორიების პრაქტიკული მნიშვნელობა. მათი სიმრავლე თუ შინაარსობრივი სიღრმე, ძალიან ხშირად განსაზღვრავს პრობლემის მასშტაბურობას, ჩვენს შემთხვევაში კი კვლევის საკითხთა გლობალურობას.

გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები და პრინციპები არ არის ახალი, მაგრამ მისი სერიოზული მეცნიერული კვლევა კი უახლესია. ამიტომაც, მასთან დაკავშირებული საკითხი ან ჩვენი დროის ნაკარნახევია, ან კიდევ ძველმა მიმდინარეობებმა განიცადეს გარკვეული მოდერნიზაცია.

XX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია, რომლის ფუძემდებელია გერმანული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ჰანს მორგენტაუ, რომელმაც 1998 წელს გამოსცა წიგნი „სახელმწიფოთა პოლიტიკა“. მასში ნათქვამია, რომ მშვიდობისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში სახ-

¹ ი.ნ. ჰარარი, ჰომო დეუსი, თბ. 2021, გვ. 9.

ელმწიფოთა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დიპლომატიას, რომლის წინაშეც ოთხი უმთავრესი ამოცანა დგას: 1) დიპლომატიამ უნდა განსაზღვროს საკუთარი მიზნები და, ამავე დროს, გაითვალისწინოს, თუ რა რეალურ და პოტენციურ ძალას ფლობს ამ მიზნის მისაღწევად; 2) დიპლომატიამ უნდა დაადგინოს სხვა ქვეყნების მიზნები და შეაფასოს ის რეალური პოტენციური ძალა, რომელსაც ისინი ფლობენ; 3) დიპლომატიამ უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ განსხვავებული მიზნების ერთმანეთთან შეთავსება; 4) დიპლომატიამ უნდა შეარჩიოს შესაფერისი საშუალებები საკუთარი მიზნის მისაღწევად. სხვა ქვეყნის ძალის სათანადოდ შეუფასებლობა, ან გადაჭარბებით შეფასება, შეიძლება მშვიდობისათვის საბედისწერო აღმოჩნდეს. ასე რომ გლობალიზაციის პირობებში ამ თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო დარგობრივ თეორიათა შორის.

ჰუმანური მმართველობის კონცეფცია XX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. ამ თეორიის თანახმად მთავარია საერთაშორისო ურთიერთობებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. ასეთი პრინციპების ჩამოყალიბების მაგალითია საერთაშორისო სასამართლოს დაარსება, რომელსაც ექნება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და გენოციდში ეჭვმიტანილი პირების გასამართლების უფლება. ეს კი მსოფლიო წესრიგში ერთგვარ დემოკრატიულ განზომილებას შეიტანს. შემდგომ ნაბიჯებს ამ მიმართულებით წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს, განსაკუთრებით კი უშიშროების საბ-

ჭოს გამჭვირვალობის მოთხოვნა. ამ კონცეფციის მიხედვით იქმნება გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს არა მეგასაზოგადოებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს და სპობს ყველა ნაციონალურ საზოგადოებას, არამედ მრავალფეროვნებით გამორჩეულ და ინტეგრაციას დაუქვემდებარებელ მსოფლიო ჰორიზონტს, რომელიც იღება მაშინვე, როცა ის იქმნება და ამასთან ინარჩუნებს კომუნიკაციისა და მოქმედების თავისუფლებას.² მას ახასიათებს მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმების გაფართოება, დემოკრატიზაციის ზრდა სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის ურთიერთობაში, განადგურების ყველა სახის იარაღის მოსპობა, სახელმწიფოთა ურთიერთობების დემილიტარიზაცია, რეგიონული სტრუქტურების დაახლოება, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კოორდინაციის მიზნით ცივილიზაციებს შორის კონტაქტისა და დიალოგის გაღრმავება.

ჰუმანური მმართველობის პირობებში იქმნება ჰუმანური გლობალიზაციის იდეა, რომელიც სხვადასხვა ცივილიზაციის ღირებულებათა ანალიზის შეჯერების, შეთანხმებისა და მათი ინტეგრირების პროცესში ყალიბდება, მაგრამ მათი დეტალური განხილვა ჩვენი ინტერესის სფეროს სცილდება.

ცივილიზაციის თეორია, რომელიც გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა, კონცეფტუალურად უკავშირდება გლობალიზაციის პრობლემას, სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულ პერიოდამდე ცივილიზაცია გაიგივე-

² ულრიხ ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003 წ., გვ. 25.

ბული იყო კულტურასთან. მკვლევარი მეცნიერები არ ლაპარაკობდნენ ზოგადად ცივილიზაციაზე. ისინი იკვლევდნენ ცალკეულ ცივილიზაციებს, რომელთა დაჯგუფებას სხვადასხვა მოტივი ედო საფუძვლად.

ცივილიზაციის თეორია განვითარდა ორი მიმართულებით – კულტურულ-მატერიალური და კულტურულ-ისტორიული. კულტურულ-მატერიალური მიმართულების ჩამოყალიბებას საფუძველი დაუდო ფრანგმა მეცნიერმა ფ. ბროდელმა, რომელსაც შემდგომში მიმდევრები გამოუჩნდნენ. ბროდელი დაეყრდნო თავის დროზე კ. მარქსის, ი. ვებერის, მ. ბლოკის და სხვათა კონცეფციებს. ამ მიმდინარეობის დედა-აზრი გახლავთ მატერიალური სფერო, ეს ეხება ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, პოლიტიკას და ა.შ. ყველაფერს, რასაც მატერიალური ცივილიზაცია ჰქვია და ადამიანის არსებობასთანაა დაკავშირებული.

ცივილიზაციის თეორიის მეორე მიმდინარეობა კულტურულ-ისტორიული სკოლაა, რომლის ფორმირებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის რუს მოაზროვნეს, პიტიმირ სოროკინს³ (1889-1968), რომელიც ეყრდნობოდა ა. ტონინის, ო. შპენგლერის და სხვათა კონცეფციებს. ამ მიმდინარეობის ძირითადი ხაზი გახლდათ სულიერების წინა პლანზე წამოწევა, განსხვავებით მატერიალურისაგან. სულიერ სფეროში კი მოიაზრებდნენ ზოგადად კულტურას: არქეოლოგიას, რელიგიას, მხატვრობას, ქანდაკებას, მუსიკას და ა.შ., რაც საფუძვლად ედება ცივილიზაციების ჩამოყალიბებას. ისევე, როგორც ნებისმიერ თეორიას, ცივილიზაციის თეორიასაც ჰყავს მხარ-

დამჭერები და მოწინააღმდეგენი. დასკვნა ერთია, ნებისმიერ თეორიას აქვს არსებობის საფუძველი და გარკვეულწილად გააჩნია დადებითი და მისაღები მხარეები. ორივე მიმდინარეობის, როგორც მატერიალურის, ასევე სულიერის ერთიანობას, რა თქმა უნდა, ცივილიზაცია წარმოადგენს.

ამერიკელი მეცნიერის ს. ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორია⁴ XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ნაწილი მას მოიხსენიებს, „პესიმისტური კონცეფციის“ სახელით. „ცივილიზაციური მიდგომა ისტორიული პროცესის მთავარ სუბიექტად არა სახელმწიფოებსა და ერებს, არამედ დიდ კულტურულ-რელიგიურ ერთობებს მიიჩნევს“.⁵ ჩვენთვის აღნიშნული თეორიის სწორად გააზრება ორმაგად საინტერესოა, რადგანაც იგი ეხება კავკასიის და კერძოდ საქართველოს პრობლემას. ს. ჰანტინგტონის მოსაზრებანი კრიტიკულად და სამართლიანად განიხილა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ნილ მაკფარლენმა.

ს. ჰანტინგტონის თეორიის ძირითადი დედააზრია იმის მტკიცება, რომ ყველაზე მზარდი იდენტურობა ჩვენს პერიოდში ცივილიზაციურია. მსოფლიო პრაქტიკაში მოსალოდნელ საშიშროებას კი სწორედ ცივილიზაციათა დაპირისპირება ქმნის: „ყალიბდება ცივილიზაციაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი: საზოგადოებები, რომელთაც საერთო კულტურული ღირებულებები გააჩნიათ, ერთმანეთთან თანამშრომლობენ: მათი ცივილიზაციური ბლოკის ძირითადი სახ-

³ Сорокин П. Социологические Теории современности. М. 1992 г. Сорокин П. Социальная и культурная динамика Т.Г. гл. 15.

⁴ С. Хантингтон, Сталкновение цивилизации. 1994.

⁵ მ. მაცაბერიძე, გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები. თბ. 2001, გვ. 10.

ელმწიფოს გარშემო ერთიანდებიან“. ავტორი საუბრობს შემდეგ ცივილიზაციურ ბლოკებზე: დასავლური, ისლამური, ჩინური, ინდური, მართლმადიდებლური, ბუდისტური, იაპონური, აფრიკული და ლათინოამერიკული.

ს. ჰანტინგტონის თეორიის თანახმად, წერს ნილ მაკფარლენი, – არსებობს რამდენიმე სავარაუდო პარადიგმა, რომელიც კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობების ინტერპრეტაციისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. ერთ-ერთი მათგანია გლობალიზაცია, მეორე – ძალათა წონასწორობა, მესამე კი – „ცივილიზაციათა შეჯახების“ კონცეფცია. მეოთხედ შეიძლება მიხნეულ იქნეს ე.წ. „მშვიდობიანი კავკასიის“ კონცეფცია. თუ კი კრიტიკულად შევხედავთ მისი თეორიის ძირითად მიმართულებებს, ისინი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული თვალსაზრისებია.

„ცივილიზაციათა შესახებ“ თეორია გარკვეულად გავლენას ახდენს კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობის სამეცნიერო ანალიზზე. მას მნიშვნელოვანი წონა გააჩნია პოლიტიკოსთა შორისაც. არ არის გასაკვირი, რომ ეს კონცეფცია თავად კავკასიაშიც მიმზიდველად ეჩვენებათ, რადგან მისი ლოგიკით რეგიონი გლობალური პოლიტიკის ყურადღების ფოკუსს, ცივილიზაციათა „წყალ-გამყოფს წარმოადგენს“.

ჰანტინგტონი არ გამორიცხავს გარკვეულ გამონაკლისებსაც, კერძოდ, თანამედროვე ცვალებად მსოფლიოში სხვადასხვა ცივილიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ინტერესთა მიხედვით შესაძლებელია შეკრან დროებითი კავშირები მესამე ცივილიზაციის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ასე მაგ. კავკასიურ სახელმწიფოებსა და მის მეზობლებს შორის იკვეთება ორი

მიმართულება: რუსეთი, ირანი და სომხეთი, მეორე მხრივ, საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი. სპეციალისტთა აზრით, „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორია და მისივე „გამონაკლისი“ ვერსიები არც მომავალი კონფლიქტების აცილებისა და არც მისი აღბათობის დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსალოდნელ კონფლიქტს, რომლის საფუძველსაც ქმნის სომეხი უმცირესობის ნაციონალური მისწრაფებები, რომელსაც ახალისებს ზოგიერთი სომხური პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფება, ამას ემატებოდა იქ დასახლებული სომეხი ეროვნების ზოგიერთი ადამიანის საქმიანობა, ჰანტინგტონის მიხედვით, გამორიცხული არაფერია. ერთი რამ შეინიშნება, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის განვითარებულმა კონფლიქტმა, სომხების აქტიუობა ამ კუთხით რეგიონში შეამცირა. ჩვენი აზრით, დასკვნა ერთია, ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორია ეკლექტიური ხასიათისაა და მათში რაციონალური მარცვლების მოძებნაა საჭირო, რათა იგი გამოვიყენოთ ქვეყნის სასარგებლოდ.

რას ეყრდნობა ს. ჰანტინგტონი კავკასიაზე მსჯელობისას? უპირველეს ყოვლისა, თავის დროზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის წარმოშობილ კონფლიქტს, მაგრამ ბოლო წლებში, ისევე კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ კონფლიქტი არ იყო რელიგიური მოტივებით, მასში, მართალია, „აფხაზების“ გარდა მონაწილეობდნენ კავკასიელი მუსლიმანებიც, მაგრამ დიდი როლი ითამაშეს გრიგორიანელმა სომხებმა და რუსმა მართლმადიდე-

ბლებმა. ნ. მაკფარლენი რუსეთსა და კავკასიაში მომხდარ ყველა კონფლიქტის შესახებ სწორ და მისაღებ ანალიზს აკეთებს და ასკვნის; ჰანტინგტონის კონცეფციის თვალსაზრისით, სადაობისა და ემპირიული შეცდომების გარდა, პოლიტიკის თვალსაზრისით, მოდელს არა მარტო არაკონსტრუქციული, არამედ საშიში განზომილებაც შეიძლება ჰქონდეს, რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც განახორციელა სამხედრო ოპერაცია ერაყში, მხარი დაუჭირა რამდენიმე მუსლიმანურმა ქვეყანამ და პირიქით, მხარი არ დაუჭირა ასევე რამდენიმე ქრისტიანულმა სახელმწიფომ, ასე რომ ჰანტინგტონის თეორიაში ბევრი რამ ანგარიშგასაწევიცა, მაგრამ მისი ძირითადი პოსტულატები სადავოა.

რაც შეეხება ჰანტინგტონის დემოკრატიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონცეფციებს, იგი აქაც ცივილიზაციათა დიფერენციაციის საფუძვლებიდან ამოდის. მისი აზრით, ეკონომიკური წინსვლისა და აზიური კულტურის შეხამებიდან წარმოიქმნება დემოკრატიის სპეციფიკური ფორმა, რადგანაც კონსენსუსი და სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანია კონკურენციისა და ცვლილებების ფასეულობებზე, სხვაგვარი თვალსაზრისით, ჰანტინგტონისათვის ცივილიზაცია წარმოადგენს ისტორიის მატერიალურ ბლოკს. მკვლევართა აზრით, ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნების ისტორიის შესწავლასა და განვითარებას.

გლობალური თეორია თანამედროვეა, მისი წარმომადგენლები ა. პანარინი, ი. ტეიხმანი და სხვები ამ თეორიის დანიშნულებად თვლიან პროგნოზირებას, ე.ი. გარკვეულ მონა-

ცემებზე დაყრდნობით მომავალში მოვლენათა პროცესის განვითარებაში მოსალოდნელ ცვლილებათა წინასწარ განჭვრეტას ან წინასწარმეტყველებას. ამ თეორიის თანახმად დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალური მოვლენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული პერსპექტივების დადგენას. რა დროსაც გამოყენებული უნდა იქნას მოდელირების, შედარების, ექსპერტული შეფასების მეთოდები. ამ თეორიის მიმდევრები იძლევიან რეკომენდაციას, აქტიურად იქნას გამოყენებული ახლად ჩამოყალიბებული მეცნიერების დარგი პროგნოსტიკა და ამ დარგში დასაქმებული მეცნიერები, რომლებსაც პირობითად პროგნოსტიკები ეწოდებათ. „თანამედროვე პროგნოსტიკური მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს კრედო. მატერია მისდევს სულს და ემორჩილება მას“. ⁶ გლობალური პროგნოზირების თეორიის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოსა და სამართლის სფერო, რომლის ძირითადი მიმართულებები იძლევა მათი განვითარების პერსპექტივების გზებს, განვითარების კანონზომიერებათა აღიარების საფუძველზე იძლევა მომავლის ჰიპოთეზას, რომელთა ჭეშმარიტება შემდგომში პრაქტიკით მოწმდება.

ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილმა ელენე ზურაბიშვილმა, იგივე ელენე კარერ დანკოსმა, რომელიც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი სწავლული მდივანია, 1978 წელს იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიის, დაშლა. მისი წიგნის სათაურია „დამსხვრეული იმპერია“, სადაც აღწერილია ამ პროცესის გარდაუვალობა და ის მოსა-

⁶ ნ. ბარათაშვილი, გლობალური ხედვის ასპექტები, თბ., 2002, გვ. 107.

ლოდნელი მოვლენები, რომელიც მოყვებოდა სსრ კავშირის დაშლას. ასე რომ ადამიანებს (მით უმეტეს დარგის მეცნიერებს) ძალუძთ ისტორიული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, მისი პროგნოზირება.⁷

გლობალურ თეორიას უპირისპირდება ევროპული მოდერნის კონცეფცია, რომელსაც სამეცნიერო წრეებში ჰყავს თავისი მიმდევრები და უფრო მეტი მოწინააღმდეგენი. ევროპული მოდერნი არ ცნობს წარსულს, ასევე უარყოფს „წარსულის თანამედროვე მოდური წარმოდგენებითა და სტანდარტებით მოდერნიზებას“. ამ კონცეფციის მიმდევრებმა შექმნეს დასავლური „ახალი ისტორიის სკოლა“. ევროპული მოდერნის ძირითადი მიმართულებები სამართლიანადაა გაკრიტიკებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, თავის დროზე ილია ჭავჭავაძე წერდა: წარსული ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, ამასთანავე გვაწვდის ჭკვას, როგორ უნდა მოვიქცეთ მომავალში.⁸ იგი სხვა რაა, თუ არ გარკვევა, თუ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან.⁹ ასე რომ, წარსულის უარყოფა ნიშნავს მომავლის არდანახვას.

პოლიტიკური მოდერნიზაციის თეორია შესაძლებელია დარგობრივად მივიჩნიოთ, მაგრამ იგი გულისხმობს არა მარტო პოლიტიკას, არამედ საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებასაც, საკანონმდებლო ადმინისტრაციული და სახელისუფლებო დაწესებულებების აქტიურობის სფეროების და ფარგლების გაფართოებას,

მისი ძირითადი მიმართულება ემსახურება როგორც ტერიტორიული, ისე ფუნქციონალური მნიშვნელობით, ტრადიციულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა სფეროთა წინა ელიტის გავლენათა შესუსტებას, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში მათი ახალი ელიტით შეცვლას. ევროპული მოდერნის კონცეფციისაგან განსხვავებით, იგი პროცესების ევოლუციური გზით განვითარების მომხრეა და უარს არ ამბობს წარსულზე.

მართალია, მოდერნიზაციის თეორია XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ყალიბდება და დაკავშირებულია სსრ კავშირის დაშლასთან, მაგრამ მისი თეორიული ფესვები ადრეულ საუკუნეებშია საძებარი. ეს თეორია გულისხმობს პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ შეცვლას და რადიკალურ გარდაქმნას. კაცობრიობამ მრავალჯერ განიცადა პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაცია. იგი, ფართო გაგებით, ყოველთვის უკავშირდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციათა გლობალურ ცვალებადობას, ვიწრო გაგებით კი მოდერნიზაციის თეორია მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკური რეჟიმის ცვალებადობასთან.

მოდერნიზაციის თეორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია გარდამავალი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც მათი ფორმირება, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბება დემოკრატიული პრინციპების მყარი დაცვით უნდა წარიმართოს.

თანამედროვე მოდერნიზაციის თეორიული საფუძვლები ეყრდნობა დასავლეთის დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას. მოდერნიზაციის თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოსათვის,

⁷ გ. ლობჯანიძე, შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბ., 2021, გვ. 22

⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 12.

⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 35.

რადგანაც მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება უნდა წარმართოს ეროვნული თვითმყოფადობის მაქსიმალური დაცვის ფონზე, რაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თავისთავადობის გარანტი იქნება გლობალიზაციის პროცესში. პროფ. მ. მაცაბერიძე თვლის, რომ თანამედროვე პოლიტიკური მოდერნიზმის თავისებურებაა პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა, რაზედაც საუბარი ქვემოთ გვექნება.

მოდერნიზაციის თეორიიდან გამომდინარე, გლობალური პროცესების ანალიზი თავიანთ მეცნიერულ შრომებში ჩამოაყალიბეს ი. ლინცმა, რ. ჰანცერმა, ჰ. პოლმა, ლ. დაიმონდმა, ტ. პარსონსმა, ბრასმა, ჰობსბაუმი და სხვა მოაზროვნეებმა.

„მოდერნიზაციის სტრუქტურულ-ფუნქციური კონცეფცია, რომელიც მოცემულია ტ. პარსონსის ნაშრომებში, განსაზღვრავს საზოგადოების „მოდერნიზებულობის სრულ კონკრეტულ კრიტერიუმებს. ასეთ კრიტერიუმად გამოდის „ეკოლუციური უნივერსალები“ საბაზრო მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების გადარჩენას და სტაბილურობას მისი ეკოლუციური განვითარების თეორიულ სტადიაზე. თანამედროვე საზოგადოების წარმოშობას პარსონსი აკავშირებდა შემდეგ ამოსავალ უნივერსალებთან: 1. ბიუროკრატიულ ორგანიზაციასთან, 2. ბაზართან და ფულთან, 3. უნიკალურ სამართლებრივ სისტემასთან, 4. საზოგადოებრივ და კერძო სფეროში გადაწყვეტილების დემოკრატიულ მოდელთან“. პარსონსის მოწაფის მ. ლევის მიხედვით, საზოგადოება მით უფრო მოდერნიზებულია, მისი წევრები რაც უფრო მოიხმარენ არაცოცხალი ენერჯის წყაროებს და

ხელსაწყოებს, ამასთან ერთად სუფთა ტექნიკური უპირატესობები თავისი ეფექტურობით საკმარისია იმისათვის, რათა მოდერნიზებულ საზოგადოებასთან კონტაქტის შემთხვევაში, საზოგადოება უფრო ტრადიციული დადგეს მიმბაძველობის გზაზე – არა იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს უმაღლეს ეკოლუციურ იმპერატივს, არამედ უბრალო ადამიანური მოთხოვნილებების გამო, ტრადიციული საზოგადოების ცალკეულმა წევრებმა შრომა გახადონ უფრო მწარმოებლური და გააუმჯობესონ ცხოვრების მატერიალური პირობები, ამ კონცეფციას იზიარებს პოლიტოლოგი ი. დევიატკო.

სავსებით ვეთანხმებით ქართველი პოლიტოლოგების შეფასებას,¹⁰ რომლის მიხედვით პოლიტიკური მოდერნიზაციის თეორიაში კვლევის მთავარ ორიენტად უნდა იქცეს ცივილიზაციის გლობალური პროცესის ზოგადი მოდელის ჩამოყალიბება, სადაც ასახვა უნდა ჰპოვოს როგორც პოლიტიკურმა, ასევე ეკონომიკურმა, სოციალურმა, კულტურულმა ფასეულობებმა და სამართლებრივმა მომენტებმა, ეროვნული ტრადიციული ღირებულებებიდან თანამედროვე საზოგადოებაში გადასვლის ეკოლუციურობამ, რათა თავიდან ავიცილოთ ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის სფეროში დაგროვილი სიკეთეების გაუბრალოება და ცხოვრებაში დავიწყება.

იდეალური სახელმწიფოს (ზესახელმწიფოს) კონცეფცია შედარებით ადრეული წარმოშობისაა. მის გნოსეოლოგიურ ფესვებს ანტიკურ ეპოქაშიც ვხვდებით, იდეალურ სახელმწიფოს მოძღვრება გაიგივებული

¹⁰ ავტორთა კოლექტივი, ო. გოგიაშვილის რედ. პოლიტოლოგია, თბ. 2004 წ.

იყო იდეალურ წესრიგთან, იდეალურ სამართალთან. ციცერონის მიხედვით, „განა რა არის სახელმწიფო, თუ არა საერთო მართლწესრიგი“.¹¹

იდეალური სახელმწიფოს თეორიულ კონტურებს ვხვდებით ჰეგელის მოძღვრებაში. ის სახელმწიფოს „ღვთიური საწყისის“ გამოვლინებას სწორედ იდეალური სახელმწიფოს ნაირსახეობაში ხედავდა. მისი მტკიცებით, სახელმწიფოს, როგორც „ზნეობრივი იდეის სინამდვილის“ ამოცანა განისაზღვრება გონის (გეისტ) მოთხოვნილებების რეალიზაციით, რაც ადამიანთა თავისუფლების გაზრდის გარანტიაა.¹²

იდეალური სახელმწიფოს კონცეფცია განავითარა ჟან-ჟაკ რუსომი, როდესაც იგი საუბრობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ერთმანეთთან მორიგებაზე, ხელშეკრულებაზე, თვლის, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა მისაღებია ყველასათვის და იგი მეტნაკლებად იდეალურ ხასიათს ატარებს.

გლობალისტ მეცნიერთა ნაწილის აზრით, კაცობრიობა ზოგადსახელმწიფოს ანუ ტრანსნაციონალური სახელმწიფოს ფორმირებისაკენ მიისწრაფვის და თუ კი იგი წარმატებით დაგვირგვინდება, სახეზე გვექნება მსოფლიო საზოგადოება და ტრანსნაციონალური სახელმწიფო, – წერს ნ. ლუმანი.¹³

მას მიაჩნია, რომ გლობალურობის ერაში ეროვნული სახელმწიფოს, ასევე დემოკრატიის დასასრულის დასაწყისს ხედავს. ამავე აზრს ავითარებს ჟან მარი გუენო, რაც შეეხება

ტრანსნაციონალურისა და „ხესახელმწიფოს“ ცნებებს, შემდგომ პარაგრაფში განვიხილავთ.

ლიბერალიზმის პოლიტიკური თეორია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ტერმინი ლიბერალიზმი ლათინური წარმოშობისაა (-Liberalis-) და თავისუფლებას ნიშნავს, პოლიტიკური ლიბერალიზმი ეფუძნება, განმანათლებლობის ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ მოძღვრებებს. ლიბერალიზმმა თავის დროზე აითვისე და თავის ძირითად პოზიციად აქცია ი. კანტისეული პიროვნების ზნეობრივი თავისუფლების იდეა, რომელიც არ არის დამოკიდებული სხვა ადამიანთა ძალადობაზე და იმავდროულად ატარებს მორალური პასუხისმგებლობის ტვირთს. კანტის ძირითად მიზანს წარმოადგენს „მსოფლიო სამოქალაქო მდგომარეობის“ მიღწევა.¹⁴ ამ თეორიის ძირითადი პრინციპები გაიზიარეს ა. სმიტმა, თ. ბენტამმა, ჯ. მილსმა, პ. სპენსერმა და სხვებმა. თანამედროვეთა შორის ლიბერალიზმის ძირითადი მიმართულებანი თავიანთ კონცეფციებში განავითარეს კ. ჰოპერმა და ალბერტმა, რამაც თეორიული თვალსაზრისით ასახვა ჰპოვა რაციონალიზმში, ინდივიდუალიზმსა და ევოლუციონიზმში, პოლიტიკური მიმართულებით იგი გამოდის ფაშისტური, კომუნისტური და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმების წინააღმდეგ.

თუკი ამ თეორიას გლობალიზმის პოზიციიდან გადავხედავთ, იგი წარმოადგენს სახელმწიფოთა თავისუფლების ევზისტენციალური კონსტრუქციების შექმნის საფუძველს. ლიბერალური თეორია ხელს უწყობს სახელმწიფოთა ინტეგრაციის პროცესებს და ტოლერანტიზმის

¹¹ Цицерон, Диалоги М. 1966.

¹² Гегель, Философия права М. 1990 стр. 371-373.

¹³ Wlsgeseilschdatf in der Sociologische Anfkdarum 2 oplaaen 1975 s. 51-71.

¹⁴ Кант. соч. В-6 т. М. 1965 г. с. 233.

დამკვიდრებას პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სამთავრობო თუ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ლიბერალიზმის თეორია არ დარჩენილა როგორც თეორიული პოლიტიკური მოძღვრება, მისი პრინციპები პრაქტიკულად ხორციელდება ევროპის კონტინენტზე (და არა მარტო ევროპაში).

იურგენ ჰაბერმასის კონსენსუსის „პოლიტიკური“ თეორია უპირისპირდება „ტრადიციულ კრიტიკულ თეორიას“ და მის ნაკლოვანებებზე საუბრობს. ძირითადად ისინი გამოიკვეთა 1. ნორმატიული ურთიერთდამოკიდებულების ბუნების გაურკვევლობაში; 2. ჭეშმარიტებისა და ფილოსოფიურ მეცნიერებებთან დამოკიდებულების აბსოლუტურ განხილვაში; 3. სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული ტრადიციების შეუფასებლობაში დასახელებული მიზეზის გამო ი. ჰაბერმასი კლასიკური „კრიტიკული თეორიის“ წინააღმდეგი გამოდის. იგი თვლის, რომ არ შეიძლება საზოგადოებრივი რაციონალობა დაყვანილი იქნეს შრომითი მოღვაწეობის რაციონალობაზე, რასაც მარქსიზმიც იზიარებს. ჰაბერმასი თვლის, რომ უფრო სამართლიანი იქნება თუ გამოვაცალკევებთ საზოგადოების ემანსიპაციის ორ პროცესს. გარეგანი ბუნების იმპულსებისაგან და საკუთარი ბუნებისაგან გამომდინარე რეპრესიისაგან, რაც პირველ შემთხვევაში იდეალად წარმოგვიდგება, გლობალურად ავტონომიზებული სოციალური ორგანიზაცია – მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგი.¹⁵ ჰაბერმასი ანალიზს უკეთებს „მოდერნის პროექტს“ და თვლის, რომ „მოდერნის პროექტი

დამთავრებული არ არის“ და ცდილობს დაამუშაოს ახალი კომუნიკაციური რაციონალობის მოდელი, რომელიც გააცოცხლებს „მოდერნის პროექტს“ და შეინარჩუნებს მისგან რაციონალურ პათოსს“. ი. ჰაბერმასის კონსენსუსის თეორია ხელს შეუწყობს პოლიტიკური ცნობიერების ინტეგრაციას, რაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ „კომუნიკაციური გაგების ველში“. ¹⁶ დღევანდელი ქართული სინამდვილისათვის ი. ჰაბერმასის კონსენსუსის თეორია მისაღებია, რადგანაც მისი ძირითადი პოსტულატები იძლევა საშუალებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურული პროცესების ორგანიზებისას, საზოგადოების მიერ აღმოჩენილი იქნას მალული ძალადობითი სისტემები, რომლებიც „რადიკალიზმით“ გამოირჩევიან, ასეთი ძალების სიმრავლე საფრთხეს უქმნის ქვეყნის პოლიტიკურ მდგრადობას და ისედაც გაყოფილ საზოგადოებრივ აზრს შეტად აქუცმაცებს.

მოდერნიზაცია, როგორც თეორიული კონცეპტი, ვარაუდობს ინდუსტრიალიზაციის კონცეფციას. სახელდობრ, იგი გულისხმობს სემანტიკური და აქსეოლოგიური ტრანსფორმაციის თეორიულ მოდელს ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების კონტექსტში. ადრეული მოდერნიზაციის კონცეფცია ვარაუდობდა საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის ანუ ტრადიციული აგრარული საზოგადოების გარდაქმნას ინდუსტრიულად – მეურნეობის გარდაქმნის, ტექნიკური აღჭურვის და შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისიდან გამომდინარე. ამგვარი ტრანსფორმაცია ვარაუდობს

¹⁵ მ. გოვატიშვილი, ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში. თბ. 2003, გვ. 170-171.

¹⁶ J. Habermas, *Postmetaphysical Thinking*, Brakweil Publishers, 1998, p. 78.

სოციოკულტურული სფეროს გარდაქმნასაც, რომელსაც თან სდევს ადამიანთა მენტალიტეტის ტრანსფორმაცია, რომელიც ვარაუდობს, როგორც აზროვნების სტილის შეცვლას, ასევე ღირებულებათა სისტემის შეცვლასაც ეპოქის შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ღირებულებათა შკალაზე ხდება აქცენტების შეცვლა კოლექტივიზმის ღირებულებებიდან ინდივიდუალიზმის ღირებულებების სასარგებლოდ, რომლის ძირითადი პათოსი თავისუფალი ინდივიდის ჩამოყალიბების იდეაშია გამოხატული.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოდის „მეორე მოდერნიზაციის“ კონცეფცია, რომელიც ვარაუდობდა აღმოსავლეთის საზოგადოებების ვესტერნიზაციას. მოდერნიზაციის ეს კონცეფცია შემდგომში პოსტსოციალისტური ქვეყნების სივრცეზედაც გავრცელდა. აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც საერთოდ არ იყო განხორციელებული მოდერნიზაციის პროცესი, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების სოციალისტური გზა პოსტსაბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში, საერთოდ არ ვარაუდობდა მოდერნიზაციის კლასიკური მოდელისადმი მიდევნებას. სოციალისტური მოდერნიზაციის თეორია – საზოგადოების ინდუსტრიული გარდაქმნის პროცესში, ვარაუდობდა ინიციაციის, კონტროლის, ორგანიზაციის პროვოცირებას არა თავისუფალ ინდივიდუმზე, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებზე. აქედან გამომდინარე, მეორე მოდერნიზაციის კონცეფციის თანახმად, თუკი მოდერნიზაციას განვიხილავთ როგორც ცვლილებას სოციოკულტურულ და მენტალურ სფეროში, როგორც ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას, მაშინ

ეს კონცეფცია ვარაუდობს, რომ ინდუსტრიალიზმის ჩამოყალიბება ხორციელდება იმ ნორმატიულ მოცემულობათა ფართო სოციოკულტურული ექსპანსიის ნიშნის ქვეშ, რომელიც წარმოქმნილია კლასიკური დასავლური ინდუსტრიალიზმის მიერ (თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, საზოგადოების დემოკრატიული მოწყობა, პიროვნების თავისუფლება და ა.შ.).

მოდერნიზაციის თანამედროვე კონცეფცია ვარაუდობს ლოკალური ტიპის ცივილიზაციებიდან გლობალური ცივილიზაციისაკენ გადასვლას, რომელიც იდეალად ისახავს ერთიანი პლანეტარული სოციოეკოლოგიური კომპლექსის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება ეთნოკულტურულ მრავალფეროვნებას და პოლიცენტრიზმის იდეას. ამ მიდგომის თანახმად, სამყაროს კულტურული ჰეტეროგენურობა ვარაუდობს კონსტრუქციულ დიალოგს და კონსენსუსს განუმეორებელ და უნიკალურ ეთნო-ნაციონალურ ტრადიციებს შორის, რომელიც გამოდის, როგორც ცივილიზაციური სტაბილურობის გარანტი.

დაბოლოს, გლობალიზაციის თემამ ახალი შინაარსი შეიძინა, [XXI](#) საუკუნის დასაწყისიდანვე თავი იჩინა სამყაროში მიმდინარე პროცესების ნეგატიურმა შედეგებმა. ესაა: გლობალური დათბობა, გარემოს დაბინძურების თემა და ა.შ., მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიამ ახალი საფიქრალი გაუჩინა თანამეგობრობას, ჩვენი აზრით ესაა სიგნალი კაცობრიობისათვის, რათა სახელმწიფოები ემზადონ უარესისათვის. არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, რადგანაც გლობალური პროცესები როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში

შეუქცევადია და მისი შეჩერება აღარავის შეუძლია.

პრობლემებზე მსჯელობას ი.ნ. ჰარარის სიტყვებით ვამთავრებთ:

სწორედ ამიტომ (თუმცა პრეზიდენტების, კორპორაციათა გენერალური დირექტორებისა და გენერლების დღის წესრიგში არსებული მთავარი საკითხები კვლავაც ეკონომიკური კრიზისებისა და სამხედრო კონფლიქტების გადაჭრა), ისტორიის კოსმოსური მასშტაბის გათვალისწინებით, კაცობრიობას უკვე შეუძლია, მზერა ახალ ჰორიზონტებს მიაპყროს. თუ შიმშილს, ჭირსა და ომს მართლაც კონტროლს დაუშქვამდებარებთ, კაცობრიობის დღის წესრიგის სათავეში

მათ ნაცვლად რა აღმოჩნდება? როგორც უცვცხლო სამყაროში დარჩენილმა მესანძრემ, კაცობრიობამ ოცდამეერთე საუკუნეში საკუთარ თავს უპრეცედენტო კითხვა უნდა დაუსვას: ახლა რაღა ვქნათ? ჯანსაღ, აყვავებულ და ჰარმონიულ მსოფლიოში ჩვენი ყურადღება და მოსაზრებულობა საით მივმართოთ? ეს კითხვა ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება გლობალიზაციით წარმოშობილ ახალი გამოწვევების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, ო. გოგიაშვილის რედ., პოლიტოლოგია, თბ., 2004,
2. ბარათაშვილი ნ., გლობალური ხედვის ასპექტები, თბ., 2002,
3. ბეკი უ., რა არის გლობალიზაცია? თბ., 2003,
4. გოგიაშვილი მ., ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში, თბ., 2003,
5. ლობჯანიძე გ., შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბ., 2021,
6. მაცაბერიძე მ., გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები, თბ., 2001,
7. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. III,
8. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. IV,
9. ჰარარი ი.ნ., ჰომო დეუსი, თბ., 2021,
10. Гегель, Философия права, М., 1990,
11. Кант. соч. В-6 т., М., 1965,
12. Сорокин П., Социальная и культурная динамика, Т.Г. гл. 15,
13. Сорокин П., Социологические Теории современности, М., 1992,
14. Хантингтон С., Сталкновение цивилизации, 1994,
15. Цицерон, Диалоги, М., 1966,
16. Habermas J., Postmetaphysical Thinking, Brakweil Publishers, 1998,
17. Wisgeseilschdatf in der Sociologische Anfkdarum 2 oplaaen, 1975.

დავით ლობჯანიძე
ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის თანამედროვე პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა

მოდერნიზაციის თეორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია გარდამავალი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც მათი ფორმირება, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბება დემოკრატიული პრინციპების მყარი დაცვით უნდა წარიმართოს.

თანამედროვე მოდერნიზაციის თეორიული საფუძვლები ეყრდნობა დასავლეთის დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას. მოდერნიზაციის თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოსათვის, რადგანაც მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება უნდა წარიმართოს ეროვნული თვითმყოფადობის მაქსიმალური დაცვის ფონზე, რაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თავისთავადობის გარანტი იქნება გლობალიზაციის პროცესში.

მოდერნიზაციის თანამედროვე კონცეფცია ორიენტირებულია ლოკალური ტიპის ცივილიზაციებიდან გლობალური ტიპის ცივილიზაციისაკენ გადასვლაზე, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი პლანეტარული სოციოეკოლოგიური კომპლექსის ჩამოყალიბებას, როგორც ცივილიზაციური სტაბილურობის გარანტს.

Davit Lobzhanidze

Associate Professor

Globalization's Contemporary Political-Legislative View

The theory of modernization plays important role in the transitional countries' political living, as this process includes the political institutions, structures establishment based on the democratic principles.

The contemporary modernization theoretical basis is based on the western democratic political system. The theory of modernization has special importance for Georgia as well as the establishment of its political institutions must be realized on the base of the national dignity's maximum defence that will be the national-state independence strengthening and freedom guarantee in the process of globalization.

The contemporary conception of modernization is oriented towards the transition from the local types civilization to the global types civilizations that aims to establish the unit planetary socio-ecological complex based on the ethnic cultural variety and the also idea of policentrism as a guarantee of civilization stability.





მარიამ ცეცხლაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტორანტი

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების განათლების პრობლემა პოლიტიკურ-სამართლებრივ ჭრილში

სახელმწიფოთა ფარგლებში და სახელმწიფოთა შორის მიგრაცია ასწლეულებს ითვლის, თუმცა, არასოდეს ყოფილა ისეთი ხშირი და სწრაფი, როგორც თანამედროვე ეპოქაშია. სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ იდენტობებს შორის ერთგვარი ფაქიზი წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს. განსხვავებულის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული რეფორმა უნდა წარმართოს არა მხოლოდ ისეთ სკოლებში, რომელშიც ეთნიკური და სხვა სახის მრავალფეროვნება სახეზეა, არამედ გამოკვეთილი მონოკულტურული გარემოს მქონე სასწავლებლებშიც. სკოლა, რომელიც რეფორმირებულია პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპებზე, თავად ხდება უფრო ფართო ხასიათის საზოგადოებრივ-სოციალური რეფორმის დისტრიბუტორი.

საქართველო, ისტორიულად და დღესაც, მრავალეთნიკური ქვეყანაა. სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2014

წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 3 712 804 ადამიანს ითვლის. ქართველები საერთო რაოდენობის 86,8%-ს შეადგენს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები 13,2%-ს. აქედან 6,3% აზერბაიჯანელია და 4,5% სომეხი, რომლებიც ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად ცხოვრობენ. ხოლო დანარჩენ 2,4%-ს რუსები, ბერძნები, უკრაინელები, იეზიდები, ასირიელები და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ, რომლებიც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში დისპერსიულად არიან განსახლებულნი [საქართველოს სტატისტიკის...].

არსებული მრავალფეროვნების ასახვა გასათვალისწინებელია სასწავლო პროცესში და მართალია გათვალისწინებულია იმ მხრივ, რომ 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებით საქართველოში 200-ზე მეტი არაქართულენოვანი სკოლა და შერეული ენობრივი სექტორები ფუნქციონირებს, თუმცა უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ამ სკოლებში მოსწავლეებისთვის განათლების მოწოდების ხარისხი.

დღესდღეობით ყველა თანხმდება სასწავლო გარემოში მრავალფეროვნების დადებით მხარეებსა და ინტერკულტურული განათლების საჭიროებაზე. მრავალფეროვნების საგანმანათლებლო პარადიგმა ხაზს უსვამს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლოა, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნება „ამდიდრებს“ სასწავლო გარემოს. სწორედ ეს მოსაზრებაა ყველაზე მკაფიო არგუმენტი ინტერკულტურული განათლების მხარდასაჭერად. მრავალფეროვან გარემოში ინტერკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით მოსწავლეს უვითარდება: მრავალმხრივი ხედვა, კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი, საერთო ღირებულებების მიმართ პატივისცემა [ტაბატაძე 2008: 16-17].

საქართველომ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება საკუთრივ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ხოლო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ განათლების რეფორმების კუთხით ბევრი ახალი ნაბიჯი გადადგა.

საკანონმდებლო თვალსაზრისით - საქართველოს კონსტიტუციის 27.1-ე მუხლი იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა [საქართველოს კონსტიტუცია...]. საქართველოში მცხოვრები

ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ზოგადი განათლების შესახებ კანონის 9.1 მუხლიც ადასტურებს [საქართველოს კანონი...].

განათლების მიმართულებით, ცვლილებებისა და რეფორმების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება 2006 წლიდან, ამ პერიოდში ხორციელდება სკოლების ოპტიმიზაცია. ეს პროცესი ეხება მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებს და მცირდება როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი, ან ორსექტორიანი ზოგადი განათლების დაწესებულებები. სკოლები, რომლებიც მოსწავლეთა მცირერიცხოვნობით ხასიათდებოდა, შეაერთეს სხვა სკოლებთან. ოპტიმიზაციის შედეგად, 456 არაქართულენოვანი სკოლის რაოდენობა თავდაპირველად 408-მდე შემცირდა [მეხუზლა 2009 : 12].

საქართველოში ზოგადი განათლების მიღება ქართულენოვანი სკოლების გარდა შესაძლებელია სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებია (სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - უფროსის მ/შ - 19/02/2021 წერილი - MES 3 21 00000127851).

1. არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები:

მოსწავლეების და სკოლების რაოდენობა 2020-2021 სასწავლო წლის მდგომარეობით				
სექტორი	შერეული ენობრივი სექტორებით		არაქართულენოვანი სკოლები	
	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა
აზერბაიჯანული	119	25530	79	15308
გერმანული	1	153	1	153
ინგლისური	2	638	0	0
რუსული	59	14401	11	4900
სომხური	131	13245	117	12789

2. არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა სექტორების და რეგიონების მიხედვით					
რეგიონი	აზერბაიჯანული	გერმანული	ინგლისური	რუსული	სომხური
აფხაზეთი					
აჭარა				8	1
გურია					
თბილისი	3	1	2	22	3
იმერეთი				1	
კახეთი	10			4	1
მცხეთა-მთიანეთი					
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი					
სამეგრელო-ზემო სვანეთი				3	
სამცხე-ჯავახეთი				7	103
ქვემო ქართლი	106			14	23
შიდა ქართლი					

3. არაქართულენოვანი კერძო სკოლების რაოდენობა

რეგიონი	აზერბაიჯანული		რუსული		სომხური	
	სულ	წმინდა	სულ	წმინდა	სულ	წმინდა
აჭარა			2			
თბილისი			7			
სამცხე-ჯავახეთი						
ქვემო ქართლი	1					

წარმოდგენილი მონაცემები არც თუ მცირეა საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის. არსებული მულტიეთნიკური გარემოს გათვალისწინებით, ქართველი და არაქართველი მოსწავლეები ზოგადი განათლების მიღების და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგანან.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-4-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის მიხედვით, იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლება მიიღონ თავიანთ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად [საქართველოს კანონი...]. საქართველოში ფუნქციონირებს კიდევ სკოლები, რომელთა სწავლების ენა სხვადასხვაა, ან რამდენიმე ენოვანი სექტორი აქვთ, ძირითადად, წმინდად სომხური, წმინდად აზერბაიჯანული, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-რუსული და ქართულ-სომხური.

საქართველო მრავალეთნიკურთან ერთად მრავალენოვანი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 13%-სათვის ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. ამ მხრივ გამოკვეთილია სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ და ქართულ ენას ძალიან ცუდად ფლობენ. უკანასკნელი გარემოება ამ უმცირესობათა ჯგუფების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას მნიშვნელოვნად აფერხებს და ასევე, მათთვის განათლების ხელმისაწ-

ვდომობასთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

უახლესი ისტორიიდან გამომდინარე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა, რადგან რუსული ენა გამაერთიანებელი ენის ფუნქციას ასრულებდა უმრავლესობისა და უმცირესობათა ურთიერთობაში. ზოგადი განათლება უმცირესობათა ენებზეც იყო ხელმისაწვდომი. საბჭოთა კავშირის დაშლისას ეროვნული უმცირესობების ძირითადი ნაწილი ქართულს ძალიან დაბალ დონეზე, სწორედ ამ მიზეზების გამო ფლობდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მათ, ვინც ცხოვრობდნენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. შესაბამისად, ქართულის როგორც სახელმწიფო ენის არცოდნა ხარისხიანი განათლებისა და ეფექტიანი ინტეგრაციის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია.

არაქართულენოვან სკოლებში აუცილებელია დროულად და ეფექტურად დაინერგოს ორენოვანი (ბილინგვური) განათლება სისტემა. ორენოვანი განათლების ეს მოდელი სასწავლო პროცესში ორი ენის გამოყენებას შესაძლებლობას ითვალისწინებს. წარმოდგენილი მიდგომა მშობლიური ენის შენარჩუნებასთან ერთად სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობას ქმნის. განათლების ასეთი ფორმა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ისე ფლობდეს სახელმწიფო და მშობლიურ ენებს, რომ ორივეზე შეეძლოს კომუნიკაცია და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ხარისხიან განათლებაზე წვდომის თვალსაზრისით, სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები და ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე. უმთავრესი პრობლემებია სახელმძღვანელოებისა და კვალიფიციური პედაგოგების საკითხი.

2006-2007 წლებში საქართველოს არაქართულენოვან სკოლებს სახელმძღვანელოები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ეგზავნებოდათ, რაც სირთულეს ქმნიდა სასწავლო პროცესში. ვინაიდან, ეს სასწავლო მასალა საქართველოში მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს არ შეესაბამებოდა, მოსწავლეებს უჭირდათ ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური მოთხოვნების დამყოფილება [მეხუზლა 2009:27]. გადაწყდა სახელმძღვანელოების თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე - მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და მოსწავლეთათვის უსასყიდლოდ გადაცემის პროცესი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული, არაქართულენოვან სკოლებში ახალი თარგმნილი სახელმძღვანელოებით სწავლება ყველა კლასში სავალდებულო გახდა. ოჯახების ნაწილმა ვერ შეძლო ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, შესაბამისად, მოსწავლეთა ნაწილს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოები არ ჰქონდა. მათი ნაწილი სწავლას სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან გამოგზავნილი წიგნებით განაგრძობდა, რადგან მათ უფასოდ იღებდნენ. მოსწავლეთა ნაწილს კი არც ძველი სახელმძღვანელოები ჰქონია

და არც ახალი“ [დალაქიშვილი 2020: 20]. არსებული მიდგომა მეთოდოლოგიურად გაუმართავია და მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის საგანმანათლებლო პროცესში.

აღსანიშნავია, ასევე, აზერბაიჯანული და სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების საკითხი. ბოლო 20 წელია, წიგნები მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის, და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას არ შეესაბამება. 2019 წლის მდგომარეობითაც, არაქართულენოვან სკოლებში სასწავლო პროცესი, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმისთვის შეუსაბამო, 2011 წელს გრიფირებული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა წიგნების შესაქმნელად, თუმცა, სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხის გამო, წარუმატებლად დასრულდა [სახალხო დამცველის...,2019:381].

თარგმანის რედაქტირებისას აღმოჩენილი ხარვეზები აუცილებელს ხდის სახელმძღვანელოების ავთენტურობის გადამოწმებას. 2019 წლის მონაცემებით, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები ისევ ძველი წიგნებით განაგრძობენ სწავლას [გორგაძე 2020: 9].

სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მულტი-ლინგვური (ბილინგვური) სწავლების მოდელზე საუბარი, საქართველოს განათლების სისტემაში ბოლო ათწლეულია მიმდინარეობს. თუმცა გაწეული ძალისხმევების მიუხედავად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ რჩება ორენოვანი სახელმძღვანელოები, ეფექტიანი სწავლების მოდელის შემუშავება, სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და მულტი-ლინგვური პედაგოგების

მომზადება [სახალხო დამცველის აპარატი 2019: 381].

სახელმძღვანელოებთან ერთად არაქართულენოვან სკოლებში მწვავე პრობლემად დგას კვალიფიციური მასწავლებლების საკითხი. პრობლემები კომპლექსურია და ჯეროვან რეაგირებას მოითხოვს სახელმწიფოსა და შესაბამისი უწყებების მხრიდან.

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემები გვაძლევს, ერთი მხრივ, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან ინტეგრირებულნი სახელმწიფოს ცხოვრებაში და მეორე მხრივ, ქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც მზად არ არიან იცხოვრონ მულტიკულტურულ გარემოში და არ იჩენენ ტოლერანტობას განსხვავებული კულტურული ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ.

საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ინტერკულტურული განათლების თაობაზე და საჭიროებაზე. შესაძლოა ზოგჯერ ინტერკულტურული

განათლება ანტიპატრიოტულ განათლებასთანაც ასოცირდებოდეს და ინტერკულტურული განათლებისაკენ გადადგმული ნაბიჯები სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით არ იყოს მიმზიდველი. მაგრამ აუცილებელია ამ მიმართულებით თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა. ზოგადი ხასიათის პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია: არაქართულენოვანი სკოლების რეფორმა და ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში სრული ინტეგრაცია.

მრავალფეროვანი სასწავლო გარემო და ინტერკულტურული განათლების ასპექტები ასახულია განათლების სფეროს სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში. მაგრამ არსებული მრავალფეროვნება უფრო ღრმა გაანალიზებას მოითხოვს. აგრეთვე, იმ პრობლემების წარმოჩენას, რომლებიც თავს იჩენს, როცა საქმე დეკლარირებული ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის საკითხების პრაქტიკაში რეალიზაციაზე მიდგება.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. დალაქიშვილი მარიამ, ირემაშვილი ნინო 2020 - ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
2. გორგაძე ნათია 2020 - „სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება“. ანგარიშში, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები 2017-2018. თბილისი: სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო.

3. მეხუზლა სალომე და ეიდინ როშე - 2009. განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში. თბილისი: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI).
4. ტაბატაძე შალვა, ნაცვლიშვილი ნათია - 2008 „ინტერკულტურული განათლება“
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - ინტერნეტ მისამართი - http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf მოძიებულია 01-06-2021
6. საქართველოს კონსტიტუცია - ინტერნეტ მისამართი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> მოძიებულია 04-06-2021
7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ - ინტერნეტ მისამართი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90> მოძიებულია 06-06-2021
8. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019 - ინტერნეტ მისამართი <https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf> მოძიებულია 09-06-2021

მარიამ ცეცხლაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტორანტი

**საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების
განათლების პრობლემა პოლიტიკურ-სამართლებრივ ჭრილში**

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ბევრს საუბრობენ გლობალიზაციის შესახებ, ჩნდება შიში იმის გამო, რომ მცირერიცხოვან ერთა კულტურებს გადაშენების საფრთხე დაემუქრებათ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ აღნიშნული კულტურები ვერ მოახერხებენ მათზე მოქმედ მრავალგვარ ფაქტორებზე ადეკვატურ რეაგირებას და პოლიტიკურ-სამართლებრივ უზრუნველყოფას. მრავალი საუკუნის განმავლობაში, ქართველმა ერმა რომ თვითმყოფადობა, ენა, რელიგია, კულტურა და სულიერი ფასეულობები შეინარჩუნა სწორედ ასეთი ადეკვატური რეაგირების შედეგია. დღესაც, XXI საუკუნეში, საჭიროა ამ მექანიზმის შენარჩუნება. როგორც არასოდეს, ისე აქტუალურია დღეს საქართველოსათვის ინტერკულტურული განათლების სწორი სტრატეგიის მოძიება. შობადობისა და მიგრაციის სხვადასხვა ტემპი, დემოგრაფიული სიტუაციების ცვლილება და სხვა ფაქტორები არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების შენთხვევაში ბევრ პრობლემას გაუჩენს ჩვენს ქვეყანას.

Mariam Tsetskhladze

Batumi State University

doctoral student

The problem of education of ethnic minorities living in Georgia

In the modern era, when there is a lot of talk about globalization, there is a fear that the cultures of minority nations will be in danger of extinction. This will happen if these crops fail to respond adequately to the many factors that affect them. The fact that the Georgian nation has preserved its identity, language, religion, culture and spiritual values for many centuries is the result of such an adequate response. Even today, in the 21st century, it is necessary to maintain this mechanism. Finding the right strategy for intercultural education is more important than ever for Georgia today. Different rates of births and migration, changing demographic situations and other factors will cause many problems for our country if the wrong education policy is pursued.





ანა ჩაგუნავა
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
დავით ჩაგუნავა
ექსპერტ-კრიმინალისტი

პოლიტიკური რელიგიების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები

შესავალი

პოლიტიკური რელიგიის თეორია უკავშირდება სახელმწიფო იდეოლოგიებს, რომელთაც იმდენად ძლიერი პოლიტიკურ-სამართლებრივი მხარდაჭერა აქვთ, რომ ისინი იღებენ სახელმწიფო რელიგიის თანაბარ ძალაუფლებას, ამასთანავე ეს იდეოლოგიები მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენენ მასთან, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკის თვალსაზრისით (Gentile 2006). პოლიტიკის ძირეულ ფორმებთან ერთად, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ არჩევნები, საკანონმდებლო საქმიანობა და სხვა, პოლიტიკურ რელიგიაში შედის რეჟიმის შემადგენელი ინსტიტუტების საკრალიზაციის ელემენტები და ტრადიციულად, რელიგიისათვის დამახასიათებელი ასპექტები, როგორცაა ეთიკა, ღირებულებები, სიმბოლოები, მითები, რიტუალები და ეროვნული ლიტურგიული კალენდარი. პოლიტიკური რელიგიების ცნება ეწინააღმდეგება არსებულ ტრადიციულ რელიგიებს და ცდილობს მათ ჩანაცვლებას, ან სრულიად აღმოფხვრას (Maier 2004).

მიჩნეულია, რომ თითქოს ტოტალიტარული საზოგადოებები უფრო მეტად არიან მიდრეკილი პოლიტიკური

რელიგიებისკენ, თუმცა სხვადასხვა მკვლევარი პოლიტიკური რელიგიის მახასიათებლებს დემოკრატიებშიც აღწერს. მაგალითად, რობერტ ბელა, რომელიც 1967 წელს საუბრობდა ამერიკული „სამოალაქო რელიგიის“ შესახებ. პოლიტიკური რელიგიების ტერმინს, ზოგჯერ „სამოქალაქო რელიგიის“ სინონიმადაც იყენებენ, მაგრამ მკვლევრები მნიშვნელოვან განსხვავებებს უსვამენ ხაზს და „სამოქალაქო რელიგიას“ მოიხსენიებენ, როგორც რაღაც უფრო სუსტს, რომელიც უმეტესწილად, მოქმედებს, როგორც სოციალურად გამართიანებელი და არსებითად კონსერვატიული ძალა, მაშინ როცა პოლიტიკური რელიგია რადიკალურად ტრანსფორმაციულია, აპოკალიპტიკური (Gentile 2006).

პოლიტიკური რელიგიების ტერმინს ზოგჯერ იყენებენ აკადემიური კონტექსტის მიღმა, ხშირად ეკლესიის საწინააღმდეგო მნიშვნელობით, აგრეთვე რომელიმე პოლიტიკური მიდგომის ან იდეოლოგიის დასაკნინებლად. პოლიტიკურ-რელიგიური ორგანიზაცია, როგორც იყო ნაცისტური პარტია, ერთგულად მისდევდა კულტურული და პოლიტიკური ძალაუფლების მასშტაბურ

გაიდებას მთელს ქვეყანაში. ეკლესია სახელმწიფოში აღარ ფლობდა კონტროლს რელიგიური ადამიანის ცხოვრების წესსა და პრაქტიკებზე. ამის გამო, ბევრი პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების მიერ, ნაციზმი მიჩნეულია პოლიტიკურ რელიგიად, რომელიც ემყარება ნაციტური რეჟიმის დომინანტურ როლს (Donald K. Gates n.d.)

მიმოხილვა

ტერმინი „პოლიტიკური რელიგია“ ეფუძნება მოსაზრებას, რომ ზოგჯერ პოლიტიკური იდეოლოგიები ან პოლიტიკური სისტემები ამჟღავნებენ ისეთ მახასიათებლებს, რომელიც როგორც წესი, ასოცირებულია რელიგიასთან. ეს ფენომენი შესწავლილია სხვადასხვა მეცნიერებაში, მაგალითად უილიამ კონოლი მას სწავლობდა პოლიტიკურ მეცნიერებებში, კრისტოფ დოიჩმანი-სოციოლოგიაში, ემილიო ჯენტისლე-ისტორიაში, ოლივერ ო'დონოვანი-თეოლოგიაში და აშ.

პოლიტიკური რელიგია ხშირად იკავებს იმავე ეთიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სივრცეს, რომელსაც ტრადიციული რელიგია და შედეგად, თუ არ ჩაანაცვლებს, ხშირად თანამშრომლობს არსებულ რელიგიურ სტრუქტურებთან და სიმბოლოებთან. მას თავად არ აქვს დამოუკიდებელი სპირიტუალური ან თეოკრატიული ელემენტები - ის არსებითად სეკულარულია. რელიგიას იყენებს მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისათვის, თუკი რა თქმა უნდა, სრულიად არ უარყოფს რელიგიურ რწმენას (Kurtz 2009). ყველაზე ძირეული მახასიათებელი, პოლიტიკურ

რელიგიაში, გულისხმობს პოლიტიკის საკრალიზაციას. როგორც წესი, პოლიტიკური რელიგია ითვლება სეკულარულად, მაგრამ მის უფრო რადიკალურ ფორმებში შეიძლება შემხვედეთ ტრანცენდენტულობასაც (Gentile 2006).

თეორიის წარმოშობა

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ფილოსოფოსი ჟან ჟაკ რუსო ამტკიცებდა, რომ ყველა საზოგადოებას სჭირდება რელიგია, რომ ადამიანების კონსოლიდირება მოახდინოს. იმის გამო, რომ ქრისტიანობა ადამიანს მიწიერი საქმეებისაგან აშორებდა, რუსო ადვოკატირებდა „სამოქალაქო რელიგიას“, რომელიც შექმნიდა სახელმწიფოში პოლიტიკური გაერთიანებისათვის საჭირო კავშირებს. შვეიცარიელი პროტესტანტი თეოლოგი ადოლფ კელერი (1872-1963) ამტკიცებდა, რომ მარქსიზმი საბჭოთა კავშირში ტრანსფორმირდა სეკულარულ რელიგიად (Keller 1937). აშშ-ში ემიგრაციამდე გერმანიაში დაბადებულმა ერიკ ფოგელინმა დაწერა წიგნი „პოლიტიკური რელიგიები“, რითიც მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანა პოლიტიკური რელიგიების შესახებ აზრის ჩამოყალიბებაში (Voegelin 2000).

ფოგელინი წერდა, რომ პოლიტიკური რელიგიების კონცეფციის ჯერონად გასაგებად, აუცილებელია რელიგიის კონცეფციის გაფართოება და მასში დიდი რელიგიების გარდა სხვა ნებისმიერი ფაქტორისა და ფენომენის გააზრება, რაც თან ახლავს სახელმწიფოს განვითარებას, რასაც ჩვენ რელიგიურ ბუნებას მივაწერთ და ამას გარდა, „უნდა განვსაზღვროთ, არის თუ არა სახელ-

მწიფოს კონცეფცია შეზღუდული მხოლოდ სეკულარული ადამიანური ორგანიზაციული ბუნებით, რომელსაც არაფერი აკავშირებს რელიგიასთან“ (Voegelin 2000).

მეცნიერთა ნაწილი პოლიტიკურ რელიგიებს მიიჩნევდა, როგორც ეგზისტენციალურ სიცარიელესა და ნიჰილიზმზე პასუხს, რისი გამომწვევიც იყო მოდერნულობა, მასობრივი საზოგადოება, სახელმწიფოს აღზევება და პოლიტიკურ რელიგიებში „ღმერთის რელიგიის წინააღმდეგ ამბოხი“ (Gentile 2006). მე-20საუკუნის სეკულარიზაციის შედეგად შექმნილი სიცარიელე, შესაძლებელი იყო შევსებულიყო იდეოლოგიით, რომელიც ითავსებდა ეთიკურ და იდენტობის საკითხებს, რაც პოლიტიკურ რელიგიებს ტოტალიტარიზმზე, უნივერსალიზმზე და მესიანისტურ მისიებზე დაფუძნებულს ხდიდა.

რელიგიისა და პოლიტიკური რელიგიის საერთო მახასიათებლები

მთავარი მახასიათებლები, რასაც რელიგია (განსაკუთრებით კულტები) და პოლიტიკური რელიგია იზიარებენ, შეიცავს რამოდენიმე ელემენტს:

სტრუქტურა

- განმასხვავებელი წყალგამყოფის დაწესება „საკუთარსა“ და „სხვას“ შორის და ამ უკანასკნელის დემონიზაცია (თეისტურ რელიგიაში განსხვავება ეფუძნება კონკრეტული დოგმების დაცვასა და სოციალურ ქცევებს, პოლიტიკურ რელიგიაში კი განსხვავება შეიძლება იყოს ეროვნების, სოციალური დამოკიდებულების ან მოწინა-

აღმდეგე პოლიტიკური პარტიის წევრობის ნიადაგზე).

- ტრანცენდენტული, ქარიზმატული ლიდერი მესიანისტური ტენდენციებით.
- ძლიერი, იერარქიულად ორგანიზაციული სტრუქტურა.
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, განათლებაზე კონტროლი, ასევე არსებული სისტემის პატივისცემა და თაყვანისცემა.

რწმენა

- დალაგებული, მოწესრიგებული რწმენის სისტემის არსებობა, გარე სამყაროსთვის სიმბოლური მნიშვნელობების თავს მოხვევისათვის.
- მსგავსი ტიპის სხვა იდეოლოგიების მიმართ არატოლერანტულობა.
- უტოპიანიზმი.
- რწმენა იმისა, რომ იდეოლოგია ცხადი და აშკარაა, ანუ ვინც მას უარყოფს - „ბრმაა“.
- სხვა სიმბოლოების განადგურების სურვილი ძალის გამოყენებით.
- ფატალიზმი - რწმენა, რომ იდეოლოგია საბოლოოდ აუცილებლად მიაღწევს ტრიუმფს.

ეს მახასიათებლები შესაძლოა, სრულად რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკური რელიგიაში არ მოიძებნოს, თუმცა ესაა საერთო და ყველაზე გამომხატული ელემენტები.

პოლიტიკური რელიგიის

ძირეული ელემენტები

რელიგიური რწმენების ჩახშობა / აკრძალვა

პოლიტიკური რელიგიები კონკურირებენ არსებულ რელიგიებთან და შეძლებისდაგვარად ცდილობენ მათ ჩანაცვლებას, ან სრულად ამოძირკვას

(Maier 2004). ამას შეიძლება მოჰყვეს ათეისტური დოქტრინის ჩამოყალიბება. ერთგულება სხვა გაერთიებების მიმართ, როგორცაა ეკლესია ან ღვთაება, მიჩნეულია პოლიტიკური რელიგიისადმი ერთგულების დამაბრკოლებლად. პოტენციური სულიერი ლიდერების ავტორიტეტი, ასევე საფრთხეს წარმოადგენს პოლიტიკური რელიგიის გავლენისათვის. ამგვარად, ზოგიერთ, ან სულაც ყველა რელიგიურ სტრუქტურას ავიწროვებენ ან კრძალავენ. გარდა ამისა, შესაძლებელია, არსებული რელიგიური ორგანიზაციის სახელმწიფო რელიგიად ტრანსფორმირება მოახდინონ, მაგრამ მისი მოძღვრება და დოგმები სახეცვლილი იქნება, რათა პარტიის ან სახელმწიფოს საჭიროებებს მოერგოს.

აბსოლუტური ერთგულება

პოლიტიკური რელიგიისათვის ძირეული ფაქტორია სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიისადმი ერთგულება და სახელმწიფოს/პარტიის იდეოლოგიის მიღება. სახელმწიფოს მიმართ კრიტიკა შეიძლება სერიოზულ დანაშაულად ჩითვალოს. ფუნდამენტურ პოლიტიკური რელიგიაში, ან სისტემის მომხრე ხარ, ან მისი მტერი. საწინააღმდეგო აზრის მქონეებს მათი რიგებიდან რიცხავენ, აძვებენ, აპატიმრებენ, ან შესაძლოა სიცოცხლეც მოუსპონ. იმ სახელმწიფოში, სადაც პოლიტიკურ რელიგიას დომინანტი ფუნქცია აკისრია, შეიძლება აუცილებელი გახდეს პოლიტიკური პარტიის წევრობა ან ერთგულების ფიცის დადება სახელმწიფო სამსახურში ჩასადგომად.

პერსონის კულტი

პოლიტიკური რელიგია ხშირად, ლიდერს ღმერთის სტატუსს უახლოვებს.

ლიდერების გამოსახულებები სურათების, პლაკატების, ქანდაკებების სახით, შესაძლოა, საჯარო ადგილების გარდა მოსახლეობის სურვილით მათსავე სახლებშიც შეგვხვდეს. როგორც წესი, მოსწავლეებს ევალაბათ სახელმწიფოს მიერ შედგენილი, ლიდერთა ბიოგრაფიებისა და პარტიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის სწავლა.

დასაბამის მითი

პოლიტიკური რელიგიები ეყრდნობიან „შექმნის მითს“, რასაც შესაძლოა ჰქონდეს რაიმე ისტორიული საფუძველი, მაგრამ როგორც წესი, ხდება მისი გაიდეალება და საკრალიზება. არსებული ლიდერები შეიძლება მიჩნეულ იქნენ დამფუძნებელი მამების მემკვიდრეებად და ამის გამო მათ მიმართ განუზომელი მომიწების გრძნობა არსებობდეს. ასევე შეიძლება არსებობდეს წმინდა ადგილები და ტაძრები, რომელიც უკავშირდება დასაბამის მითს.

ისტორიული მაგალითები

რევოლუციური საფრანგეთი

რევოლუციური საფრანგეთი გამოკვეთილი და პირველი მაგალითია იმისა, თუ როგორ უარყო სახელმწიფომ რელიგია სრულიად. რადიკალებს სურდათ ქრისტიანობის ჩანაცვლება ახალი სახელმწიფო რელიგიით, ანუ ათეისტური იდეოლოგიით. მაქსიმილიენ რობესპიერმა უარყო ათეისტური იდეოლოგია და ახალი რელიგიის შექმნა განიზრახა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა „უზენაესი არსების კულტი“ (Culte de l'Être suprême). ეს იყო დეიზმის ფორმა, რომელიც რობესპიერმა საფრანგეთის რევოლუციის დროს შექმნა. იგი მიზნად ისახავდა, რომ

ეს იქნებოდა ახალი ფრანგული რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგია (alphahistory.com n.d.).

საფრანგეთის რევოლუციამ დასაბამი მისცა საფრანგეთში ბევრ რადიკალურ ცვლილებას, მაგრამ ყველაზე ფუნდამენტური იყო, აქამდე კათოლიკე ერისათვის რელიგიის ოფიციალური უარყოფა. პირველი სკოლა აღმოცენდა „გონიერების [გონის] კულტის“ სახელწოდებით. იგი შეიცავდა ფართოდ ათეისტურ ხედვებს, მასში ღმერთი არ იყო თაყვანისცემის ობიექტი, არამედ მთავრი იყო აბსტრაქტული კონცეფციის - გონის პატივისცემა. 1793 წელს რობესპიერმა „სწორი“ და „შესაფერისი“ რევოლუციური რელიგიის საკუთარი ხედვები წარმოადგინა და 1794 წელს „უზენაესი არსების კულტი“ ოფიციალურად გამოცხადდა (Doyle 2015)

რობესპიერს სურდა დეიზმიდან ახალ და მისი გაგებით, უფრო რაციონალურ „რელიგიამდე“ - ღვთაებამდე მისულიყო. „უზენაესი არსების კულტის“ უმთავრესი პრინციპები იყო ღმერთის არსებობის და ადამიანური ბუნებისა თუ სულის ამორალობის რწმენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნებები შეუთავსებელი იყო ქრისტიანულ დოქტრინასთან, მათ მაინც კარგად იმუშავეს რობესპიერისათვის, რომელსაც სურდა შეექმნა სამოქალაქო აზრის, გონების, საზოგადო ღირსება. ამ ღირსების მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი აქტიური მხარდაჭერით და ერთგულებით. არსებული ღმერთისა და უმაღლესი მორალური კოდის რწმენა, მისი აზრით, მუდმივად შეახსენებდა სამართ-

ლიანობის შესახებ და შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენდა რესპუბლიკის საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. რობესპიერმა ახალი სახელმწიფო რელიგიის დასაბამად 1794 წლის 8 ივნისი აღიარა და რესპუბლიკის სხვა დღესასწაულები ყოველ 10 დღეში დააწესა საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი კალენდრის მიხედვით (Doyle 2015).

ფაშიზმი

ემილიო ჯენტილე მეოცე საუკუნეს ტოტალიტარული რეჟიმების პერიოდს უწოდებს. ტოტალიტარიზმის თეორიის ვალიდურობის შესახებ წინააღმდეგობები მომდინარეობს ეჭვიდან, თუ რამდენად ლეგიტიმურია, ერთი კონკრეტული თეორიული მოდელის მისადაგება ამ განსხვავებული ისტორიული გამოცდილებებისათვის. მთავარი, ისტორიკოსებისათვის უნდა იყოს ის, რომ განსაზღვრონ, რა არის განსაკუთრებული და გამორჩეული წარსულის ამ ფენომენში. სამივე - ფაშიზმიც, კომუნისმიც, ნაციზმიც, არის სპეციფიკური და ინდივიდუალური, არა მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობდა თვალსაჩინო განსხვავებები ისტორიულ ტრადიციებში, სოციალურ მდგომარეობაში და პოლიტიკურ ვითარებაში იმ ქვეყნებს შორის, რომელშიც ამ ფენომენმა იჩინა თავი, არამედ იყო ნათელი განსხვავებები მათ იდეოლოგიებში, მათ რევოლუციურ მითებში და პოლიტიკურ სისტემებში. ფაშისტური ტოტალიტარიზმის ინტერპრეტაცია უარყოფს ნებისმიერ ისეთ თეორიას, რომელსაც მივყავართ კომუ-

ნიზმს, ფაშიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმს შორის იგივეობებთან.

ჯენტლეს მოსაზრებით, ფაშიზმი არ უნდა განისაზღვროს, როგორც ტოტალიტარული ფენომენი. ის მიიჩნევს, რომ ფაშიზმი იყო პირველი ნაციონალისტური და რევოლუციური მასობრივი მოძრაობა, რომელიც დაიბადა ლიბერალურ ევროპულ დემოკრატიაში, რომელმაც ჩამოაყალიბა პოლიტიკის მილიტარიზაცია და საკრალიზაცია. იგი იყო პირველი პოლიტიკურ-ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც ძალაში მოიყვანა მითები და მოახდინა მისი, როგორც მასების პოლიტიკური გამოხატვის უმაღლესი ფორმის, სანქციონირება, პოლიტიკის საკრალიზაცია და გარდაქმნა იგი პოლიტიკურ რელიგიაში.

ტოტალიტარიზმის ტერმინი შეიძლება გავიგოთ, როგორც ექსპერიმენტი პოლიტიკურ დომინაციაში. მას ახორციელებს რევოლუციური მოძრაობა პოლიტიკის ინტეგრალისტური კონცეფციით, რომელიც მიისწრაფის ძალაუფლების მონოპოლიზაციისაკენ და მას შემდეგ რაც, კანონიერი, თუ უკანონო გზით მოხდება ძალაუფლების მოპოვება, ანადგურებს ან გარდაქმნის მანამდე არსებულ რეჟიმს და აშენებს ახალ სახელმწიფოს, რომელიც დაფუძნებულია ერთპარტიულ სისტემაზე. მთავრ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების დაპყრობა. მითები და იდეოლოგია, რომელიც მოცემულია პოლიტიკური რელიგიის სახით, მიზნად ისახავს მასების ანთროპოლოგიურ რევოლუციას, ახალი ცივილიზაციის შექმნას, რათა ამასთან დაიბადოს „ახალი ადამიანი“, რომელიც თავს მიუძღვნის ტოტალიტარული

პარტიის რევოლუციურ და იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ამ ექსპერიმენტის მთავარ ინსტრუმენტებად, ჯენტლემ მიიჩნევს:

- ძალდატანებას, რომელიც ხორციელდება სისატიკით. რეპრესიები და ტერორი ითვლება ლეგიტიმურ ინსტრუმენტებად პოლიტიკური სისტემისა და იდეოლოგიის დასაცავად.
- დემაგოგიას, რომელიც ხორციელდება პროპაგანდის საშუალებით, პარტიისა და ლიდერის კულტების შექმნით.
- მასების ორგანიზებას, რაც მოიცავს ყველა ასაკის ადამიანს სქესის განურჩევლად.
- ტოტალიტარული პედაგოგიის მაღალ საფეხურს
- გარე პირების დისკრიმინაციას - მათ ფიზიკურ გაქრობას, ვინც თავისი იდეოლოგიით ან ეთნიკურობით მიჩნეულია მტრად, რადგან ისინი არ გამოდგებიან ტოტალიტარული ექსპერიმენტის განხორციელებისათვის.

ტოტალიტარიზმის განსაზღვრა, როგორც ექსპერიმენტის, ვიდრე რეჟიმისა, საშალებას იძლევა ხაზი გავუსვათ მის განგრძობით პროცესს. იგი მუდმივ ექსპერიმენტს გულისხმობს ადამიანებზე, მათ ცხოვრებაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, რათა შეიქმნას „ახალი ადამიანი“ და წყობა და რაკი ეს განუწყვეტელი პროცესია იგი ხასიათდება მუდმივი რევოლუციის მითად. ტოტალიტარული პარტია მოიცავს რწმენათა სისტემას, დოგმებს, მითებს, რიტუალებს, სიმბოლოებს, რაც განსაზღვრავს სამყაროში კოლექტიური არსებობის მიზნებს (Gentile, FASCISM AND THE ITALIAN ROAD TO TOTALITARIANISM 2000).

ემილიო ჯენტილეს მიხედვით, „ფაშიზმი იყო თანამედროვე პოლიტიკური რელიგიის პირველი და უმთავრესი მაგალითი“ (Gentile, *The Sacralization of Politics in Fascist Italy* 1996). ამ რელიგიამ მოახდინა სახელმწიფოს საკრალიზება და დაუწესა მას საგანმანათლებლო ამოცანა-მოეხდინა იტალიელების მენტალობის, ხასიათის, წეს-ჩვეულებების ტრანსფორმაცია.

არსებობს 3 ძირითადი მტკიცებულება არსებობს იმ არგუმენტისა, რომ ფაშიზმი იყო პოლიტიკური რელიგია: 1. ფაშიზმს ახასიათებდნენ, როგორც რელიგიურ ფორმას, განსაკუთრებით ენისა და რიტუალების კუთხით, 2. ფაშიზმი საკრალური გახდა ტოტალიტარიზმმა, რომელმაც დააკანონა ძალადობა ერის დასაცავად და ფაშისტური „ახალი ადამიანის“ რეგენერაცია, 3. ფაშიზმმა აიღო თავის თავზე ძალიან ბევრი რელიგიური ფუნქცია საზოგადოების „დასატყვევებლად“ (Eatwell 2003).

ფაშიზმი იტალიაში

იტალიური ფაშიზმი, როგორც იდეოლოგია და რეჟიმი, პირველი გამოვლინება იყო რევოლუციის, ტოტალიტარიზმის, მისტიური ნაციონალიზმის, რომელმაც სხვა ქვეყნების ინსპირირება მოახდინა. მის ბირთვს წარმოადგენდა ძალაუფლების მოპოვება „ახალი ცივილიზაციის“ მითის განხორციელებისათვის, ამისათვის ხდება სახელმწიფოს მითებისა და იდეალური ცხოვრების-აქტივისტობის შეკავშირება, ინდივიდუალიზმის მოსპობა, პირადი და საჯარო ცხოვრების სახელმწიფოსათვის მიძღვნა.

ფაშისტებმა ძირეული როლი ითამაშეს პოლიტიკური რელიგიის შექმნაში, დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს რიტუალებს, სიმბოლოებს. ფაშიზმი იყო პოლიტიკური რელიგია თავისი რწმენებით, დოგმებით, რომელიც ცდილობდა ეგზისტენციალიზმის მნიშვნელობა და მიზანი განესაზღვრა. ამისათვის შექმნა ახალი პოლიტიკური კულტი, რომლის ცენტრშიც იყო სახელმწიფოს საკრალიზაცია და „დეჩეს“ მითი. ფაშისტური სახელმწიფო წარმოდგენილი იყო, როგორც მორალური ერთობა, რაც ერთი რწმენის ქვეშ აერთიანებდა მასებს. საჯარო ცერემონიებს ძალაუფლების დემონსტრირების გარდა, ჰქონდათ ფაშისტური სახელმწიფოს მითის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარების მიზანი. საკრალური დღესასწაულების აღნიშვნა იყო ფაშისტური მითოლოგიის „გათამაშება“ ძველი რომაული სიდიადიდან, ფაშისტების წყალობით, ერის ახალ დაბადებამდე.

მთავარი შემოქმედი ფაშისტურ ექსპერიმენტში იყო პარტია, რომელიც აქტიურ და გადამწყვეტ როლს თამაშობდა ფაშისტური სახელმწიფოს შენებაში და არაერთხელ უმოქმედია თავად მუსოლინის გადაწყვეტილებებზეც.

ჯენტილეს აღნიშნავს, რომ ტოტალიტარული რეჟიმის დამარცხება განაპირობა არა ხალხის ოპონირებამ, ეკლესიამ ან მონარქიამ, არამედ სამხედრო მარცხმა. მისი აზრით, მე-20 საუკუნეში აჩვენა, რომ მოდერნულობამ, ირაციონალიზმმა და ავტორიტარიზმმა, შეიძლება თანაირსებონ და მოახდინონ ლიბერალური დემოკრატიისათვის ახალი საფრთხეების შექმნა (Gentile, *FASCISM AND THE*

ITALIAN ROAD TO TOTALITARIANISM 2000).

ნაცისტური გერმანია

ნაციზმი ანუ ნაციონალ-სოციალიზმი იყო გერმანული ნაცისტური პარტიის და ნაცისტური გერმანიის იდეოლოგია. მასში ხშირად გულისხმობენ რასიზმსა და ანტისემიტიზმსაც. იგი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. ნაციზმი ემხრობდა რასობრივი იერარქიისა და სოციალური დარვინიზმის თეორიებს, გერმანელი ხალხი მიჩნეული იყო არიელი რასის ყველაზე სუფთა წარმომადგენლებად და შესაბამისად, მიიჩნეოდა მმართველ რასად. იგი ეწინააღმდეგებოდა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს და მიისწრაფოდა ჰომოგენური საზოგადოების შექმნისაკენ, ერის გაერთიანებისა და ტრადიციონალიზმისაკენ, ასევე მისი მიზანი იყო ისტორიული გერმანიის ტერიტორიის დაბრუნება და ახალ მიწებზე ექსპანსია. ნაციონალ-სოციალიზმი მთლიანად გაემიჯნა მარქსისტულ კონცეფციებს კლასობრივი ბრძოლისა და თანასწორობის შესახებ, ასევე საერთაშორისო სოლიდარობის და კაპიტალისტური თავისუფალი ბაზრის ცნებებს და იღწვოდა კერძო საკუთრების დასაცავად.

1920წლის ნაცისტური პარტიის პროგრამით, ყველა რელიგიური დემონინაციისათვის, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოსათვის, გარანტირებული იყო თავისუფლება. მათ დააფუძნეს ეწ. „პოზიტიური ქრისტიანობა“ (Positives Christentum), რაც რეალურად, წარმოადგენდა რასობრივი სიწმინდისა და ნაცისტური იდეოლოგიის

ქრისტიანობის ელემენტებთან ნაზავს (Pridham 1974). ეს გახლდათ ქრისტიანობის მოდიფიცირებული ვარიანტი. ნაცისტებს მის შექმნაში თეოლოგები ეხმარებოდნენ, მათ შორის იყო ერნსტ ბერგმანი. ბერგმანი თავის ნაშრომში „გერმნული რელიგიის 25 დებულება“ ('Die 25 Thesen der Deutschreligion') წერდა, რომ ძველი აღთქმა და ახალი აღთქმის გარკვეული ნაწილი არასწორი იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტე იყო არა ებრაელი, არამედ არიული წარმოშობის, ხოლო ადოლფ ჰიტლერი კი ახალი მესია (Pridham 1974).

ჰიტლერი გამოხატავდა ძველ აღთქმას და მას „სატანის ბიბლიას“ უწოდებდა და ამის დასამტკიცებლად იყენებდა ახალი აღთქმის კომპონენტებს, რითიც ცდილობდა, მოეხდინა იესოს არიული და ანტისემიტური ბუნების დემონსტრირება, მაგალითად იოანეს სახარებიდან მოჰყავდა ქრისტეს სიტყვები სადაც იგი მიმართავს ებრაელებს სიტყვებით: „მათქვენი ეშმაკია!“ ჰიტლერი მიიჩნევდა რომ ახალი აღთქმა პავლე მოციქულის მიერ იყო დამახინჯებული, რომელსაც უწოდებდა „მკვლელს წმინდანად ქცეულს“ (McNab 2009).

ამას გარდა, ნაცისტები იყენებდნენ პროტესტანტ მარტინ ლუთერის მოძღვრებებს თავიანთ პროპაგანდაში და დააწესეს კიდევ პრონაციისტური გერმანული პროტესტანტული ორგანიზაცია (Redles 2005)

ნაცისტები მტრულად იყვნენ განწყობილი კათოლიკეების მიმართ, რადგან მათი უმეტესობა მხარს უჭერდა გერმანიის ცენტრისტულ პარტიას, ასევე კა-

თოლიკური ეკლესია არ აღიარებდა ნაცისტურ იდეებს ერის განდიდებასთან დაკავშირებით, სტერილიზაციის კანონს და უკრძალავდა მრევლს მათთვის ხმის მიცემას (Ellis 2004), თუმცა 1933 წელს გაფორმდა კონკორდატი (Reichskonkordat) კათოლიკურ ეკლესიასა და ნაცისტურ გერმანიის შორის, რომელიც ავალდებულებდა ეკლესიას, ყოფილიყო გერმანული სახელწიფოს ერთგული, იმის სანაცვლოდ, რომ იგი მიღებული ყოფილიყო ქვეყანაში. შედეგად, ეკლესიამ მის წევრებზე მოხსნა აკრძალვა ნაცისტური პარტიის მიმხრობაზე (Krieg 2004).

საბჭოთა კავშირი

კლაუს-გეორგ რიგელი ამტკიცებდა, რომ რევოლუციური საზოგადოების ლენინისეული უტოპიური გეგმა, როგორც ინტელიგენციის ტიპური პოლიტიკური რელიგია, მიმართული შიდა სამყაროსეული გადარჩენისკენ, ღრმად იყო დათესილი რუსულ საზოგადოებაში (Riegel 2005).

მარქსიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი, ფაშიზმი თავის თავას არ უწოდებდნენ პოლიტიკურ რელიგიებს, არამედ ტრადიციული ქრისტიანული რელიგიები მიაჩნდათ საშიშ მოწინააღმდეგედ ძალაუფლებისა და „სამყაროს ინტერპრეტირების“ საკითხში. სწორედ ამის გამო ცდილობდნენ მათ დაგმობას.

ლენინისტური მესიანიზმის 4 მახასიათებელი:

- რევოლუციური პარტია საზოგადოების გადარჩენისათვის იღწვის
- მარქსისტული განვითარების დოქტრინა შეიძლება მოერგოს ჩამორჩენილ საზოგადოებებს, თუკ მათ აქვთ იმის უნა-

რი რომ განვითარებისაკენ გადადგან ნაბიჯები

- ლენინისტურ იმპერიალიზმის თეორიაში კოლონიალური პერიფერიები მიჩნეულია იმპერიალიზმის სუსტ ნაწილად, შესაბამისად მისი რევოლუციონირება მიჩნეულია მთავარ სტრატეგიად. ამ გადმოსახედიდან ლენინისტური მესიანიზმი გადარჩენის გზაა
- მსოფლიოს გადარჩენა ლენინისტურ რევოლუციას უკავშირება

ლენინისტურ რელიგიაში არ იმიჯნება ერთმენტისაგან პოლიტიკა და რელიგია, ისინი შერწყმულია. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია მიჩნეული იყო სიახლის დამკვიდრების, ახალი საწყისის სიმბოლოდ, ამ პერიოდიდანვე ჩნდება კულტი და რევოლუციური მითები, აღლუმები და დემონსტრაციები, ეს თარიღი მიჩნეულია რუსეთის აყვავებისა და აღზევების, ახალ საფეხურზე გადასვლის საწყისად. მარქსიზმ-ლენინიზმი კარგად იყენებდა ინტელიგენციას, რომლებიც შესაბამისად იყვენენ განსწავლულნი რათა ემსახურათ სახელმწიფოს პროპაგანდისტულ, სააგიტაციო სამსახურში.

მოხდა სტრუქტურული ტრანზიციცა ლენინის 'virtuoso' რელიგიიდან სტალინისტურ ინსტიტუციონალურ ეკლესიაში და განხორციელდა ლენინისტური დოგმების რეფორმულირება. მეცნიერებისა და სპეციელისტების დიდი მუშაობა ჩატარდა იმისათვის, რომ ლენინიზმი და სტალინიზმი გარდაექმნათ ახალ საკრალურ ტრადიციად - „მარქსიზმ-ლენინიზმად“. ხდებოდა ლენინის კულტის შექმნა, იგი აღქმული იყო როგორც გმირი, ყოვლისშემძლე, ყოვლისმქვერ-

ტელი, და ყველაფრის მცოდნე. იქმნებოდა მისი ხატი, რომელიც ყველაზე უბრალო საყოფაცხოვრებო ნივთებიდან დაწყებული უზარმაზარი პლაკატებითა და ქანდაკებებით სრულდებოდა. მის სახელს არქმევდნენ ქალაქებს. რაც შეეხება სტალინს, იგი წარმოდგენილი იყო, როგორც ღმერთკაცი - ლენინის ლეგიტიმური მემკვიდრე, ერის მამა და მასზე მზრუნველი, რომელიც სიმპატიებს იმსახურებდა მოსახლეობაში პროპაგანდისტული გზავნილების გავრცელების შედეგად, თითქოს იგი სპარტანულად ცხოვრობდა და გამუდმებით მუშაობდა.

1917 წელს მომხდარი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, რომელთაც შეძლეს, რელიგიური მორალი ბოლშევიკური მორალით ჩაენაცვლებინათ. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის გამორჩეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი პასუხობდა მთავარ, ეგზისტენციალურ, ყოფნა-არ ყოფნის შესახებ კითხვებს და შესაბამისად, მისთვის უფრო იოლი გახდა რელიგიის დიდი სივრცის დაკავება.

კომუნიზმი, ანუ უკლასო საზოგადოება, მიჩნეული იყო იდეალურ ყოფად, ანუ „სამოთხედ“. მისკენ სავალი გზა კი მუდმივად საჭიროებდა გაცოცხლებას ახალი იდეებით, სიმბოლოებით, თუნდაც რეპრესიებით, რათა ჩამოყალიბებულიყო „ახალი ადამიანი“.

ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის გამყარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ლიდერის კულტი. ლენინის ხელშეუხებლობის და ყოვლისშემძლეობის კულტის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა სტალინი, რომელიც ამით საფუძველს

იმზადებდა თავისთვის, როგორც ლენინის, ამ „ღვთაების“, ლეგიტიმურ მემკვიდრედ მოვლენისათვის. ამას გარდა, მარქსიზმ ლენინიზმის განმტკიცების, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მტრის ხატის შექმნა, რომლის სიმბოლოსაც კაპიტალიზმი წარმოადგენდა. რეჟიმისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების მუდმივი კონტროლი ხელისუფლების მხრიდან და ხალხის მიერ წყობისადმი მუდმივი მორჩილება, რისი დამტკიცებაც მას გამუდმებით უწევდა სხვადასხვა საქმიანობითა და აქტივობით.

მარქსიზმ-ლენინიზმი კრძალავდა რელიგიის ნებისმიერ გამოვლინებას. ამხილებდა რელიგიურ ადამიანებს და ცდილობდა ხელი შეეშალა რელიგიური დღესასწაულების ჩატარებისათვის, ამიტომ ასეთ დღეებში განზრახ ინიშნებოდა საერო, კომუნისტური დღესასწაულები. თუმცა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ანტირელიგიური დევნა აიკრძალა, რადგან სტალინს მოკავშირედ სჭირდებოდა ეკლესია ხალხის კონსოლიდაციისათვის (Riegel 2005).

ამერიკის სამოქალაქო რელიგია

ეს არის სოციოლოგიური თეორია იმის შესახებ, რომ ამერიკაში არსებობს კვაზი-რელიგიური რწმენა წმინდა სიმბოლოებით, რომელიც შემოტანილია ეროვნული ისოტორიიდან. მკვლევრები მას აღწერენ, როგორც შემაკავშირებელ ძალას, ღირებულებათა ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციას. გამორჩეულად ამერიკული ხასიათის მატარებელია

არადენომინაციური რელიგიურ თემებზე ხაზგასმა.

კონცეფცია მომდინარეობს მე-19 საუკუნიდან, მაგრამ ამჟამინდელი ფორმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის რობერტ ბელას. 1967წელს მან გამოაქვეყნა სტატია „სამოქალაქო რელიგია ამერიკაში“, რამაც ბიძგი მისცა ამ საკითხის სიღრმისეულ კვლევას, ამ საკითხზე დაიწყო სტატიების და წიგნების წერა და ეს საკითხი რელიგიური სოციოლოგიის კონფერენციების მთავარი ფოკუსირების საგანი გახდა. ამ საკითხზე დებატებმა პიკს მიაღწია 1976წელს ამერიკის 200წლის თავზე (Bellah 1967), როდესაც ამერიკელები ქვეყნის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოდიოდნენ ამერიკისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების - აშშ-ს სახელწიფო კონსტიტუციის და დამოუკიდებლობის დეკლარაციის სანახავად, რაც სამოქალაქო რელიგიის თუ პოლიტიკური რელიგიის ტიპის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ბელას მტკიცებით, ამერიკელებს „მიღებული აქვთ სამოქალაქო რელიგია გარკვეული ფუნდამენტური რწმენებით, ღირებულებებით და რიტუალებით, თავიანთი არჩეული რელიგიის პარალელურად ან მის დამოუკიდებლად“ (Kaplan 2005). სამოქალაქო რელიგიის გადმოსახედიდან, პრეზიდენტებსაც არაერთხელ შეუთავსებიათ განსაზღვრული როლი და ერიც „პირობითად-რელიგიურ“ (კვაზი-რელიგიურ) პატივს მიაგებს თავის „მოწამეებს“, როგორებისაა ლინკოლნი და სამოქალაქო ომის დროს დაღუპული

ჯარისკაცები (Stout 2006). ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტების დონეზე სამოქალაქო რელიგიის რიტორიკის გამოყენება ძირეულად ცვლის ისტორიის ისეთ ეპიზოდებს, როგორცაა მაგალითად, მორე მსოფლიო ომი, სამოქალაქო უფლებების მოძრაობა და 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი (Edwards 2007).

რონალდ უიმბერლიმ რამოდენიმე მკვლევართან ერთად ფართომასშტაბიანი ანალიტიკური კვლევა განახორციელა, რამაც მხარი დაუჭირა ბელას არგუმენტს, რომ სამოქალაქო რელიგია არის გამორჩეული კულტურული ფენომენი ამერიკულ საზოგადოებაში, რომელიც არაა ფორმირებული ამერიკის პოლიტიკასა და დენომინაციურ რელიგიაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ სამოქალაქო რელიგია გავლენას ახდენს და დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური კანდიდატებისა და პოლიტიკური პოზიციების შესახებ ხალხის დამოკიდებულებაზე, 1980წელს რონალდ უიმბერლის აღმოჩენით, სამოქალაქო რელიგიური მრწამსი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვიდრე პოლიტიკური პარტიისადმი ერთგულება, როდესაც ნიქსონის ხარდაჭერის წინასწარ განსაზღვრა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ კვირა დღეს ეკლესიაში წამსვლელების მაგალითით. სამოქალაქო რელიგია ასევე გამოიყენებოდა ადამიანის პოლიტიკური შეხედულებების წინასწარმეტყველებაში.

ბიბლიოგრაფია

1. Alphahistory.com. <http://alphahistory.com/frenchrevolution/cult-of-the-supreme-being/> (accessed July 7, 2015).
2. Bellah, Robert Neely. "Civil Religion in America." *Journal of the American Academy of Arts and Sciences* 96, 1967.
3. Donald K. Gates, Peter Steane. academia.edu. [http://www.academia.edu/4131823 / Political_Religion_the_Influence_of_Ideological_and_Identity_Orientation](http://www.academia.edu/4131823/Political_Religion_the_Influence_of_Ideological_and_Identity_Orientation) (accessed July 7, 2015).
4. Doyle, William. "History of French Revolution." In *A Short History of Europe, 1600-1815: Search for a Reasonable World*, by John Theibault Lisa Rosner. Routledge, 2015.
5. Eatwell, Roger. "Reflections on Fascism and Religion." *Totalitarian Movements and Politics Religions*, 2003: 145–166.
6. Edwards, George C., Desmond S. King. *The Polarized Presidency of George W. Bush*. Oxford University Press, 2007.
7. Ellis, Marc H. "Hitler and the Holocaust, Christian Anti-Semitism." *Baylor University Center for American and Jewish Studies*, 2004.
8. Gentile, Emilio. *FASCISM AND THE ITALIAN ROAD TO TOTALITARIANISM*. Oslo, August 13, 2000.
9. —. *Politics as Religion*. Princeton University Press, 2006.
10. Gentile, Emilio. "The Sacralization of Politics in Fascist Italy." *Harvard University Press*, 1996.
11. Kaplan, Dana Evan. *The Cambridge Companion to American Judaism*. Cambridge: Cambridge University Press, 2005.
12. Keller, Adolf. "Church and State on the European Continent." *International Affairs (Royal Institute of International Affairs 1931-1939)*, 1937: 462-464.
13. Krieg, Robert Anthony. "Catholic Theologians in Nazi Germany." 4-8. London, England, UK: Continuum International Publishing Group, 2004.
14. Kurtz, Angela Astoria. "God, not Caesar: Revisiting National Socialism as 'political religion'." In *History of European Ideas*, 236-252. 2009.
15. Maier, Hans. *Totalitarianism and Political Religions*. Psychology Press, 2004.
16. McNab, Chris. *The Third Reich*. Amber Books Ltd, 2009.
17. Pridham, J Noakes and G. *Documents on Nazism 1919-1945*. London, 1974.
18. Redles, David. "Hitler's Millennial Reich: Apocalyptic Belief and the Search for Salvation." 60. New York, New York, USA; London, England, UK: New York University Press, 2005 .
19. Riegel, Klaus-Georg. "Marxism-Leninism as a political religion." *Totalitarian Movements and Political Religions*, 2005.
20. Stout, Harry S. *Upon the Altar of the Nation: A Moral History of the Civil War*. 2006.
21. Voegelin, Eric. "The political religions." In *The Collected Works of Eric Voegelin, Volume 11: Published Essays, 1953-1965*, by Eric Voegelin. Columbia: University of Missouri Press, 2000.

ანა ჩაგუნავა

მაგისტრი

დავით ჩაგუნავა

ექსპერტ-კრიმინალისტი

პოლიტიკური რელიგიების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები

პოლიტიკური რელიგიის ფენომენი ძალიან საინტერესოა თავისი შინაარსითა და არსით. რელიგიისა და რწმენების როლი კაცობრიობის ცხოვრებაში ყოველთვის აღსანიშნავი იყო. ამ ფენომენის გამოყენება კი ხშირად ხდებოდა პოლიტიკური მიზნებისათვის სამართლებრივი მანტიით, რასაც გარდამტეხი მნიშველობა ჰქონდა ისტორიაში. პოლიტიკის „გარელიგიურება“ თუ რელიგიის „გაპოლიტიკურება“ დიდ ძალისხმევასთან და შრომასთანაა კავშირში, რამეთუ ამ იდეის გახორციელება მრავალ განსხვავებულ ელემენტს მოიცავს, საჭიროებს მათ დახვეწასა და გარდაქმნას, როგორც უკვე ნახსენები იყო ნაშრომში.

ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ რელიგიებთან ასოცირდება ის ტოტალიტარული რეჟიმები რომელიც მე-20საუკუნის შუა პერიოდში არსებობდა, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში კიდევ მოიძებნება ისეთი რეჟიმები და სახელმწიფოები, სადაც ტოტალიტარული რეჟიმები მძვინვარებს და პოლიტიკური რელიგია სახელმწიფო რელიგიად შეგვიძლია მოვიაზროთ, მაგალითად ჩრდილოეთ კორეა და თურქმენეთი, რომლებიც ვფიქრობ, საინტერესო ქეისებს წარმოადგენენ სამომავლოდ განსახილველად და შესასწავლად.

Ana Chagunava

Master of Law

Davit Chagunava

Expert-Criminologist

Historical-Legislative Aspects of Political Religions

The phenomenon of Political Religions is very interesting with its essence. The role of religion and beliefs in the life of mankind has always been remarkable. This phenomenon was often used for political purposes, which had a turning point in history. The role of religion ('Religization') of politics or 'politicization' of religion needs a huge work and a great effort, because the implementation of this idea involves many different elements, requires their refinement and transformation, as already mentioned in the paper.

Political religions are often associated with the totalitarian regimes that existed in the mid-20th century. However, in the modern world there are still such regimes and states, where totalitarian regimes are fierce and political religion can be considered as the state religion. For example North Korea and Turkmenistan, which I think are interesting cases to discuss and study in the future.



საინფორმაციო გვერდი

წაუკითხავი რეკომენდაცია



მიმდინარე წლის აგვისტოში ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შერჩევის კომისიაში მომიწია საქმიანობამ. კონკურსანტთა შორის იყო პროფესორი ნათელა მაისურაძე. გამახსენდა, რომ კონკურსში მონაწილეობისათვის რეკომენდაციის დაწერა მთხოვა, მისი პირადი საქმე მოვებზე და ჩემს მიერ დაწერილ რეკომენდაციას ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი და არ დავმაღავ, ფიქრი იმაზე დავიწყე, როგორ დამეცვა მისი ინტერესები (სფეროში კონკურსი იყო).

კომისიის თავმჯდომარე (ზაზა რუხაძე) განცხადებას აკეთებს, სამწუხაროდ კონკურსს გამოეთიშა პროფესორი ნათელა მაისურაძე, გარდაცვალების გამო. ვერ აგიწერთ რა დამემართა, კი არ მეწყინა, საოცრად მეტკინა, იგი ჩემი მეგობრების წრიდან იყო. ტელეფონით მის ქალიშვილს თეას დავუკავშირდი, სამწუხაროდ ინფორმაცია სწორი აღმოჩნდა, მითხრა, ბატონო გივი, სამწუხაროდ დედაჩემს თქვენი რეკომენდაცია არ წაუკითხავს, საავადმყოფოში ყოფნის გამო. ასე დარჩა ჩემი რეკომენდაცია წაუკითხავი.

მკითხველს ვთავაზობ ჩემს წაუკითხავ რეკომენდაციას:

„ეს ფორმა სიახლეა საგანმანათლებლო სისტემაში, რადგანაც პირველად ვწერ ფილოსოფოსის, იურისტის, პროფესორ ნათელა მაისურაძის მიმართ რეკომენდაციას. ცოტას ვუხერხულობ კიდევაც, მაგრამ თუკი ასეთი რეკომენდაცია საჭიროა, ამ მისიას სიამოვნებით ვასრულებ. იგი ბევრი ნაშრომის და სახელმძღვანელოს ავტორია, კარგი პედაგოგია. სტუდენტებთან და აუდიტორიასთან კარგი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებით გამოირჩევა. იმსახურებს მხარდაჭერას, მონაწილეობა მიიღოს კონკურსში და დაიკავოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე პროფესორის თანამდებობა“.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გივი ლობჯანიძე

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL LEGAL JOURNAL

“LIFE and LAW”

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

„ცხოვრება და კანონი“

Technical Editor: **Shalva Kurdadze, Professor**

ტექნიკური რედაქტორი: **შალვა ქურდაძე, პროფესორი**

Computer provide of **Tamar Kokiashvili**

Nino Kasradze

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თამარ ქოქიაშვილი**
ნინო კასრაძე